

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS AND BUSINESS
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

გვირე-გვიათ
MAY-JUNE
МАЙ-ИЮНЬ

2014

03062 ქავებიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეზერვირებადი
და რევიზორებადი სამეცნიერო-პრაქტიკული გარნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета имени Ив.
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ

Published since January, 2008 once in two month

Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **გლადიმერ პაპავა,**
ავთანდილ სილაგაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლეო ჩიკავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური**
ანანიაშვილი, **რამაზ აბესაძე**, თემურ ბერიძე, გიორგი ლადინიძე, სიმონ
გელაშვილი, **რევაზ გელაშვილისანი**, ნუგზარ თოლუა, ირაკლი კოვჭანაძე, თელე

ლაცაბაძებით, ქადაგ ლექაშვილი, მურიო მაღრაძე, მაია მარგველაშვილი,

ქეთეგან მარშავა, ლეგგუჯა მექეგაძიშვილი, იარობ მესხია, დავით ნარმანია,

ნუგზარ ააიგაძე, სერგო სანაძე, ირაკლი სადარენეშვილი, დემურ საჭინავა,

მირიან ტუხარშვილი, ეთერ სარიოშვილი, ელენე სარბაძე, რომან ხარბედია,

ნოდარ ხადური, თემურ შენგალია, ემზარ ჯგურენაია.

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief, Doctor of Economic sciences, professor.

Academicians of National Academy of Sciences of Georgia, Doctors Of Economics Sciences, professors: **Vladimir Papava, Avtandil Silagadze**, corresponding member of Georgian National Academy of Sciences, doctor of Economic Sciences, professor **Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Temur Beridze, Giorgi Gaganidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Natela Latsabidze, Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili, Iakob Meskhia, David Narmania, Nugzar Paichadze, Sergo Sanadze, Irakli Sagareishvili, Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Eter Kharashvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Temur Shengelia, Emzar Jgerenaiia.**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Академики Национальной Академии наук Грузии, доктора экономических наук, профессора: **Владимер Папава, Автандил Силагадзе**, член-корреспондент Национальной Академии наук Грузии, доктор экономических наук, профессор **Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили, Рамаз Абесадзе, Темур Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа, Ираклий Ковсанадзе, Натела Латацабидзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван Маршава, Злайджа Меквабишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Нугзар Пайчадзе, Серго Санадзе, Иракли Сагарешвили, Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Етер Харашишвили, Элена Харабадзе, Роман Харбедия, Нодар Хадури, Темур Шентелия, Эмзар Джгереная.**

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

კოლეგიის გენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, პარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, პილენი პეტრი ევ. ემდ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტის კურგანის ფილიალის დირექტორი. კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუ უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Brandenburg University (Germany), Pilipenko E.V. Economical doctor in science, economic branch in Kurgan unstitute, region of Ural, Russia. Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Пилипенко Е.В. Д.Э.Н. - Директор Курганского филиала ИЭ УрО РАН, Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

სარჩევი

საქართველო ეკისტოლე 11

ეპონომიკური თეორია და ეპონომიკური კოლექტიკა

| |
|---|
| ნეგატიური კაიჭამე. ზოგიერთი მოსაზრება პერსონალის მართვის სამსახურის მუშაობის სრულყოფის საკითხებზე 27 |
| კაატა კოდექსი, ბაზრი რამიშვილი. საქართველოს სოფლის ტევადობა 43 |
| ПИЛИПЕНКО ЕЛЕНА ВАСИЛЬЕВНА. ВТО: УРОКИ ДЛЯ РОССИИ 57 |

მიკრო-მაკროეპონომიკა

| |
|---|
| შალვა გოგიაშვილი, სლავა ჭავლავა. სახელმწიფო შე- სყიდვები და კონკურენციის უზრუნველყოფის პირობე- ბი 69 |
| აკაკი გაგალაძე. რისკის შეფასებისა და ოპტიმალური ფინანსური პორტფელის ფორმირების შესახ- ებ 87 |
| დავით კბილაძე. ოფიციალური სტატისტიკური სისტემის სრულყოფის ზოგიერთი პრობლემა საქართ- ველოში. 107 |
| ლია ჩარეჭიშვილი. საქართველოში უმაღლესი განათლების მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი 123 |

მეცნიერები. მარკეტინგი. ტურიზმი

| | |
|--|-----|
| გიორგი ლალაძემ. სტრატეგიული მენეჯმენტის არსის საკითხისათვის | 143 |
| მარაბ ხოსროვია. ტურიზმის განვითარების მსოფლიო ტენ- დენციები | 155 |
| მაია სამური. რეკლამის გავრცელების არხების შერჩევის სპეციფიკა საქართველოში | 165 |
| ონის ალექსიძემ. უმაღლესი განათლების ინტერნა- ციონალიზაციის მენეჯმენტი – სტრატეგიული პროცე- სი | 177 |
| ია ჯიმშიძემილი. ანტიკრიზისული მართვის ელემენტები თანამედროვე ორგანიზაციებში | 189 |

ახალი წიგნები:

| | |
|--|-----|
| როგორია პროფესიონალ-რეცენზენტა აზრი? თეიმურავ შეგიელია, მოთა ვეზააიძე, ევგენი ბარათაშვილი, თემურ კანდელაპი. მნიშვნელოვანი გამოკვლევა საქართ- ველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემების შეს- ახებ | 201 |
|--|-----|

შურნალ “ეკონომიკა და ბიზნესის”, სამეცნიერო
სტატიების წარმოდგენისა და გამოქვეყნების წესი 206

CONTENTS

| | |
|----------------------|----|
| EASTER EPISTLE | 11 |
|----------------------|----|

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

| | |
|--|----|
| N. PAICHADZE. Some issues on improvement the problems of Personnel Management Service | 27 |
| P. KOGUASHVILI , B. RAMISHVILI. Capacity of Georgian Village | 43 |
| ПИЛИПЕНКО ЕЛЕНА ВАСИЛЬЕВНА. ВТО: УРОКИ ДЛЯ РОССИИ | 57 |

MICRO – MACROECONOMICS

| | |
|---|-----|
| SH. GOGIASHVILI, S. FETELAVA. State Procurement and competition conditions..... | 69 |
| A.GABELAIA. About risk assessment and optimal financial portfolio formation..... | 87 |
| D.KBILADZE. Constitutional amendment should also concern to country's official statistical service | 107 |
| LIA CHAREKISHVILI. Statistical Analysis of Condition of Higher Education in Georgia..... | 123 |

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

| | |
|--|-----|
| G. GAGANIDZE. Essence of the Strategic Management ... | 143 |
| M. KHOKHOBAIA. World Trends in Tourism Develop- ment..... | 155 |
| M. SETURI. The specifics of the advertising channel selection in Georgia..... | 165 |
| O. ALPENIDZE. Management of Higher Education Internation- alization : a Strategic Process..... | 177 |
| I.DJIMSHITASHVILI. The Elements of Crisis Management in Modern Companies | 189 |

NEW BOOKS :

| | |
|---|-----|
| What is professional – Evaluation opinion? | 201 |
| In magazine “Economic and Business”, Presentation of scientific articles and submission rule | 206 |

СОДЕРЖАНИЕ

| | |
|---------------------------|----|
| ВОСКРЕСНОЕ ЭПИСТОЛЕ | 11 |
|---------------------------|----|

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

| | |
|---|----|
| НУГЗАР ПАЙЧАДЗЕ. Некоторые соображения по вопросам совершенствования работы службы управления персонала | 27 |
| ПААТА КОГУАШВИЛИ, БАДРИ РАМИШВИЛИ. Ёмкость села Грузии | 43 |
| ПИЛИПЕНКО ЕЛЕНА ВАСИЛЬЕВНА. ВТО: уроки для России | 57 |

МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

| | |
|---|-----|
| ШАЛВА ГОГИАШВИЛИ, СЛАВА ФЕТЕЛАВА. Государственные закупки и условия обеспечения конкуренции...69 | |
| АКАКИЙ ГАБЕЛАЯ. Об альтернативном варианте оценки риска и оптимального портфеля.87 | |
| ДАВИД КБИЛАДЗЕ. Некоторые вопросы совершенствования официальной статистической системы Грузии 107 | |
| ЛИЯ ЧАРЕКИШВИЛИ. Система высшего образования в Грузии | 123 |

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

| | |
|---|-----|
| ГЕОРГИЙ ГАГАНИДЗЕ. К вопросу о сущности и стратегического менеджмента | 143 |
| МЕРАБ ХОХОБАЯ. Мировые тенденции развития туризма | 155 |
| МАЙЯ СЕТУРИ. Специфика подбора средств распространения рекламы в Грузии | 165 |
| ОНИСЕ АЛФЕНИДЗЕ. Менеджмент интернационализаций высшего образования – стратегический процесс..... | 177 |
| I.DJIMSHITASHVILI. The Elements of Crisis Management in Modern Companies..... | 189 |
| | |
| New Books : What is professional – Evaluation opinion? | 201 |
| | |
| Правила представления и опубликования научных статей в журнале «экономика и бизнес»..... | 206 |

პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე



უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II

„წყალობაი და ჭეშმარიტებაი შეიმოხვივნეს, სიმართლემან და მშეიძობამან ამბორს-უყვეს“ (ფს. 84,10).

ყოვლად სამდგდელონო მღვდელმთა გარნო, მამანო და დედანო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, სასულიერო და საერო დასხო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამებამულენო,

ქრისტე აღდგა!

აღდგომის მადლითა და სიხარულით აღვსილი ვადიდებთ უფალს და ოქვენ ყოველთა გულითადად გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს.

აღსრულდა!

აღსრულდა ის, რაც განხინებული იყო უწინარეს საუკუნეთა!

„ვნებითა მით შენითა, ქრისტე, ვნებათაგან განვთავისუფლდით და აღდგომითა შენითა ხრწინლებისაგან ვიხსენით,

"უფალო, დიდება შენდა!"

49 დღე ემზადებოდნენ მორწმუნენი ამ ზეიმის შესახედრად.

შვიდი კვირის განმავლობაში ყველანი ვცდილობდით სულიერი კიბით ზესვლას, რათა ძალისამებრ ჩვენისა მომზადებული ვზიარებოდით პასექის სიხარულს, რომლის სადიდებელად ენა ამაოდ დაშვრება, რადგან ადამიანური

მეტყველება უძლურია, გადმოსცეს დგთის სიყვარულის ის საოცარი გამოვლინება, რისი მომსწრე და მხილველიც კაცთა მოდგმა 1981 წლის წინ გახდა.

ადდგომა, ეს არის ნეტარ მარადისობასთან ზიარების, წარუგალი სიკეთისა და სიხარულის მაუწყებელი დღე.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?

სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?" (I კორ, 15,55).

ქრისტე ადდგა! გიხაროდეთ!

გარდა იმისა, რომ მაცხოვარმა ჩვენმა ბოროტება შემუსრა, თითოეულ ჩვენგანს უჩვენა გზა სსნისა, უჩვენა მაგალითი ცხოვრებისა, ისეთი სიცოცხლისა, რომელიც ჭეშმარიტ ბედნიერებასთანაა დაკავშირებული.

ბედნიერება, ეს არის ის ცნება, ის მდგომარეობა, რომელსაც ესწრაფვის ყველა ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნისა და ერის წარმომადგენელია იგი. ოდონდ, რა თქმა უნდა, ბედნიერებას ესა თუ ის პიროვნება სხვადასხვანაირად აღიქვამს. მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ ზოგნი ამას დმერთან სიახლოგეში ხელავენ, ზოგნი კი, მის გარეშე მოიაზრებენ.

ამ გაორებას სათავე სამოთხეში დაედო.

დმერთან ერთობის პერიოდში ადამი და ეგა აქ უზრუნველად ცხოვრობდნენ, მაგრამ, როდესაც მათ, საკუთარი თავის კიდევ უფრო მეტად განდიდების მიზნით, უფლის დარიგება უგულებელყველს, ქვენა მიღრეკილებებს გაუხსნეს კარი და თვითონაც და მათი შთამომავლობაც გაორდა:

გაენის სულის მქონეთ ღმერთს ზურგი აქციეს და დაემონვენ ეგოისტურ ზრახვებს, ამბიციას, ხორციელ და გრძნობად მოთხოვნილებებს: ისინი ცდილობენ აქ, ამ წუთისოფელში, მიიღონ შესაძლო პატივი, სიმდიდრე, სიამოვნება... იმქვეყნიური ცხოვრებისა კი ან არ სწამო, ან ამ თემაზე საკუთარი წარმოდგენა აქვთ და ყველაფერს სათავისოდ განსჯიან.

აბელ-სეიოთის გზით მავალნი კი ბედნიერებას მხოლოდ უფლის წიაღს უკავშირებენ.

მათთვის მიწიერი ცხოვრება, ეს არის სამოთხიდან განდევნილთა აღგილი, ის დრო და სივრცე, სადაც ადამიანმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს თავისი ხვედრი და შეამზადოს თავისი მარადიული მომავალი.

ასეთი პიროვნებებისათვის ადამიანური ნამდვილი ბედნიერების საიდუმლო შემოქმედის ამ სიტყვებშია გაცხადებული: „შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება. მეორე არის: შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი შენი” (მრ. 12, 30-31).

პირველი მცნება გულისხმობს ღვთისადმი ისეთ სიყვარულს, რომელიც ყველაზე ძლიერი უნდა იყოს ჩვენში.

- როგორ მივხვდეთ, ვართ თუ არა ამ განწყობით?

- შემოქმედზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავისი და არაფრის სიყვარული და ამასთან, ყოველივე ჩვენს თავზე მოწენული, - სიხარული თუ განსაცდელი, - უნდა მივიღოთ მადლიერებით.

- განა თუნდაც მშობლების ან შვილებისადმი გამორჩეული სიყვარული სწორი არ არის?

- ქრისტიანობა სიყვარულის სარწმუნოებაა, გულმხერვალე, თავგანწირული სიყვარულის რელიგია და, ბუნებრივია, ახლობლებისადმი დიდი სითბოსა და მზრუნველობის გამოჩენა არა თუ კარგია, ჩვენი ვალდებულებაა. ამის გარეშე

ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ ჩვენც, ჩვენს მშობლებსა და მათ წინაპართ, ისევე როგორც ჩვენს შვილებს და მათ შთამომავლებს, სიცოცხლეც და სხვა ყოველივე სიკეთეც უფლისაგან მოგვეცა. იგი არის ყველაზე დიდი მშობელი, ყველაზე დიდი ახლობელი ყველასათვის, ყველაზე მართალი და გულწრფელი გულშემატკიფარი, იმედი და ნუგეშინისმცემელი ჩვენი.

ამიტომაც, როცა, თუნდაც, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საჭიროა ჩვენთვის.

- მაგალითად, შვილის გარდაცვალებაც?

- რა თქმა უნდა, ეს უდიდესი ტკიფილია და ბოლომდე დვთის განგებულებას ვერავინ ჩაწვდება. თუმცა, ასეთ შემთხვევებში ვხედავ იმ აზრს, რომ უფალს ადამიანი თუნდაც ახალგაზრდა, გაყავს ამ ქვეყნიდან მისი ცხონებისათვის საუკეთესო პერიოდში. და, ბუნებრივია, იგი ცათა შინაც შესაფერის ადგილს დაიმკვიდრებს; ხოლო ის ტკიფილი, რაც მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს მიეყენებათ, კიდევ ერთხელ დააფიქრებთ მათ სიცოცხლის საზრისხე, მთავარ ღირებულებებზე, ცხოვრების წესზე, ზესთასოფელზე. . . ყოველივე ეს კი იწვევს ფერისცვალებასა და უკავესობისაკენ მათ შეცვლას. ანუ, ფაქტობრივად, ეს ახალგაზრდები მიზეზნი ხდებიან თავისი ახლობლების სულიერი გადარჩენისაც, რაც უდიდესი მადლია იმ ქვეყნად წასულთათვისაც და აქ მყოფთათვისაც;

ხოლო თუ ამ ხალხს ასეთმა განსაცდელმაც ვერ უშევლა, ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ მათს გულებში უფლის ადგილი არც არასოდეს იქნება.

- და რაკი ადამიანი გამუდმებით სცოდავს, მითუმეტეს ჩვენს დროში, განსაცდელებით ამიტომ ვართ საგსენი?

- ეს, მართლაც ასეა. დემონი ყოველნაირად ცდილობს თითოეული ადამიანის სული მიიზიდოს და მიიტაცოს. სოუსავს მასში ეჭვსა და ურწმუნოებას, ყველაფრისადმი ზერელედამოკიდებულებას, ბინდავს გონებას ათასგარი სიამოვნებით

და თვალსაწიერს მხოლოდ წუთისოფლით უფარგლავს, რათა იგი გონის არ მოეგოს და ხელიდან არ დაუსხლტეს.

ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც, თუმცა თანამედროვე ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასხეულდა, რადგან მასიურად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა. ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო. ადრე დევნიდნენ და აწამებდნენ მორწმუნებს, ანგრევდნენ ტაძრებს, შეურაცხყოფდნენ სიწმინდეთ, მაგრამ ზნეობაზე სიტყვით მაინც უარს არ ამბობდნენ.

თანამედროვე ფსევდო-ლიბერალიზმს კი სურს, მოსპოს ცნება ცოდვა. მათი აზრით, ცოდვის განცდა თურმე ზედმეტად „ბოჭავს“ ადამიანს და „თავისუფლებას“ აკარგვინებს. ამიტომაც უნდათ, გააქრონ მორალი და მასთან ერთად სინდისის ქენჯნაც. იყრიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე, რაც დღეს უკვე გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიურ მცნებებთან, არამედ საყოველთაო, ზოგადადამიანურ დირგბულებებთანაც, ფაქტობრივად, ისინი ცხოველებზე უფრო დაბალი ცხოვრების წესს სთავაზობენ საზოგადოებას და სრული სულიერი გადაგვარებისაკენ უბიძგებენ. აჩვენებენ სადიზმითა და სექსუალურით გაჯერებულ ფილმებს და თან „გართობის“ მიზნით სხვადასხვა „შოუსა“ და გადაცემებში ირონიით საუბრობენ ადამიანურ დირსებებზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, რათა, მათი თქმით, ხალხი „განკურნონ ნევროზისა და ფობიებისაგან.“

ეს მეოროდიკა ისეთი ფორმით ინერგება, რომ ზოგჯერ თვით ამ „სპექტაკლების“ მონაწილეობაც არ ესმით, სინამდვილეში რას ემსახურებიან და რატომ აქვთ ასეთი დაკვეთები. ვითომ თრიგინალობის და სიახლის შემოტანის სურვილით აკეთებინებენ ამას, სინამდვილეში კი საყოველთაო ურწმუნოებასა და ეშმაკეულ ცნობიერებას ამკვიდრებინებენ, რითაც, რა თქმა უნდა, ღმერთს განარისხებენ:

„ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოღის ცდუნება. მისთვის უმჯობესი იქნებოდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და

ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ(მთ.18,6, 18,7) – ბრძანებს უფალი.

ბუნებრივია, ადამიანის ისედაც სუსტ ბუნებას უჭირს გაუძლოს ბოროტის ამდენ მახეს. ამიტომაც, სახეზე გვაქვს საყოველთაო დაცემა და ამ ფონზე არც მართლმადიდებლები არიან განსხვავებულ მდგომარეობაში. მათ შორისაც გახშირდა სიცრუე და დალატი, ეგოისტური მიდგომები, უარის თქმა ოჯახურ ვალდებულებებზე, გულგრილობა. ყოველივე ეს კი სულიერ სამყაროში იწვევს სერიოზულ რდვეებს, რასაც ზოგიერთი გრძნობს, მაგრამ არ რეაგირებს, ზოგიერთი კი ვერც აცნობიერებს და აგრძელებს ცოდვასთან კავშირს.

მაგრამ თუ უფალს ეს ადამიანი უყვარს და არა ჰყავს მიტოვებული, მასზე დვთისაგან დაეშვება განსაცდელი (ან განსაცდელები), რათა იგი გამოფხიზდდეს და დაფიქრდეს თავის მდგომარეობაზე.

ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ მოხდება გაცნობიერება დანაშაულისა და მისი გამოსყიდვა.

მე პირადად არაგროვით ადამიანი მინახავს გულწრფელი აღსარებითა და ზიარებით მძიმე სენისაგან განკურნებულნი, ასევე რთული და, ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობიდან თავდასხილნი; ეს ხომ დასჯა არ არის! იგი უფსკრულიდან ჩვენი ამოყვანაა, ჭუჭყისაგან ჩვენი განთავისუფლებაა.

ამიტომაც განსაცდელი მადლიერებით უნდა მივიღოთ.

ამასთან, ჩვენს თავში უნდა გავაძლიეროთ მებრძოლი სული, არ შევეგუროთ დაცემას, რამდენჯერაც არ უნდა შეგვემთხვას იგი, და ყოველთვის უნდა მოვძებნოთ ძალა ვნებათა დასათრგუნად, ასადგომად და გზის გასაგრძელებლად.

„სასუფეველი ცათაი იიძულების, და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი," (მთ. 11,12.). ანუ სასუფეველი ცათა საკუთარ თავთან ჭიდილით, – ცოდვათა დაძლევით მოპოვება და ვინც ამ ომში გაიმარჯვებს, ის დაიმკვიდრებს მას.

ვიმეორებ, ეს დაპირისპირება დღეს განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობს. ბოროტი თავგამოდებით იბრძვის და ჩვენც თავგამოდებით გვმართებს დავიცვათ ჩვენი მეობა, ჩვენი სული, ჩვენი ლირებულებები.

მაცხოვარი ჭეშმარიტ ქრისტიანებს თავისიანებსა და რჩეულებს უწოდებს და ასე მოიხსენებს: „ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ“ (ინ. 10,14).

როგორი დიდი წყალობაა, უფალს მიაჩნდე თავისიანად!

მე მინდა, მივმართო ჩვენს ხალხს, რომელმაც ბოლო პერიოდში მრავალი განსაცდელი გადაიტანა, – არ შედრკეთ! ეს ტკივილი, ეს მწუხარება სწორედაც ნიშანია იმისა, რომ უფალი ჩვენთანაა, რომ დმერთს ვუყვარვართ და ამიტომაც გვწვრთვნის შეცოდებათა გამო.

- მართალია, სხვათა მსგავსად ჩვენც რთულ დროში გვიწევს ცხოვრება და ეს გავლენას ახდენს ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მრავალი ტაძარი აიგო, ეკლესიები სავსეა ხალხით, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს. სხვაგან ასეთი პროცესები არ არის, თუმცა ისინი ჩვენზე უკეთ არიან. ჩვენ რა დავაშავეთ, რომ გამოცდის და განსაცდელების პერიოდი ასეთი ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა?

- ჯერ ერთი, ვისაც ბევრი მიეცა, მეტიც მოეთხოვება. ჩვენს ხალხთან მიმართებაში სწორედ ეს ვითარებაა. ამასთან, მართალია, საზოგადოებაში დიდი დადებითი ძვრები მოხდა, მაგრამ მთავარი ნაკლოვანებები ჯერ კიღევ არ არის გამოსწორებული.

თითოეულმა ჩვენგანმა (ამჯერად ვგულისხმობ მხოლოდ მორწმუნეთ, მათ შორის სახულიერო პირებსაც) ჩავიხდოთ სულში და პირუთვნელად შეგაფასოთ ჩვენი განწყობები და დამოკიდებულებები.

ვფიქრობ, ცოტანი არიან ისეთნი, რომელთა გულის ტახტზე უფალია დაბრძანებული. უმეტესი ნაწილი კი ძირითადად, სიტყვით და ნაწილობრივ კი, საქმითაც დგომის მა-

დიდებელია, მაგრამ ბოლომდე მაინც არ არის მინდობილი ღმერთს.

ეს პგავს იმ პიროვნების მდგომარეობას, რომელმაც ცურვა არ იცის, ზღვის სანაპიროზე მხოლოდ ფეხს ისველებს და ზღვაში ცურვის სიყვარულზე კი საუბრობს.

რა თქმა უნდა, ათეიისტური აზროვნებისაგან ხალხი მალევე ვერ განთავისუფლდება და ზემოთქმული ამის შედებიც არის, მაგრამ უკვე დადგა დრო, მთავარი სულიერი ორიენტირების გასწორებისა; ხოლო თუ ეს ასე არ მოხდება, მთელი ჩვენი ძალისხმევა, ჩვენი ვედრება ამაო იქნება, რადგან არასწორად აღვლენილი ლოცვა ჰაერში განიბნევა და შედეგს ვერ გამოიღებს.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საქმიანობა, აზრი და ფიქრიც კი, შესაძლებლობისამებრ, დმერთით უნდა იყოს განმსჭვალული და სწორების მუდამ მასზე უნდა ვახდენდეთ. ასეთი დამოკიდებულება სასიცოცხლოდ აუცილებელი არის თითოეული ჩვენგანისთვის.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ, თავი დავიცვათ ცოდვისაგან და მივუახლოვდებით იმ მდგომარეობას, რაც დაცემამდე იყო შემოქმედსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის, - შევცურავთ უფლის სიყვარულის ოკეანეში და აღვივსებით მისი მაღლითა და წყალობით.

ვინ არის მოყვასი და რატომ არის მისი სიყვარული ჩვენი გადარჩნისათვის, ასევე, აუცილებელი პირობა?

- მოყვასია ყველა, ვინც კი ცხოვრების გზაზე გხვდება. დაწყებული შენი ოჯახის წევრებიდან, ახლობლებიდან და მეგობრებიდან და დამთავრებული უცნობი, მაგრამ შენთან შეხებაში მყოფი პიროვნებებით; რა თქმა უნდა, ამათ რიცხვში შედიან ის ადამიანებიც, რომელთაც ჩვენ მტრებს ვუწოდებთ.

ახლობლებისა და ჩვენი მოყვარული ადამიანების სიყვარული რომ აუცილებელია, გასაგებია. ეს გრძნობა იმდენად ბუნებრივად მკვიდრობს ჩვენში, რომ აქ მოვალეობაზეც კი

ლაპარაკი არ არის, ეს ჩვენი მოთხოვნილებაა.

ჩვენი ხალხის ხასიათის წარმოსაჩენად ორ მომენტს გავიხსენებ: თუკი ქვეყანაში გაუძლო ბოლო ოცი წლის დუხშირ ცხოვრებას, ეს სწორედ მეგობრების, მეზობლების, ნათესავების ერთსულოვნებით მოხდა. უბრალო ადამიანები, თვითონაც არას- მქონენი, მასზე გაჭირვებული უშურველად უნაწილებდნენ თავის ლუქმას, რაც ბუნებრივად, დაუშვერებლად ხდებოდა.

ეს ხომ გმირობის ტოლფასია!

თქვენ იცით, მე ყოველთვის მოვუწოდებდი და მოვუწოდებ უცხოეთში წასულ ქართველებს, დაბრუნდნენ სამშობლოში და აქ ეძიონ საშუალებები დასაქმებისა, თუნდაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მაგრამ არ შეიძლება არ დავაფასო ამ ადამიანების დიდი ნაწილის, განსაკუთრებით ქალბატონების, თავდადება, როგორც თავისი შვილების, ისე მეუღლეებისა და ახლობლების მიმართ.

მათ მიატოვეს ყველაფერი და უცხოეთში უმძიმესი შრომა არ ითაკილეს, რომ როგორმე ფიზიკურად გადაერჩინათ თავისი საყვარელი პიროვნებები.

ეს მოყვასის მიმართ შეწირული მსახურებაა.

- ჩვენს ურთიერთობებში დიდი პრობლემები მაშინ იწყება, როდესაც ცოდვას ვეხებით და წყენა და გულისტყენა ჩნდება. როგორ მოვიქცეთ?

- ცოდვის პირველი უცილობელი წამალი სინანულია.

თუ შენ ხარ დამნაშაულე, ბუნებრივია, ბოლიში უნდა მოიხადო, აღიარო დანაშაული, მიხვიდე მასთან, ვისაც გული ატკინე და სოხოვო პატიება. ეს შენი ვალდებულებაა. თუმცა ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა და პატივმოყვარეობის დაძლევა, რაც ფრიად სამწუხაროა.

- როგორ ვიგრძნოთ, გულით ვაპატიეთ, თუ არა სხვას დანაშაული?

- პატიება ნიშნავს არა მარტო იმას, რომ სამაგიეროს არ მიაგებ მას, არამედ იმასაც, რომ დაფარავ და არ განაცხა-

დებ შენი შემცოდის ცოდვას. უფრო მაღალი საფეხური კი გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც ამ ადამიანს შენ სიკეთით უპასუხებ.

- შეიძლება ნაკლებად შემცოდეს შეუნდო, მითუმეტეს, თუ იგი შენდობას ითხოვს, მაგრამ როგორ შევიყვარო მტრები, ისინი, რომელიც უსამართლოდ, საშინლად გვექცევიან?

- ცოდვა, რა თქმა უნდა, არ არის ის, თუ ასეთ დამნაშავეს სამართლებრივ ფარგლებში პასუხს მოთხოვ, მაგრამ ეს ურთიერთობის შედარებით დაბალი დონეა.

საერთოდ კი, შენ უნდა მოინდომო, მას აუხსნა საქმის რეალური ვითარება, რომ გადიზიანება დაიძლიოს; მაგრამ თუ ეს ქმედება ამაო გამოღგა, იგივე ახლა სხვათა საშუალებით გააკეთე; ხოლო თუ შედეგი ამ შემეთხვევაშიც ვერ მიიღე, ეცადე დათის საღიღებელად დაითმინო ცილისწმება, რითაც შენს სხვა მრავალ

ცოდვას აღხოცავ და სულიერადაც ამაღლდები; მაშინ „მტრის“ შეამიანი ქმედებების მიღმა დაინახავ, რომ შენი შეურაცხმყოფელი, ფაქტობრივად, თავისი ნებით წირავს თავს შენი განწმენდისათვის და ამასთან, უდირსი საქციელის გამო, საკუთარ თავს გაუცნობიერებლად, დათის რისხვას უმზადებს.

განა რა უნდა იყოს ამაზე მეტი სასჯელი მისთვის! შენ კი, თუ გონიერი ხარ, ასეთ პიროვნებაში დიდ კეთილისმყოფელს აღმოაჩენ, შეიძრალებ და შეიყვარებ მას.

ასე რომ, ჩვენი პირადი მტრის შეყვარება შესაძლებელია!

გავიხსენოთ მამა გაბრიელი (ურგებაძე), – აღმსარებელი და სალოხი.

მოგეხსენებათ, სალოსობის ინსტიტუტი, ძველი დროიდანვე იყო ცნობილი მართლმადიდებლობაში, მაგრამ ამ გზით მავალი ძალიან ცოტანი იყვნენ;

ისინი ყველას დასანახად ისე იქცევიან, რომ თავის არარაობას გაუსვან ხაზი და სხვათა თვალში დამცირდ-

ნენ. ანუ სალოსები მარტო კი არ ითმენდნენ შეურაცხყოფას, არამედ საზოგადოებაში ხელს უწყობდნენ მათზე უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რათა ყველასაგან ფარული, დიდი ღვაწლი ლოცვისა ეტვირთათ არა მარტო ცალქეული პიროვნებისა და ერისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ასე იცხოვრა მამა გაბრიელმაც, – დაიმდაბლა თავი და ამიტომაც ამაღლდა.

არანაკლები მადლობილება აქვთ ბეთანიელ ბერებსაც, - არქიმანდრიტებს: გიორგი მხეიძესა და გიორგი იოანეს(მაისურაძეს) და XX ს-ში გაბრწყინვებულ სხვა წმინდანებს (აღარაფერს ვამბობთ წინა საუკუნეებში მოღვაწე სხვა წმინდანებზე).

* გამოდის, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მტერი არ არსებობს?

- მტერი არსებობს და მისი სახელი არის ბოროტი სული, ეშმაკი, რომელიც თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს ცალქეულ პიროვნებებს, განსაკუთრებით ურწმუნოთ. აი, ვინ უნდა გვძულდეს და მოვიძაგოთ. მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები კი, - გვიყვარდეს და გვებრალებოდეს, როგორც სნეულნი და ვეცადოთ, ვუმკურნალოთ მათს წყლულებს.

არსებობს ასეთი მოკლე ლოცვა:

ღმერთო, აცხოვნე (უნდა ითქვას მაჭირვებულთა სახელი) და მისი ლოცვით მეც მაცხოვნე, – ამ სიტყვებში დიდი სიბრძნეა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, წამლობა ხშირად მწარეა, თუმცა მისი მიღება აუცილებელია ჩვენი გამოჯანმრთელებისთვის. ასეა ცხოვრებაშიც, სიყვარული არ ნიშნავს ყოველივეს პატიებას, დაუსჯელობას. უფალიც ხომ გვწვრთნის დანაშაულთა გამო! ამიტომაც, ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ სიყვარული არ ნიშნავს უმოქმედობას, რომ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ დირსების დაცვა და პატივმოყვარეობა,

თავდაცვა და ძალადობა, სიმართლის თქმა და განკითხვა, მხილება და დაბეზღება, დათმენა და სისუსტე.

შეუძლებელია, შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაიცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავალი როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც.

შეუძლებელია, სიწმინდის ტოლფასად ცოდვის აღიარებას გაიძულებდნენ და ეს დაუშვა.

შეუძლებელია, მეგობარს, ზოგადად ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებდნენ, ან თუნდაც... უსამართლოდ ეპყრობოდნენ და თანადგომა არ გაუწიო მას.

უკიდურესობები არაფერში არ ვარგა, მით უმეტეს, აზროვნებაში. ამ სფეროში უკიდურესობებს მივყავართ ან ფანატიზმამდე, ან ფსევდო-ლიბერალიზმამდე. ორივე გადახვევაა ჭეშმარიტებიდან და, ამდენად, მიუღებელიც.

პიროვნების სწორად ჩამოყალიბება დამოკიდებულია ოჯახში აღზრდაზე. ეს გარემო, სასწავლებელთან და ეკლესიასთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში.

პომუნისტური რეჟიმის პირობებში ბევრი რამ დამახინჯდა, გაუკუდმართდა, მათ შორის, შვილებისადმი სიყვარულიც. მშობლები თავისი გაგებით უფრთხილდებიან მათ და ცდილობენ, პქონდეთ საუკეთესო ჩასაცმელი, არაფერი ეტკინოთ, არ ეწყინოთ, არ დაიდალონ, არამედ გაერთონ და ისიამოვნონ... . ანუ უქმნიან სასათბურე პირობებს და თავისდაუნებურად ბავშვებში ეგოისტურ სულს აღაზევებენ.

ეს არის გაუცნობიერებელი მტრობა შვილების მიმართ!

ასეთი დამოკიდებულების შედეგად ახალგაზრდა უსუსერი ხდება, არა აქვს შინაგანი სიმტკიცე, ხშირად იჩენს სიმხდალეს, მუდმივად ეძებს საყრდენს და სხვაზეა დამოკიდებული, დაქვეითებული აქვს აზროვნებაც და სიცოცხლისუნარიანობაც; ამასთან, არის ამბიციური და „მე“-ზე ორიენტირებული.

ეს ყველაფერი სხვადასხვა ეკონომიური შესაძლებლობის მქონე ფენაში სხვადასხვა სახით ვლინდება, თუმცა დიდ ნაწილში ერთი საერთო მდგომარეობა შეიმჩნევა, – არსებულით დაქმაყოფილება, უინიაციტივობა და მიშვებულობა.

ხშირია შემთხვევები, როცა მათ ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ ეზარებათ ვითარების გამოსწორებისათვის ზრუნვა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფნიც, ზედმეტად თავს არ იწუხებენ, რადგან არა აქვთ ძიების სურვილი. ეს მოსწავლეები და სტუდენტები ამთავრებენ რა სასწავლებელს, ამთავრებენ ურთიერთობას წიგნთან და მხოლოდ ინტერნების თამაშებით იქცევენ თავს.

ბევრი მიეჩვია უშრომელად, ან შედარებით იოლი საქმიანობით, თავის გატანას და ადარ ეძებს სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად; ამასთან, თუ ერთხელ არ გაუმართლა მცდელობამ, უიმედობა იპყრობს, დეპრესიული ხდება და იწყებს ცხოვრების კიბეზე კიდევ უფრო დაღმა დაშვებას. ამიტომაც გამრავლდა ნარკომანია, ლოთობა, ქურდობა, მკვლელობა, აღვირასსნილობა...; ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია.

ჩვენი შვილები თავიდანვე ძლიერ პიროვნებებად უნდა აღვზარდოთ და, პირველ რიგში, დგთის სიყვარული და იმედი შთავუნერგოთ; იმედი იმისა, რომ თუ სწორად იცხოვრებენ, მარტონი არასოდეს იქნებიან და პირბლემებს უფლის შეწევნით აუცილებლად გადალახავენ.

ამასთან, პატარები უნდა მივაჩვიოთ შერიგებას, წევნის დაგორიჭებას, მეგობრებისადმი და, საერთოდ, ადამიანისადმი ერთგულებას, მადლიერებას, სხვის დახმარებას, სწორედ იმის გაღებას, რაც თვითონ ყველაზე მეტად უყვარს და სხვისი სიხარულით გახარებას, უნდა მივაჩვიოთ სამართლიანობას, ამტანობას, ტკივილის გაძლებას, როულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნას, რა თქმა უნდა, შრომასა და წიგნის კითხვას; ანუ მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვა აუცილე-

ბელია ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად, რომ საჭიროების შემთხვევაში თავიც დაიცვას და სხვაც, ამასთან, გაარჩიოს, სად არის შავი და სად – თეთრი, რა არის კარგი და რა – ცუდი პირადად მისოვის, მისი ოჯახისათვის, ახლობლებისა და ქვეყნისათვის, რომ თავის შინაგან სამყაროში იგრძნოს სილადე, თავისუფლება, სიძლიერე და სიყვარულით აღვსილო ამ თვისებების სხვათათვის გამზიარებელი იყოს სიცოცხლის ბოლომდე.

ამ მიზნის მისაღწევად დედ-მამაშ პირადი მაგალითი უნდა უჩვენონ და, ამავე დროს, ურთიერთპატივისცემითა და შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ.

ქართველი ქალი ყოველთვის იყო ოჯახის დედა-ბოძი და დღესაც, ემანსიპაციის პირობებში, ისევ მან უნდა შეძლოს მთავარი გამარტინასწორებლი როლის შესრულება ოჯახში და ყველა წევრის ჩაბმა მომავალი თაობის სწორად აღზრდის პროცესში (აქ იგულისხმება ოჯახური საუბრები, საინტერესო თემების განხილვა და სხვა).

სახელმწიფოს ვალდებულებაა, ბავშვები დაიცვას მავნე ზეგავლენებისაგან, შესთავაზოს სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი და ამასთან სკოლიდანვე შეაჩვიონ პატარები ანალიტიკურ აზროვნებას; უნდა შეიქმნას ფილოსოფიური და ლიტერატურული წრეები, სადაც მოსწავლები წაიკითხავენ საინტერესო წიგნებს და გაარჩევენ მათ, დაწერენ თავისუფალ თემებს და იმსჯელებენ სხვადასხვა საკითხზე.

ახალგაზრდებმა და, საერთოდ, ნებისმიერმა პიროვნებამ, ლრმა აზროვნების განსავითარებლად საჭიროა იკითხონ როგორც სასულიერო წიგნები, ისე მხატვრული, ფილოსოფიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური და საბუნებისმეტყველო ლიტერატურა; ამის გარეშე მათი ხედვის დიაპაზონი ვიწრო იქნება და ვერ გააკეთებენ სწორ არჩევანს.

ისინი უნდა აკონტროლებდნენ თავის ფიქრებს, უნდა იცოდნენ, სად არის ოქროს შუალედი, სად უნდა დაედოს ზღვარი მათს აზროვნებას, რომ უფლისაგან მონიჭებული არჩევა

ვანის უფლება და თავისუფლება ბოროტის მასახურებად არ აქციონ. თუ ეს განხორციელდა, მაშინ მშობლებს შეუძლიათ ჩათვალონ თავისი ვალი შვილებისა და სამშობლოს წინაშე აღსრულებულად.

დაახლოებით ასეთია მორწმუნის დამოკიდებულება ბედნიერებისადმი.

ყოველივე ზემოთქმული კი ემსახურება ერთ მიზანს, რომ ჩვენ ვისწავლოთ იმ გზებით სიარული, რომელიც ნამდვილ ბედნიერებასა და სიყვარულს გვაზიარებს და რწმენით, ჰეშმარიტებით, სიწმინდით, სიკეთითა და სიხარულით აღგვაგსებს.

ამ მადლს არცერთი ეპოქა არ მოიცავდა სრულად, მაგრამ არც ისეთი დრო ყოფილა ოდესმე, რომ სრულად განძარვლი ყოფილიყო იგი ამ წყალობათაგან.

დღესაც, ტექნიკის განვითარებისა და მისი ბატონობის პერიოდში, ამბიციურობის, ცრუ პუმანიზმის, ნელ-თბილი რწმენისა და ბოროტან საიდუმლო გარიგების ხანაში, კვლავ გვესმის აღდგომილი მაცხოვრის იმედისმომცემი და განმამტკიცებელი ხმა:

„მე ოქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მო. 28,20)!

მაშ, ვისი მეშინოდეს, ან ვისგან შევძრწუნდე?

მართალია, ბოროტი ძალა გამუდმებით გვებრძვის, მაგრამ მასზე განუზომლად ძლიერი და დაუსაბამოა დმერთი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის და დღესაც

სააღდგომო ტრაპეზზე გვიხმობს: ქართველებს, ოსებს, რუსებს, აფხაზებს, ბერძნებს, იეზიდებს, უდიებს, ასირიელებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უკრაინელებს, . . . როგორც მესამე, ისე მეთერთმეტე უამის ქრისტიანებს.

მაშ, რომელი ხართ კეთილ მსახურნი და ღმრთისმოყვარენი, იშვებდით კეთილსა ამას და ბრწყინვალესა კრებასა; რომელი არს მონა კეთილგონიერი, შევედინ სიხარულით სიხარულსა ამას უფლისასა... და ყოველთავე მიიღეთ სიმ-

დიდორე სიტკბოებისა..., რამეთუ აღსდგა ქრისტე და დაირღვა
ჯოჯოხეთი; აღსდგა ქრისტე და დაეცნეს ეშმაქნი; აღსდგა
ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს, აღსდგა ქრისტე და არ-
ცალა ერთი მკუდართაგანიც არს საფლავსა შინა, აღსდგა
ქრისტე მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა,
რომლისა არს დიდება და სიმტკიცე, უკუნითი უკუნისამდე,
ამინ!

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
სრულიად საქართველოს ქათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი
ილია II
აღდგომა ქრისტესი 2014,**

20 აპრილი.

**გოგიართი მოსაზრება პერსონალის
მართვის სამსახურის მუშაობის
სრულყოფის საკითხებზე**

ნებგარ კაიჭაძე

იგ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

პერსონალის სამსახურის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. იგი ორგანიზაციათა განვითარების და მათი ეფექტიანი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, ერთობ აქტუალურია პერსონალის სამსახურთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების მეცნიერებული კვლევა. მოცემულ პრობლემაზე როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე საქართველოში მრავალი სამეცნიერო შრომაა შესრულებული. მიუხედავად ამისა, ადამიანური რესურსების მართვის აღნიშნული კონკრეტული პრობლემის შესწავლას, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ ექცევა. წინამდებარე სტატია ამ ხარგების შემცირების მორიდებული ცდაა. მასში, სათანადო სამამულო და საზღვარგარეთულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, გამოთქმულია ზოგიერთი მოსახრება პერსონალის სამსახურის როლთან, ფუნქციებსა და მნიშვნელობასთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე.

ორგანიზაციათა საკადრო სამსახურები დაკავებულია პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხებით, როგორიცაა: ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების დამუშავება და დანერგვა, ორგანიზაციული სტრუქტურის დაპროექტება და დამუშავება, ადამიანური რესურსე-

ბის დაგეგმვა, ცოდნისა და უნარების მართვა, პერსონალის სწავლება და განვითარება, პერსონალის შერჩევა და სამუშაოზე მიღება, შრომის ანაზღაურებისა და პრემირების ორგანიზაცია, შრომითი ურთიერთობების მართვა, შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა, სოციალური უზრუნველყოფა და სხვ. პერსონალის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მომუშავეთა დასაქმებასა და განვითარებასთან, აგრეთვე, მენეჯერებსა და მომუშავეებს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებული ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, მან უნდა შეასრულოს წამყვანი როლი, თანამშრომელთა მიერ თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენების უზრუნველმყოფელი, მუშაობის კეთილსასურველი გარემოს შექმნაში და უზრუნველყოს მომუშავეთა პოტენციალის რეალიზაცია ორგანიზაციისა და ცალკეული ინდივიდის ინტერესების სასარგებლოდ.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გადამწყვეტი როლი შეასრულოს ორგანიზაციაში მიმდინარე პროგრესული ცვლილებების მართვაში. მხოლოდ ამ გზით შეძლებს იგი თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ორგანიზაციის მუშაობის ხარისხის ამაღლებაში. ადამიანური რესურსების მართვის პრობლემებზე მომუშავე მკვლევარის –ულრიხის მტკიცბით, პერსონალის მართვის სპეციალისტთა მთავარი ამოცანაა იყვნენ ცვლილებების აგენტები, რათა უზრუნველყონ ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და კულტურის ცვლილება [1,გვ.78]. ამიტომაა, რომ ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვაში, უპირველეს ყოვლისა, გულსხმობენ ცვლილებების მართვას გრძელვადიანი გეგმების შექმნისა და დანერგვის პროცესში.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების წვლილი ორგანიზაციაში მიმდინარე პროგრესულ ცვლილება-

ექონომიკური თეორია და ექონომიკური პოლიტიკა

თა მართვაში გამოიხატება როგორც მის ინიცირებაში, ასევე მასტაბილიზებელი როლის შესრულებაში, როცა ცვლილებებს შეიძლება ახლდეს უარყოფითი შედეგები, ზოგჯერ დამანგრეველიც კი. შესაბამის სპეციალისტთა აზრით, მოცემულ განცოფილებას შეუძლია დაეხმაროს ორგანიზაციას ისეთ საკითხებში, როგორიცაა: დანაკარგების გარეშე ხანგრძლივი ცვლილებების გადასატანად უნარის გამომუშავება, ცვლილებათა ზემოქმედების შესაფასებლად აუცილებელი ცოდნის დაუფლება, დაგეგმილ ცვლილებებში საჭირო კორექტივების შეტანა, ცვლილებებისადმი ახალი მიღების შემუშავება და სხვ.

ორგანიზაციებში ცვლილებები, როგორიც არ უნდა იყოს ის, როგორც წესი, მტკიცნეულად მიმდინარეობს. პერსონალის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა შეიმუშაოს და განახორციელოს მომუშავეებში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებული მოსალოდნელი უკმაყოფილების შემასტუბუქებელი დონისძიებანი. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პერსონალის მართვის განცოფილებამ გამოავლინოს ცვლილებებისადმი ადამიანთა წინააღმდეგობის მიზეზები და შეიმუშაოს მეთოდები და გზები ამ წინააღმდეგობათა გადასალახად (შესამცირებლად). ყოველივე ეს დაეხმარება ხელმძღვანელობას მომავალ ცვლილებათა განხორციელების სასურველობის დადგენაში. შესაბამის სპეციალისტებს [1, გვ. 79], სავსებით სამართლიანად, მიაჩნიათ, რომ ორგანიზაციებში გატარებულ ცვლილებებთან დაკავშირებული მომუშავეთა უკმაყოფილების შესამცირებლად, პირველ რიგში, საჭიროა მომუშავეები ნათლად ხედავდნენ გასატარებელ ცვლილებათა შედეგებს. მათ უნდა ესმოდეთ ცვლილებათა მნიშვნელობა და გრძნობდნენ რა როლს ითამაშებს იგი მათთვის და კომპანიისათვის ხანმოკლე და ხანგრძლივ პერსპექტივაში. გარდა ამისა, საჭიროა ორგანიზაციაში შეიქმნას ისეთი გარემო, რომლის დროსაც ცვლილე-

ნებარ პატარი

ბათა ჩატარების აუცილებლობის იდეათა მომხრეები პატივისცემით სარგებლობდნენ. მოცემულ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა: გასატარებელ ცვლილებებს მხარს უჭერენ თუ არა ორგანიზაციის წამყვანი ფიგურები, რამდენადაა იგი კავშირში კადრების შერჩევასთან, სწავლებასთან, წახალისებასთან, სტრუქტურასა და კომუნიკაციასთან, განსაზღვრულია თუ არა ცვლილებათა წარმატების გაზომვის მეთოდები და სხვ.

ადამიანური რესურსების მართვის როლი და მეთოდები განსხვავებულია სხვადასხვა ორგანიზაციაში. მისი ორგანიზება და დაკომპლექტება პირდაპირაა დამოკიდებული ორგანიზაციის ზომასა და მისი საქმიანობის დეცენტრალიზაციის დონეზე, შესრულებული სამუშაოს სახესა და სამუშაოდ მისაღებ მუშაკთა კატეგორიაზე, მომსახურების იმ კონკრეტულ სახეებზე, რომელთა გაწევა ამ განყოფილების პრეროგატივაა და ა. შ. რაც შეეხება მოცემული განყოფილების სიღიძეს, პრაქტიკაში არ არსებობს წინასწარ დადგენილი რაიმე წესი, რომელიც განსაზღვრავდა სტანდარტულ თანაფარდობას მასსა და ორგანიზაციის მომუშავეთა საერთო რაოდენობას შორის. მოცემულ თანაფარდობაზე მოქმედებს ყველა ზემოხსენებული და სხვა მრავალი ფაქტორი. ამიტომ, გადაწყვეტილება ამის თაობაზე მიღებულ უნდა იქნეს ისეთი საკითხების გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე, როგორიცაა: რომელ სახეებში გაუწევს განყოფილება ორგანიზაციას მომსახურებას და როგორი ხარისხით იქნება იგი უზრუნველყოფილი შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრებით, სჭირდება თუ არა ორგანიზაციას გარედან დახმარება კონსულტანტებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ორგანიზაციაში პერსონალის მართვის სამსახურის ორგანიზების ერთიანი წესი არ არსებობს, პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია პრინციპები,

ეპონომიკური თეორია და ეპონომიკური პოლიტიკა

რომელთა დაცვა, ორგანიზაციის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია. ასეთებია: **ა)** პერსონალის სამსახურის ხელმძღვანელი უშუალოდ უნდა ექვემდებარებოდეს ორგანიზაციის პირველ ხელმძღვანელს და მიეკუთვნებოდეს უმაღლესი დონის ხელმძღვანელობას. კოველივე ეს (სტატუსის ამაღლება) გაზრდის მის პასუხისმგებლობას და უფრო მეტ სტიმულს მისცემს თავისი წვლილი შეიტანოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სტრატეგიის ფორმირებაში; **ბ)** პერსონალის სამსახურში დასაქმებულ კადრებს, თავიანთი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, უნდა შეეძლოთ მოცემული ორგანიზაციისათვის საჭირო აუცილებელი დონის კონსულტაციებისა და მომსახურების გაწევა; **გ)** აღნიშნულ განყოფილებას უნდა შეეძლოს გასწიოს მაღალი დონის მომსახურება ორგანიზაციის საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, პერსონალის განვითარება, სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ანაზღაურებისა და პრემირების ორგანიზაცია, შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა და ა. შ.

პერსონალის სამსახურის გამართულ ფუნქციონირებაში განსაკუთრებული როლი აკისრია მარკეტინგს. საქმე ისაა, რომ უმაღლესი და საშუალო რგოლის ხაზობრივი ხელმძღვანელებია ის შიგა შემკვეთები, რომელთა სურვილი და მოთხოვნილებები უნდა გამოავლინოს და დააკმაყოფილოს პერსონალის მართვის სამსახურმა. ამის გასაკეთებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მარკეტინგული გამოკვლევის ჩატარება. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ბიზნესის მოთხოვნილება, საით მოძრაობს მოცემული საწარმო და რა გზებით აპირებს იგი თავისი მიზნების მიღწევას. მარკეტინგული გამოკვლევის შედეგები გამოხატულებას პოულობს საქონლისა და მომსახურების განვითარების მარკეტინგულ გეგმებში. ისინი, როგორც წესი, მოიცავს სხვადასხვა სახის

ნებარ პარტია

ინიციატივების შემუშავებისა და დანერგვის და მათი განხორციელების შედეგად მიღებულ სარგებლიანობას. მეტად მნიშვნელოვანია, თუ ამ უკანასკნელის გამოხატვა მოხერხდება ციფრებით.

პერსონალის სამსახური მოწოდებულია მოახდინოს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცება. იგი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: **1)** ქვედანაყოფის მიზნებისა და საქმიანობის გაემების განსაზღვრა; **2)** დასახულ მიზანთა მისაღწევად საქმიანობის აუცილებელ დონეთა პროგნოზი; **3)** აქტიურობის განსაზღვრული დონის მიღწევისათვის საჭირო რესურსების (სამუშაო ძალისა და ფინანსების) შეფასება; **4)** საქმიანობის თითოეული მიმართულებისათვის დანახარჯების გაანგარიშება, რომელთა შეკრებით მიიღება განყოფილების ბიუჯეტის ჯამური ციფრი. მიღებული ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარედგინება ორგანიზაციის უმაღლეს ხელმძღვანელიბას. ბიუჯეტის დამტკიცებისას საჭიროა მომზადდეს დამაჯერებელი დასკვნა განყოფილების საქმიანობის თითოეული მიმართულების მიხედვით, დანახარჯების/ შემოსავლების გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე.

ტრადიციულად, თითოეულ ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების გამოყენების სფეროში მომსახურებას მთლიანდ ახორციელებდა თვით ორგანიზაცია. დღეს, საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში, სულ უფრო და უფრო მკვიდრდება პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებები თავიანთი საქმიანობის ზოგიერთ ფუნქციას შესასრულებლად გადასცემენ გარე საკონსულტაციო ფირმებს ან სხვა აგენტებს, რომლებიც წარმატებით ეწვიან მომსახურებას ადამიანური რესურსების განვითარებისა და გამოყენების სხვადასხვა სფეროში (კადრების შერჩევა, სწავლება, ხელფასისა და პრემირების ორგანიზაცია, სოციალური დახმარება და ა. შ.). მომსახურების აღნიშნული ფორმის

ეპონომიკური თეორია და ეპონომიკური პოლიტიკა

გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: **ა)** როცა ადგილი აქვს ასეთი მომსახურების სიიაფით განპირობებულ ეკონომიას და რასაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანური რესურსების განყოფილების ზომის შემცირება; **ბ)** როცა იგი იძლევა მთავარი საკვანძო საკითხების გადაწყვეტაზე პერსონალის მართვის სამსახურის კონცენტრაციის საშუალებას; **გ)** როცა იგი ისეთი სპეციალური ცოდნის შექმნის საშუალებას იძლევა, რომელიც არაა მოცემულ ორგანიზაციაში. ამასთან ერთად, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში გარე რესურსების გამოყენების უპირატესობას ახლავს პრობლემებიც. მაგალითად, გარე მომსახურე ფირმები, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რომლებიც გამართლებულია მოცემული მომენტისათვის და ყურადღებიდან რჩებათ მომავალი პერიოდის მოთხოვნები. გარდა ამისა, იგი უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების პრობლემებზე მომუშავეთა განწყობილებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული საკითხის გადაწყვეტისას, აუცილებელია მოხდეს მისი გამოყენების მიზანშეწონილობის ყოველმხრივი შესწავლა, გაანალიზდეს მისგან მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგები და მხოლოდ ამის შემდეგ იქნეს მიღებული სათანადო გადაწყვეტილება.

დიდი მნიშვნელობა აქვს რამდენად სწორად იქნება შერჩეული გარედან მომსახურე ფირმები და ცალკეული დამოუკიდებელი კონსულტანტები. განვითარებულ ქაფენებში, სადაც ფართოდ იყენებენ მოცემული სახის მომსახურებას, ასეთი შერჩევისას შეცდომის დაშვების შემცირების მიზნით, როგორც წესი, თავიდან მომსახურებაზე წინადადებით მიმართავენ 3 ან 4 ფირმას. მომსახურე ფირმების მიერ საპასუხოდ შემოთავაზებულ წინადადებებში დაწვრილებით და ნათლად გადმოცემული უნდა იყოს შემკვეთის მიერ დასმული ამოცანის მიღწევის გზები და მისი ფასი. კონკრეტული

ნებგარ პარტია

ფირმის არჩევისას, პირველ რიგში, ითვალისწინებენ შემოთ-ავაზებული წინადაღება რამდენად აკმაყოფილებს შემკვეთი ორგანიზაციის მოთხოვნებს, აგრეთვე, ფირმის განვითარების დონესა და რეპუტაციას, გასაწევი მომსახურების ფასს. ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემკვეთ ორგანიზაციასა და მომსახურე ფირმას (დამოუკიდებელ ცონსულტანტს) შორის იდება სათანადო კონტრაქტი, რომელშიაც მკაფიოდად ჩამოთვლილი გასაწევი მომსახურებანი და მათი ფასი, კონტრაქტის შეწყვეტის პირობები.

გარე მომსახურე ორგანიზაციები უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მმართველობით და სამართლებრივ სტანდარტებს. განსაკუთრებული კურადღება უქცევა ინფორმაციული მმართველობითი სისტემის გამართულობას, რომ მან უზრუნველყოს მომსახურე ფირმის მიერ სამუშაოს შესრულებაზე თვალყურის დევნება. როცა რაღაც წესრიგში არაა, საჭიროა მიღებულ იქნეს შესაბამისი მაკორექტირებელი ზომები, ხოლო სერიოზული პრობლემების წარმოშობისას ხდება დადგებული კონტრაქტის შეწყვეტა. სამართლებრივი თვალსაზრისით, შემკვეთ ორგანიზაციას უფლება აქვს მკაცრად მოითხოვოს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება. თავის მხრივ, მათი მოვალეობაა, ასევე მკაცრად შესარულონ მათ მხრიდან აღებული ისეთი ვალდებულებანი, როგორიცაა: მომსახურე ფირმისათვის კონტრაქტით გათვალისწინებული წარმოებრივი შესაძლებლობების მიწოდება, ლიზინგის პირობების დაცვა, კონტრაქტით შეთანხმებული თანხის გადახდა და სხვ.

საზღვარგარეთის რიგ მაღალგანვითარებული ქვეყნის პრაქტიკში გავრცელებულია ადამიანური რესურსების გამოყენების სფეროში ე.წ. კოლექტიური გამოყენების მომსახურება. იგი ეხება მომსახურებებს, რომლებსაც ადამიანური რესურსების ცენტრალური განყოფილება აწვდის მომსმარებელთა გარკვეულ ერთობლიობას და რომლებიც ერთნაირია

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

————— ҘЈМБТАПЈАКЛ ПОСТАЛО А ЃА ЈЈМБТАПЈАКЛ ЗМЛЧИВОЈА пора, когда уничтожают не отсталость, а отсталых.» [12, с. 86-87].

6. Однако уничтожают «отсталых» прежде всего как «производителей» собственной продукции – и сохраняют их же в качестве «потребителей» продукции стран-лидеров. Это еще один принципиальный момент – МКХ, являясь именно капиталистическим хозяйством, просто обречено на экспансию, на постоянное расширение. Именно поэтому *«Система МКХ сможет сохраниться только в случае удержания развивающихся стран в этой системе.* Об этом свидетельствует тот факт, что расширенное воспроизводство общественного капитала в системе МКХ возможно лишь при наличии в ней развивающихся стран. Как можно судить по прогнозу для системы МКХ в целом, *без развивающихся стран МКХ придется свертывать свою деятельность.»* [9, с. 59].

7. Развивающиеся страны будут нужны МКХ не в любом качестве – их место, роль и функции четко и жестко определены: *«Развивающиеся страны понадобятся системе МКХ скорее как потребители, а не как производители, не как участники мирового производственного процесса... По-видимому, слаборазвитые страны какое-то время будут выступать в роли катализатора экономической активности подобно тому, как это недавно было с военным производством.»* [9, с.59-60]

8. Как отмечает М Голанский, в МКХ ничто не пускается «на самотек»: *«Подготовка развивающихся стран к роли потребителей в системе МКХ осуществляется с помощью так называемого демонстрационного эффекта, который служит мощным средством насаждения среднемировых стандартов потребления в этих странах и формирует их структуру потребления на соответствующий лад.»* [9, с. 60].

9. О том, чтобы со временем перейти из разряда «развивающихся» стран в разряд «развитых» (т.е. из «потребителей» продукции превратиться в ее «производителей») в системе МКХ можно забыть навсегда – не для этого она создавалась: *«В системе МКХ развивающиеся страны не имеют возможности преодолевать или сколько-нибудь существенно уменьшать свое отставание от развитых капиталистических стран в порядке саморазвития.* Об этом свидетельствуют результаты прогноза по открытому сценарию, когда враждебное действие закона стоимости

МКХ по отношению к ним проявляется с особой силой (в виде установления практически запретительных нормативов экономической деятельности)» [9, с. 60]

Работы М.М. Голанского содержат еще массу интереснейших – *остроактуальных*, что само по себе интересно, учитывая время создания этих работ - выводов по результатам интерпретации математических расчетов, однако мы, в целях настоящей работы, остановимся на вышеприведенных, поскольку они в достаточной степени описывают «почву» для возникновения организации, подобной ВТО.

Итак, условием выживания, самого существования МКХ является постоянная экспансия, занятие все новых «сфер» и «ниш». Если таких «сфер» и «ниш» нет или недостаточно – МКХ их искусственно формирует – путем перевода все большего количества стран в разряд «развивающихся», т.е. в разряд «потребителей» продукции МКХ.

ВТО как раз и является инструментом формирования «жизненного пространства» для системы мирового капиталистического хозяйства.

Об этом очень хорошо М. Голанский пишет в другой, более поздней, своей работе: «Итак, многовариантные прогнозы по миру в целом и по отдельным странам однозначно предсказывают взлет глобального монстра в виде всемогущего мирового рынка... Новорожденный глобальный монстр сразу же получил в свое распоряжение беспрецедентные полномочия и эффективные средства распределения производства между странами и властного установления структуры мирового производства...» посредством «...мощного механизма ценостного регулирования. » [12, с.86-88].

Одним из таких «эффективных средств распределения производства между странами и властного установления структуры мирового производства», наряду с МВФ и ВБ, является ВТО, что и подтверждается всей историей существования этой организации [13].

Все последующие события – разделение стран на «развитые» и «развивающиеся», принципы и границы такого разделения, роль и функции «развитых» и «развивающихся» стран в МКХ, их взаимодействие, инструменты такого взаимодействия (в том числе и ВТО) –

есть лишь неизбежное следствие свершившегося факта - единственной *СР-системой в мире является мировое хозяйство в целом*, обозначаемое М. Голанским как «*система МКХ*». Все вышеназванные экономические объекты и институты (в том числе и ВТО) есть неотъемлемая часть этой, весьма жесткой и цельной, системы – системы МКХ. А это значит, что их возникновение и существование носит объективный характер и их видоизменение и упразднение возможно лишь в следствии видоизменения или упразднения создавшей их структуры – системы МКХ. Невозможно произвольно «выдернуть» из этой системы какой-то элемент, просто потому, что «он нам не нравится» и даже потому, что он «неправильный» и «несправедливый». Во-первых, о «правильности» и «справедливости» можно судить только с позиций всей системы в целом, а не с позиций отдельных ее элементов. Во-вторых, любой элемент системы до тех пор, пока он нужен самой системе, будет восстановлен.

То есть, например, ВТО, даже будучи уничтоженной под давлением, предположим, общественности, непременно возродится в новой форме, но с прежним содержанием. И будет возрождаться до тех пор, пока создавшей его структуре – системе МКХ – для обеспечения ее функционирования будут нужны выполняемые ВТО функции. Надобность в таких функциях (и, следовательно, в ВТО) исчезнет только с исчезновением самой структуры – системы МКХ.

В свою очередь, *система МКХ*, будучи «*производной* от особенностей господствующих технологий, может быть естественным образом «*отменена*» переходом на другие технологии – основанные на других принципах и не требующие для собственного воспроизведения институтов, подобных ВТО. Исследования показывают, что такими технологиями могут стать технологии шестого технологического уклада (далее – 6 ТУ). В осознании этого, как представляется, и заключается главный итог пребывания России в ВТО.

Выводы:

- Во-первых, труды М.М. Голанского, созданная им математическая модель, полностью подтвержденная практикой, позволяют утверждать: **экономика – наука точная, экономические процессы**

– как местные, так и глобальные, как современные, так и будущие – поддаются точному научному прогнозированию. Причины «правильности» существующих прогнозов – неадекватность исходных посылок. Этот вывод, как мы полагаем, имеет самостоятельное значение, в частности, для создания действенного и эффективного уже в современных условиях аппарата экономического прогнозирования;

- во-вторых, именно М.М. Голанский «вычислил» и описал (фактически – *предсказал*) **ВТО как неотъемлемый элемент существующей экономической системы**: объективную необходимость возникновения такой структуры, как ВТО, ее роль и задачи в системе МКХ, способы и методы ее работы, результаты ее деятельности для всех участников системы МКХ, ее значимость для самого существования системы МКХ и т.п. Определение ВТО не как «автономной» организации, а как «системного элемента», т.е. как «элемента системы МКХ» дает понимание способов взаимодействия с ней: понятно, что бороться с «элементом системы», находясь «внутри» этой системы и будучи, фактически, другим ее «элементом», возможно, но малоэффективно. Все элементы системы, в том числе и ВТО, будут воспроизводиться до тех пор, пока будет воспроизводиться сама система МКХ. «Избавиться» от ВТО можно, только избавившись от системы МКХ в ее существующем виде;

- в-третьих, исследования автора в области экономики знаний позволяют утверждать, что **возможности** (объективные, что принципиально, возможности) **кардинального изменения системы МКХ сегодня уже существуют** (чего не было во времена М.М. Голанского). Они заложены в особенностях технологий, приходящих на смену тех технологий, для реализации которых в свое время и создавалась система МКХ. Это технологии шестого технологического уклада, позволяющие заменить характерный для предыдущих технологических укладов процесс «сборки» готового продукта из множества полуфабрикатов процессом непосредственного - «здесь и сейчас» - изготовления готового продукта из исходного вещества Природы. Один из наиболее очевидных примеров – технологии изготовления на 3Д принтере. *Подобные технологии* (изготовления «здесь и сейчас»)

час») не требуют сложной системы поставщиков полуфабрикатов и продавцов готовой продукции, т.е. фактически, *не требуют рынка* – как локального, так и глобального, мирового рынка со всеми его «элементами» и «инструментами», в том числе и ВТО.

То есть окончательно решить «проблему ВТО» можно путем перехода на технологии шестого технологического уклада, объективно не нуждающиеся для своего воспроизведения в «услугах» таких институтов как ВТО. Именно в этом, как мы полагаем, и заключаются главные «уроки» ВТО для России.

WTO: Lessons for Russia

Pilipenko E.V

The article is devoted to consideration of the results of Russia to the WTO, the search for solutions arising in connection with this socio-economic problems. The author's approach is to consider the WTO as objectively-based tool for implementation of certain technological structure, the consequence of establishment of which was the emergence of such a supranational structure as a global capitalist economy. The WTO is an integral part of this system. And it means that the WTO may disappear only with the disappearance of the structure itself. In turn, the system of the world capitalist economy can be naturally «cancelled» switching technology based on different principles, which do not require institutions like the WTO.

Список литературы:

1. В Госдуме прошел круглый стол»» Последствия присоединения России к ВТО: кто выиграл?». [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://www.trkterra.ru/tag/vto>
2. Бежать от ВТО! И чем быстрей, тем дальше. [Электрон-

ный ресурс] – Режим доступа: <http://www.audit-it.ru/club/user/32690/blog/9687/>

3. Ничего, кроме убытков: год как Россия в ВТО. [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://www.km.ru/economics/2013/06/24/peregovory-o-vstuplenii-rossii-v-vto/714373>

4. Вступление России в ВТО оказалось бесполезным. [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://www.newizv.ru/politics/2013-06-28/184761-vstuplenie-rossii-v-vto-okazalos-bespoleznym.html>

5. ВТО разоряет российских молочников [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://newsland.com/news/detail/id/1204097/>

6. Вступление России в ВТО: год прошел, а бизнес разочарован. [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://www.inosmi.ru/russia/20130627/210435835.html>

7. Вступление в ВТО — это наш билет на «Титаник». [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://www.business-gazeta.ru/article/58544/>

8. ВТО – удавка для России. [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://runa.pro/doc/economika/vto-udavka-dlya-rossii.html>

9. Голанский М.М. Что нас ждет в 2015 году? (экономический прогноз против утопий) - М.: Наука. Главная редакция восточной литературы, 1992;

10. Там же, с.59;

11. Марк Голанский. Новые тенденции в мировой экономике. [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://lib.ru/POLITOLOG/golansky.txt>

12. Голанский М.М. Современная политэкономия. Что век грядущий нам готовит?» М.: «Эдиториал УРСС, 1998.- С.86;

13. А. Ждановская Что такое ВТО? В чьих интересах в ВТО принимаются решения? Чем опасна ВТО? [Электронный ресурс] – Режим доступа: http://scepsis.net/library/id_2546.html

სახელმწიფო შესყიდვების ღა
პონეურენცის უზრუნველყოფის
კირობები

შალვა გოგიაშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
სლავა ჭეთელავა,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კონკურენციის დაცვა სახელმწიფო შესყიდვების საკონკურსო წესით გამართვისას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პრაქტიკულად ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ხორციელდება საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე კონკურსში გამარჯვებული კომპანიებისათვის სათანადო კონტრაქტების გაფორმება, გამოვლენილია ასეულობით გაყალბებული განაცხადი, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული კომპანიების მხრიდან არის მცდელობა კონკურენციული უპირატესობის გარეშე მიაღწიონ წარმატებას (კონკურსში გამარჯვებას) და კონკურენციულზე უფრო მაღალი ფასების შეთავაზების პირობებში მიიღონ მონოპოლიურად მაღალი მოგება. ასეთი მაგალითები მრავლადაა თვით ეკონომიკურად ისეთ მოწინავე ქვეყნებშიც კი, როგორიცაა აშშ, კანადა, გერმანია, იაპონია და სხვა. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ საკონკურსო ვაჭრობა სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების საჯარო განაწილების დროს, საზოგადოების ინტერესების დაცვის

შალვა გოგიაშვილი, სლავა უგცელავა

მნიშვნელოვან მეოთხს წარმოადგენს. ამასთან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საკონკურსო ვაჭრობის პროცესში შეიძლება დაიირღვეს კონკურენციის პრინციპი; ამიტომ, ამ ნეგატიური მოვლენის აღსაკვეთად ან გასანეიტრალებლად მაინც, აუცილებელია სპეციალური პრევენციული დამცავი ზომების შემუშავება და პრაქტიკული გამოყენება.

ამ მიზნით სტატიაში, ერთი მხრივ, განხილული და დასაბუთებულია საკონკურსო ვაჭრობის მიზანშეწონილობა და მისი უალტერნატივობა სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობის უზრუნველყოფის საქმეში, მაგრამ, მეორე მხრივ, მითითებულია თანმდევი საფრთხეების თაობაზეც. აქვე აღწერილია საკონკურსო ვაჭრობის ტიპური პროცედურა აშშ-ისათვის(სტატიის თემატიკიდან გამომდინარე იგივე ხასიათის პრობლემები დგას ყველა სხვა მსხვილმასშტაბიან თუ მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში); ნაშრომში წარმოდგნილია ასევე რეკომენდაციები საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესახებ, რომლის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლებისა და საერთოდ, საზოგადოების დაცვა განაცხადების გაყალბებისა და სხვა სახის თაღლითობებისაგა [1, გვ.134].

ისმის კითხვა, თუ რისთვისაა საჭირო სახელმწიფო შესყიდვებში ვაჭრობის საკონკურსო წესის გამოყენება და რა დანიშნულება აქვს მას. პასუხი ცალსახაა. საკონკურსო ვაჭრობა ეწყობა საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით დანახარჯების მინიმიზაციისათვის. სამთავრობო (და ბევრი კერძო) მყიდველები და გამყიდველები საკონკურსო ვაჭრობის ფორმას იყენებენ იმიტომ, რომ ისარგებლონ ჯანსაღი კონკურენციის უპირატესობებით საქონლის ყიდვა-გაყიდვისას. ამასთან, როდესაც ისინი მოქმედებენ მყიდველის სტატუსით, სურთ რაც შეიძლება მეტი საქონელი და

მომსახურება უფრო დაბალ ფასად მიიღონ, ხოლო როდესაც გამყიდვების პოზიციიდან მოქმედებენ, სურთ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღონ საქონლის შედარებით მაღალ ფასად გაყიდვით. ამდენად, საკონკურსო წესით ვაჭრობა სხვა არაფერია, თუ არა ჯანსაღ კონკურენციულ გარემოში კონტრაქტის პატიოსნად და კეთილსინდისიერად გადაცემის საშუალება, რომელიც გამორიცხავს ფავორიტიზმს, არაპატიოსან გარიგებებსა და კორუფციას.

მეორე მხრივ, რა საფრთხეები შეიძლება ემუქრებოდეს საკონკურსო ვაჭრობის პროცედურას?

განაცხადების გაყალბება, როცა ვაჭრობის მონაწილეები ახერხებენ შეთანხმებას და უარს აცხადებენ რა კონკურენციაზე, ატყუბებენ სატენდერო კომისიას;

კორუფცია - ვაჭრობის ერთ-ერთი მონაწილე და ხელისუფლების რომელიმე მოხელე(კომისიის წევრი) თანხმდებიან, რათა ყველაფერი ისე მოაწყონ, რომ ჯანსაღი კონკურენციისა და გამარჯვებულის პატიოსნად გამოვლენის ნაცვლად, კონტრაქტი მიიღოს სწორედ მათმა ფავორიტმა მონაწილეები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სატენდერო ვაჭრობის გამართვისას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ განაცხადის გაყალბება შეიძლება მრავალი ფორმით განხორციელდეს, მაგრამ ყველა მათგანი ერთი და იმავე ძირითადი სქემიდან გამომდინარეობს: თუ მონაწილეები შეძლებენ და შეთანხმდებიან, რომ არ გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია საკონკურსო ვაჭრობისას, მაშინ ისინი შეძლებენ შესთავაზონ კომისიას(მთავრობას) უფრო მაღალი ფასი თავიანთი მომსახურებისათვის. არსებითად, ამ შემთხვევაში განმცხადებლები ახდენენ კარტელური ტიპის გარიგებას და თანხმდებიან, რომ იმოქმედონ მონოპოლიის სახით.

მაღლა მოგიაშვილი, სლავა უეხელავა

ახლა განვიხილოთ საკონკურსო ვაჭრობის პროცედურები აშშ-ში; ზოგადად, ეს პროცედურები რამდენიმე ძირითად ნაწილად იყოფა. საკონკურსო ვაჭრობის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მიეთითება კონკურსის მონაწილეთა მიმართ წაყენებული ამოცანები. ეს ამოცანები აღწერილია საკმაოდ დეტალურად, რათა ყველა პოტენციურ მონაწილეს ნათელი წარმოდგენა შეექმნას, თუ რა მოთხოვნები იქნება წაყენებული გამარჯვებულის მიმართ. კერძოდ, ეს - (1) კონკურენციის სტიმულს აძლევს ფირმებს ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, აძლევს რა მათ საკმარის ინფორმაციას აუცილებელი გადაწყვეტილებების მისაღებად; და (2) იძლევა გარანტიას, რომ შესაბამის იერარქიულ საფეხურზე მყოფი აღმასრულებელი ხელისუფლება შეძლებს მოითხოვოს გამარჯვებულისაგან ამოცანების ჩამონათვალში მოცემული ყველა სამუშაოს დროული და ხარისხიანი შესრულება.

საკონკურსო ვაჭრობის შესახებ საჯარო განცხადებაში ასევე მიეთითება განმცხადებლების მიმართ წაყენებული ყველა მოთხოვნა და საკვალიფიკაციო პირობა. მაგალითად, თუ ხელისუფლება (სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისია) საჭიროდ თვლის, რომ გამარჯვებულს ჰქონდეს კონტრაქტი მითითებულ სფეროში საქმიანობის სულ მცირე 2-წლიანი სტაჟი, მაშინ ეს მოთხოვნა უნდა აისახოს განცხადებაში. ყველა ფირმისაგან მოითხოვება, რომ მათ განაცხადში შეიტანონ წერილობითი რწმუნება(დადასტურება), რომ შეუძლიათ დააკმაყოფილონ წაყენებული მოთხოვნები ან წარმოადგინონ დოკუმენტები, თუ რა გზით აპირებენ ასეთი მოთხოვნების შესრულებას (შესაბამისმა სააგენტომ თავი უნდა დაიცვას ისეთი ფირმებისაგან, რომლებიც არასანდო ინფორმაციას იძლევიან თავიანთი შესაძლებლობის შესახებ საკონკურსოდ გამოტანილ კონტრაქტთან დაკაშირებით. ამ

მიზნით, სააგენტო ხშირად თხოვდობს, რომ გამარჯვებულმა შეიტანოს მნიშვნელოვანი ოდენობის ფულადი სახსრები – ე.წ. „განაცხადის დეპოზიტი“. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ გამარჯვებულმა კომპანიამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სააგენტოს(კომისიას) მოცემულ კონტრაქტთან მიმართებით, მაშინ დეპოზიტი მას უკან აღარ დაუბრუნდება).

მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულო მოთხოვნების რაოდენობა იყოს მინიმალური. ძალზე მაღალი მოთხოვნების შემთხვევაში, წარდგენილი განაცხადების რაოდენობა შესაძლოა არასაკმარისი აღმოჩნდეს კონკურენციული პირობების უზრუნველყოფად.

განაცხადების წარდგენა ხდება დალუქული კონვერტებით, დადგენილი ვადის ამოწურვამდე. ამის შემდეგ, განაცხადები საჯაროდ იხსნება და ცხადდება თითოეული განმცხადებლის ვინაობა, აგრეთვე ის, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი წაყენებულ მოთხოვნებს (ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე ცხადდება განაცხადში მითითებული ფასი. მაგრამ, ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ინფორმაცია უნდა გამოცხადდეს გარკვეული დროის შემდეგ, რათა გართულდეს შეთანხმებების დადება განმცხადებლებს შორის).

ყოველივე ამის შემდეგ, განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, განიხილება და ხდება გამარჯვებულის შერჩევა, ანუ შეირჩევა ის განაცხადი, სადაც მითითებულია საუკეთესო, ყველაზე უფრო მისაღები ფასი.

იმისათვის, რომ განაცხადების გამყალბებლებმა მიზანს მიაღწიონ, გარკვეული პრობლემები უნდა გადაჭრან. ამ პრობლემების ცოდნა კონტრაქტების გამცემებს ეხმარება, რომ თავიდან აიცილონ განაცხადების გაყალბება, ხოლო ანტიმონპოლური კანონმდებლობის დამცველებმა –

გამოავლინონ ასეთი გაყალბებები.

განაცხადების გაყალბების მიზანია განმცხადებელმა მიიღოს კონტრაქტი ისეთ ფასად, რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენციის პირობებში იქნებოდა („კონკურენციული ფასი“). ამ მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირობების არსებობა:

- გამყალბებლებმა შეთქმულებაში უნდა ჩაითრიონ ყველა სოლიდური განმცხადებელი, რადგანაც, თუ ერთი სერიოზული განმცხადებელი მაინც არ მონაწილეობს ასეთ შეთქმულებაში, მაშინ სწორედ მას შეუძლია მოიგოს ვაჭრობა კონკურენტული ფასით, და გამყალბებლების ყველა მცდელობა ამაო აღმოჩნდება (მსხვილ ფალსი-ფიკატორებს შეუძლიათ არ გაუწიონ ანგარიში „არა-სერიოზულ“ განმცხადებლებს, ანუ ფირმებს, რომელთა შესახებაც მათ იციან, მაგრამ, რომლებსაც არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ საკვალიფიკაციო მოთხოვნები ან, როდესაც მათი განაცხადები იმდენად მაღალი ფასისაა, რომ ვერც კი უახლოვდება კონკურენციულ ფასს);
- გამყალბებლები უნდა შეთანხმდნენ მოგების განაწილებაზე. თუ თითოეული მონაწილე არ მიიღებს თავის წილს, მაშინ მისთვის აზრი აღარ ექნება ამ გარიგებაში მონაწილეობას;
- გამყალბებლებმა თავიდან უნდა აიცილონ გარიგების დარღვევა. ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ შეთქმულების არც ერთი მონაწილე არ დაარღვევს პირობას და არ წარადგენს კონკურენციულ განაცხადს. განაცხადების გამყალბელთა კარტელში ამას ხშირად „ტყუილს“ უწოდებენ.

არის შემთხვევები, როდესაც გაყალბების შესახებ შეთანხმება ეხება ერთადერთ კონტრაქტს. უფრო ხშირია

გრძელვადიანი ქარტელები, რომლებიც შემსყიდვები სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონტრაქტების მთელ სერიაზე მუშაობენ. გაყალბების შესახებ შეთანხმებების უმეტესობის ხანგრძლივობა გავლენას ახდენს იმ პირობებზე, რომლებიც დაცული უნდა იქნეს წარმატების მისაღწევად. ეს ზეგავლენას ახდენს აგრეთვე გამყალბებლების ტაქტიკაზე და განსაზღვრავს იმ ზომებსაც, რომლებიც კონტრაქტების გამცემებმა და კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ მსგავსი ქარტელების შექმნის თავიდან ასაცილებლად.

არსებობს რამდენიმე ძირითადი სქემა, რომლებიც განაცხადების გასაყალბებლად გამოიყენება [1, გვ.132], კერძოდ:

განაცხადების როტაცია – ყველა მონაწილე თანხმდება, რომ რიგრიგობით გახდებიან გამარჯვებულები. დანარჩენი მონაწილეები წარადგენენ განაცხადებს, რომელთა ფასები, შეთანხმების შესაბამისად, ძალზე მაღალია წარმატების მოსაპოვებლად (შემავსებელი განაცხადები);

ბაზრის დაყოფა – განაცხადები შეიძლება დაიყოს გამყალბებლებს შორის გეოგრაფიული ან სხვა კრიტერიუმებით;

გადახდები – განაცხადების როტაციის ან ბაზრის დაყოფის სქემების გამოყენების შემთხვევაში (ან, თუ ეს სქემები არააღეკვაზურია მოგების გასანაწილებლად), გამყალბებლებს შეუძლიათ მიმართონ გადახდების სისტემას. ასეთ დროს, გამყალბებლების მიერ შეირჩევა ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც ვაჭრობა უნდა მოიგოს. სხვა მონაწილეები კი, ან საერთოდ არ წარადგენენ განაცხადებს, ან კიდევ წარადგენენ შემავსებელ განაცხადებს. ვაჭრობაში გამარჯვებული კი დანარჩენ გამყალბებლებს უხდის შესაბამის

შეღვა გოგიაშვილი, სლავა ჭეთელავა

თანხებს. რა თქმა უნდა, გადახდა წარმოებს გაყალბების შედეგად მიღებული დამატებითი მოგებიდან. ზოგჯერ, ასეთ შეთანხმებას საკონკურსო ვაჭრობის „პული“ ეწოდება. გადახდებმა ასევე შეიძლება მიიღოს გამყალბებლებს შორის ადრევე შეთანხმებული ქვეკონტრაქტირების ფორმა;

განაცხადების წარდგენის დაყოვნება – რამდენიმე პოტენციური განმცხადებელი თანხმება, რომ არ წარადგინონ განაცხადები. ეს საშუალებას აძლევს ერთ-ერთ მათგანს, რომ წარადგინოს განაცხადი და მოიგოს ვაჭრობა, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ შეთავაზებული ფასი უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენციის შემთხვევაში იქნებოდა;

შემავსებელი განაცხადები - რამდენიმე კონკურენტი თანხმება, რომ წარადგინონ განაცხადები მომატებული ფასებით. მათ იციან, რომ მოგებას ვერ შეძლებენ, და რომ ვაჭრობაში გაიმარჯვებს გამყალბებლებს შორის შეთანხმებული ფირმა, შეთანხმებული ფასით. ეს ფასი კონკურენციულზე უფრო მაღალია. მიზეზი კი, რომლის გამოც ისინი წარადგენენ შემავსებელ განაცხადებს, არის ის, რომ დააჯერონ კონტრაქტის გამცემები, რომ მათ ისარგებლეს კონკურენციის უპირატესობებით, თუმცა, პრაქტიკულად არ უსარგებლიათ;

მუქარები – ზოგჯერ კონკურენტების მიმართომლებსაც კარტელში არ სურთ გაერთიანება, ხორციელდება მუქარა. როგორც წესი, ამგვარი მუქარები ეკონომიკური ხასიათისაა. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარასაც.

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები წარმოადგენს გაყალბების საწინააღმდეგო საშუალებას და აქედან გამომდინარე, გარანტიას, რომ ხელისუფლება შეძლებს ისარგებლოს კონკურენციის უპირატესობებით საკონკურსო

ვაჭრობის პროცედურებში. არსებობს დამცავი ზომების სამი ძირითადი ტიპი: პირველი, ესაა ყველა მონაწილის საერთო ინსტრუქტაჟი, რათა თითოეულმა მათგანმა გაიაზროს, რომ განაცხადების გაყალბება კონკურენციის კანონის დარღვევაა, და გაეცნონ მოსალოდნელ, პოტენციურ პრობლემებს; მეორე, არსებობს მექანიზმები, რომლებიც იძლევა ჩარევის შესაძლებლობას, რათა პრევენციულად აღკვეთილ იქნეს გამყალბებელთა კარტელის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ეს განსაკუთრებით ეხება გრძელვადიან კარტელებს, რომლებიც კონტრაქტების მთელ სერიებზე მუშაობენ. მაგალითად, შეიძლება მიღებული იქნეს ისეთი ზომები, რაც გაართულებს გამყალბებლების მიერ ყველა შესაძლო განმცხადებლის გამოვლენას ან განაცხადების დანაწილებას ერთმანეთს შორის; მესამე, არსებობს გამყალბებელთა კარტელების გამოვლენის საშუალებები, რომლებიც შესაძლოა იმავდროულად გამოყენებულ იქნეს როგორც პროფილაქტიკური საშუალება: ნაკლები ხალხი გადაკვეთს ქუჩას წითელ შუქზე, თუ გზაჯვარედინზე პოლიციელს ხედავს. ამის მსგავსად, დაჭერის დიდი რისკი გაყალბებისაგან თავის შეკავებისაკენ უბიძგებს გამყალბებლებს.

სასურველია, საკონკურსო ვაჭრობა იყოს ღია, ანუ ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველ თითოეულ კერძო, თუ იურიდიულ პირს ჰქონდეს განაცხადის წარდგენის უფლება და საშუალება. მონაწილეთა რაოდენობის შეზღუდვა ზრდის მონაწილეთა შორის შეთანხმების რისკს. კერძოდ, თუ გამოცხადდება საკონკურსოდ „დაშვებული“ განმცხადებლების სია, მათ უფრო გაუადგილდებათ ერთმანეთთან შეთანხმება, რადგან ეცოდინებათ ყველა მონაწილე, რომელთანაც უნდა დადონ გარიგება. რათა სქემამ იმუშაოს („დაშვებული“

შალვა გომიაშვილი, სლავა ჭაველავა

განმცხადებლების სით სარგებლობენ მაშინ, როდესაც მოითხოვება, რომ განმცხადებელს ჰქონდეს გარკვეული უნარები, აღჭურვილობა ან სხვა კვალიფიკაციები. თუ აუცილებელია, რომ განმცხადებელს ჰქონდეს ასეთი კვალიფიკაცია, მაშინ საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შევიტანოთ ოფიციალურ განცხადებაში ვაჭრობის შესახებ, ხოლო იმ ფირმების განაცხადები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეიძლება უბრალოდ იგნორირებულ იქნეს), თუ ასეთი სის შედგენა აუცილებელია, მაშინ იგი არ უნდა გამოცხადდეს. ეს გაურკვევლობას შეუქმნის განმცხადებლებს და გაურთულებს მათ უკანონო შეთანხმების მიღწევას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასურველია საკონკურსო ვაჭრობაში მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი განმცხადებელი, რაც გაართულებს განაცხადების გაყალბებაზე შეთანხმებას იმ უბრალო მიზეზით, რომ დიდ ჯგუფში შეთანხმება უფრო ძნელია, ვიდრე შედარებით მცირეში. ამასთანავე, თუ პოტენციურ გამყალბებლებს ექნებათ მდელვარების საფუძველი, რომ რომელიმე „უცხო“ ფირმა (რომელიც გარიგებაში არ მონაწილეობს), რომლის შესახებაც მათ არ იციან, შეიტანს განაცხადს, მაშინ ისინი უფრო ნაკლებად ითიქრებენ გაყალბებაზე. ამიტომ, განმცხადებელთა დიდი რიცხვის მოწვევა ვაჭრობაში აიძულებს გამყალბებლებს, რომ სიფრთხილე გამოიჩინონ უცხო ფირმებისადმი.

განმცხადებელთა რაოდენობის ზრდა შესაძლოა სარგებლიანი აღმოჩნდეს შემსყიდვები ორგანოსათვის არა მარტო იმის გამო, რომ გაყალბების მადა დაეკარგებათ ამის მსურველებს. გამოკვლევები აჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია ვაჭრობაში მონაწილეობა, მოსალოდნელია, რომ მომსახურების შემსყიდვებისთვის მით უფრო სასურველი

ფასი დადგინდეს. კანადაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ განმცხადებელთა რაოდენობის 3-დან 4-მდე გაზრდამ ფასის 18%-მდე ცვლილება გამოიწვია, 7-დან 8-მდე გაზრდამ – 4% - მდე, 10-დან 11-მდე გაზრდამ კი – 2%-მდე ცვლილება [1, გვ.136].

სასურველია, რომ საჯარო განცხადება საკონკურსო ვაჭრობის შესახებ, შეიცავდეს შემდეგს:

თითოეული განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ვაჭრობის სხვა შესაძლო მონაწილეებთან შეთანხმებები ან განხილვები არ დაიშვება. ვაჭრობის პოტენციურ მონაწილეთა შორის რაიმე სახის შეპირება ან შეთანხმება არის კონკურენციის განონის დარღვევა და ამან შეიძლება გამოიწვიოს მკაცრი სასჯელი, ასევე დისკვალიფიკაცია მიმდინარე და მომავალი ვაჭრობიდან. ყველა განაცხადი უნდა შეიცავდეს საკონკურსო ვაჭრობის მონაწილეთა მიერ ხელმოწერილ დასტურს, რომ განაცხადი მომზადდა მათ მიერ დამოუკიდებლად, კონკურენციის განონის შესაბამისად.

ვაჭრობის თითოეულმა მონაწილემ თავის განაცხადში, მისი ნაწილის სახით, უნდა შეიტანოს პირობა, რომ განაცხადი წარდგენილია სხვებისაგან დამოუკიდებლად და რომ იგი არ ყოფილა განხილული და შეთანხმებული ვაჭრობის სხვა პოტენციურ მონაწილეებთან. განაცხადი ხელმოწერილ უნდა იყოს ყველა აუცილებელი ფორმალობის დაცვით. აშშ-ში მიღებული პრაქტიკით, მსგავსი ხასიათის ყალბი განაცხადების გაგეოება ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით, როგორც თაღლითობა.

რიგ შემთხვევაში, სასარგებლოა იმის მოთხოვნა, რომ განაცხადი შეიცავდეს ინფორმაციას ქვეკონტრაქტებისა და მსგავსი შეთანხმებების შესახებ. ადრე დათქმული

მაღა პოზიციული, სლავა უთელავა

ქვეკონტრაქტები კონკურენტებს შორის, ზოგჯერ გადახდების სახეს დებულობს გამყალბებელთა კარტელებში. ქვეკონტრაქტები ასევე გამოიყენება კორუმპირებული მოხელეების მოსყიდვის მიზნით. ნებისმიერ შემოხვევაში, შემსყიდვები სააგენტო (ორგანო) უნდა ფლობდეს ინფორმაციას მსგავსი ქვეკონტრაქტების შესახებ, როცა აფასებს განაცხადებს კონტრაქტის გასაცემად.

თუ საკონკურსო ვაჭრობაზე ერთდროულად ან დროის გარკვეულ პერიოდში გამოტანილია ერთი და იმავე ტიპის კონტრაქტების დიდი რაოდენობა, და ისინი დაახლოებით ერთმანეთის ტოლი სიდიდისაა, მაშინ გამყალბებლები ძალზე მარტივად შეძლებენ მათ დანაწილებას ერთმანეთს შორის და რიგ-რიგობით „დანიშნავენ“ გამარჯვებულს (განაცხადების როტაცია). ხოლო, თუ კონტრაქტების რაოდენობა მცირეა და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება სიდიდით, მაშინ გამყალბებლებს გაუჭირდებათ მათი დანაწილება ერთმანეთს შორის. ამასთანავე, თუ კონტრაქტი დიდი ზომისაა, მაშინ კარტელის მონაწილესაც კი შეიძლება სტლიოს ცდუნებამ, რომ დაარღვიოს კარტელური შეთანხმება და წარადგინოს კონკურენტებული განაცხადი. ამგვარად, ცვლილებები შეთავაზებული კონტრაქტების ზომებში, შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს კონკურენციული პირობების შექმნისათვის ან შენარჩუნებისათვის [2. გვ.92].

ამასთან, გონივრული იქნება მოთხოვნა, რომ განაცხადებში გარკვეული დეტალიზებით იყოს წარმოდგენილი ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული პირობები, თუკი ეს დასაშვებია კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების ტიპიდან გამომდინარე. მაგალითად, ვაჭრობის გამოცხადებისას რძის პროდუქტების 6-თვიანი მიწოდების კონტრაქტზე, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ფასების შესახებ

ინფორმაცია ცალ-ცალკე – რძეზე, ნაღებზე, ყველზე თუ ნაყინზე. ვაჭრობის შესახებ განაცხადში კომისია ცალ-ცალკე უთითებს თითოეული შეკვეთილი პროდუქტის რაოდენობას. კონტრაქტი ეძლევა იმ ფირმას, რომელიც სხვებზე დაბალ ფასს შესთავაზებს მითითებული რაოდენობის პროდუქტის მიწოდებაზე. მაგრამ, პროდუქტის ფაქტობრივი რაოდენობა და ფასი ფორმირდება კონტრაქტში აღნიშნული 6-თვიანი პერიოდის განმავლობაში გაკეთებული შეკვეთების შედეგად.

ასეთი შეთავაზების არსია ის, რომ გამყალბებლების კარტელისათვის ბევრად უფრო ადვილია მარტივი შეთანხმებების მიღწევა, ვიდრე რთული შეთანხმებისა. ერთ ფასზე შეთანხმება უფრო ადვილია, ვიდრე ათ ფასზე. ამასთანავე, განაცხადის პირობების დაწვრილებით წარმოდგენის მოთხოვნა ზოგჯერ ხელს უწყობს კარტელების გამოვლენას. იდენტური ფასები ერთსა და იმავე პროდუქტზე შეიძლება შემთხვევითობას მივაწეროთ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ შემთხვევითი იყოს იდენტური ფასების შეთავაზება ათ სხვადასხვა პროდუქტზე.

გამარჯვებული კომპანიის (განაცხადის) შერჩევისას ყველაზე გონივრული ჩანს მიღვომა, როცა მკაფიოდ ცხადდება, რომ უპირატესობა ენიჭება განაცხადს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას და გვთავაზობს საუკეთესო ფასს.

თითქმის ყველა შემთხვევაში უმჯობესია, რომ თავიდან იქნეს აცილებული კონტრაქტის გაცემა გაურკვეველი, არამაფიო კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიცაა, მაგალითად, განმცხადებლის „თვისებები“. მსგავსმა კრიტერიუმებმა შეიძლება რთულ ან სულაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდოს შემსყიდვები

შაღაბა პოზიციული, სლავა უმრედავა

კომისიის თანამშრომლები, რადგან მათ მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება ისეთი ფაქტორის მიხედვით, რომელიც ძნელად ექვემდებარება ცვლილებას (ხარისხი) და ამასთანავე, მისი დაბალანსება ფასის ფაქტორთან. ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია შემსყიდვების ორგანოს თანამშრომლებისათვის. ამასთანავე, იგი ახდენს ფავორიტიზმისა და კორუფციის პროცესირებას (ზოგიერთი კონკურსის განაცხადები, მაგალითად არქიტექტორებს შორის შენობების გაფორმებაზე, თავიანთი ბუნებით ხარისხობრივ კრიტერიუმებს გულისხმოს. ასეთი კონკურსები უფრო მეტად ხარისხებს შორის კონკურსია, ვიდრე ტიპური კონკურსი ვაჭრობაზე. ისინი გამონაკლისს წარმოადგენენ კონტრაქტის გაცემისას ფასის მიხედვით და თანაც, მეტად იშვიათ გამონაკლისს).

ზოგჯერ, ორ (ან მეტ) მონაწილეს იდენტური განაცხადები შეაქვთ საკონკურსო ვაჭრობაზე. ეს შეიძლება იყოს შემთხვევითი, თუმცა, ეს ასევე შეიძლება იყოს რაიმე შეთანხმების შედეგი. შემსყიდვები სააგენტო, ასეთი განაცხადების მიღებისას, უბრალოდ ყოფს კონტრაქტს ორ ტოლ ნაწილად და აძლევს ორივე განმცხადებელს. ასეთმა გადაწყვეტამ შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგი მოგვიტანოს, რადგან ამან შეიძლება ამოცანა გაუადვილოს გამყალბებლებს, რომლებიც ერთმანეთის ტოლფას განაცხადებს წარადგენენ. ამიტომ, უმჯობესია კონტრაქტის მინიჭება მოხდეს მაგალითად კენჭისყრით, ანუ მონეტის აგდებით, რაც იდენტური ფასების წარდგენის სტიმულს დაუკარგავს გამყალბებლებს.

წარმატების მისაღწევად, გამყალბებელთა კარტელს ესაჭიროება გარკვეული ინფორმაცია. ეს განსაკუთრებით ეხება გრძელვადიან კარტელს, რომლისთვისაც აუცილებელია

იმის ცოდნა, თუ ვინ არიან გაჭრობის პოტენციური მონაწილეები, ვინ წარადგინა განაცხადები მიმდინარე კონტრაქტებზე, როგორია ასეთი განაცხადების პირობები. თუ შემსყიდველი ორგანო (სააგენტო, კომისია) შეძლებს, რომ დროის გარკვეულ პერიოდში საიდუმლოდ შეინახოს ასეთი ინფორმაციის ნაწილი, ეს შესაბამისად გაართულებს კარტელის მცდელობებს ამ მიმართულებით.

როგორც წესი, სიფრთხილის ზომები ფავორიტიზმისა და კორუფციის წინააღმდეგ, საჭიროებს გარკვეულ საჯარობას სახელმწიფო შესყიდვებზე გამოცხადებული საკონკურსო ვაჭრობების პროცედურებში. სწორედ ამიტომ, აშშ-ში ბევრი შემსყიდველი სააგენტო დიად ხსნის განაცხადებს, რათა ვაჭრობის მონაწილეები და ორგანიზატორები დარწმუნდნენ, რომ ყველა განაცხადი იყო დალუქული, და რომ ყველა მონაწილის მიმართ დამოკიდებულება ერთნაირია. კორუფციის წინააღმდეგ, ისევე როგორც განაცხადების გაყალბების წინააღმდეგ, ზომების მიღების თვალსაზრისით საუკეთესო კომპრომისს წარმოადგენს გადაწყვეტილება, რომ საჯაროდ გამოცხადდეს მთელი ინფორმაცია, მაგრამ, მხოლოდ გარკვეული დროის –30, 60 ან 90 დღის შემდეგ. განაცხადების საჯარო გახსნისას კი, შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ განაცხადების რაოდენობა და ის, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის კონკურსის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა აწარმოონ ყველა წარდგენილი განაცხადის აღრიცხვა, რაც მათ საშუალებას მისცემს გამოავლინონ საეჭვო მოქმედები განაცხადების წარდგენის პროცესში, მაგალითად – განაცხადების როტაცია.

ასევე სასარგებლო იქნება, თუ შემსყიდველი სააგენტოს (კომისიის, ორგანიზაციის) თანაშრომლები გაივლიან

მაღვა პოზიშენლი, სლავა უგელავა

ინსტრუქტაჟს განაცხადების გაყალბების საფრთხეების შესახებ, რათა შეძლონ ამ ქმედების საწინაღმდეგო აუცილებელი ზომების მიღება და საქმის კურსში ჩააყენონ კონკურენციის ორგანო განაცხადების გაყალბების ნიშნების შესახებ.

თუ სახელმწიფო შესყიდვების და შესაბამისი კონტრაქტების განაწილების წესთან დაკავშირებული ეროვნული კანონები, კანონქვემდებარე აქტები და ცალკეული ნორმატივები გადასინჯვას ეჭვემდებარება, მაშინ გონივრული იქნებოდა კონკურენციის ორგანოს მოსაზრებათა გათვალისწინება, თუ როგორ უნდა მოვამზადოთ კანონები და ნორმატივები, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას პქონდეს კონკურენციის უპირატესობებით სარგებლობის გარანტიები, და ასევე შესაძლებლობა, რომ გამოავლინოს და თავიდან აიცილოს გაყალბებული განაცხადები.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოში სულ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებისა და მოსალოდნელი ორგანიზაციული ცვლილებების თაობაზე. კერძოდ, აწლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი “კონკურენციის შესახებ” რომელიც საფუძვლიანად აფაროვებს ქვეყნის საკონკურენციო ორგანოს უფლებამოსილებებს კონკურენციის დაცვისა და განვითარების სფეროში [3.მუხლი 1, პუნქტი 3].

სტატიის პრობლემატიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა კანონმა განსაზღვრა ქვეყნის კონკურენციის ორგანოს სისიპ “კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსაგან” გამოცალკევება და საქართველოს მთავრობის ქუდქვეშ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, კონკურენციის დამოუკიდებელ

სააგენტოდ ჩამოყალიბება(ცნობისათვის: 2010 წლის აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე სწორედ მთავრობის ქუდქეშ არსებობდა ასევე დამოუკიდებელი სტატუსის მქონე სსიპ თავისუფალი გაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელიც 2012 წლის 1 იანვრიდან შეუერთდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს), რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. აღნიშნული ორგანიზაციული რეფორმის მნიშვნელობა იმ გარემოებითაცაა განპირობებული, რომ საკონკურენციო ორგანოს ეძლევა საშუალება სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კონკურენციის შემზღვდავი ქმედებების გამოვლენისას განახორციელოს შესაბამისი, აღეკვატური გამაფრთხილებული და აღმკვეთი დონისძიებები მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში [4. გვ.12]. რეფორმამდე, როცა კონკურენციის ორგანო ფაქტობრივად “შეხიზნული” იყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, რაიმე სანქციის გამოყენებას პრაქტიკულად გამორიცხავდა არსებულ ინტერესთა კონფლიქტი; საერთოდ და მით უმეტეს, ამ უკანასკნელის ფონზე კონკურენციის მიმართულება დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებოდა როგორც უფლებრივად, ასევე საშტატო რიცხოვნობის განაწილებით “შესყიდვებსა” და “კონკურენციას” შორის და ცხადია, მას არ შეეძლო რაიმე ქმედითი ზომა გაეტარებინა კონკურენციის დაცვის თვალსაზრისით საერთოდ, და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონკრეტულად.

Competition protection is extremely important during competitions in state procurement. It's already well known fact that commerce competition during state procurement contracts public distribution is important tool for protecting public interests. Also, competition principles can be violated during commerce competition. So, to prevent or neutralize this negative event, it's necessary to work out appropriate procedures and practically use them as special, preventive measures.

While drawing out national laws, regulations and standards about state procurement and contract distribution rules, it's considerable to take competition authority's position into account that executive authority should have warranties of competitive advantages and possibility to manifest and avoid false statements.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ანტიმონპოლიური რეგულირების პრაქტიკა, გამ-ბა “ახალი საქართველო”, ობ., 2013წ.;
2. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ეკონომიკური კონკურენცია (ბაზრის კონკურენციულობის ანალიზის მეთოდური საკითხები), გამ-ბა “ლოი”, ობ., 2012წ.;
3. საქართველოს კანონი “კონკურენციის შესახებ”, ობ., 21.03.2014წ.;
4. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, გამ-ბა “ინფაცია”, ობ., 2009წ.

**რისკის შეფასებისა და
ოპტიმალური ფინანსური
პროცესის ფორმირების შესახებ**

აპარი გაბეჭაია

ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თუმ-ის
მოწვევლი ასოცირებული პროფესორი

**1. აქტივებთან დაკავშირებული ფინანსური რისკის
გაზომვის პრობლემა**

რას წარმოადგენს რისკი? დაგიწყოთ განუზღვრელობასა და რისკს შორის განსხვავებათა ანალიზიდან. როგორც ცნობილია, განუზღვრელობაში ჩვეულებრივ იგულისხმება გაურკვევლობა, რომელიც არსებობს მომავალში მოსახდენ მოვლენებთან დაკავშირებით. ამისგან განსხვავდით, ფინანსური რისკი ისეთი განუზღვრელობაა, რომელიც უნდა მივიღოთ მხედველობაში სხვადასხვა ქმედების დაგეგმვისას, რადგან მას შეუძლია გავლენის მოხდენა ეკონომიკური სუბიექტების მატერიალური კეთილდღეობის დონეზე. მაშასადამც, განუზღვრელობა რისკის აუცილებელი, მაგრამ არასაქმარისი პირობაა [2,გვ.228].

რისკთან დაკავშირებულ ბევრ სიტუაციაში მოვლენათა განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობა შეიძლება მარტივად განისაზღვროს, როგორც საზარალო ან მომგებიანი. დაგუშვათ, მაგ., რომ თქვენ აბანდებთ ფულს ფასიან ქადალდებში. ასეთ შემთხვევაში ცხადია, რომ თქვენი პორტფელის ლირებულების შემცირება დაკავშირებული იქნება ზარალთან, ხოლო ამაღლება კი - მოგებასთან. ამასთან, ჩვეულებრივ ითვლება, რომ რისკი უკავშირდება ზარალის და არა მოგების მიღების შესაძლებლობას. [2,გვ.229].

ამასთანავე, არსებობს სიტუაციები, როდესაც შეუძლებელია მოსალოდნებელი მოვლენების მკაფიო გამოიჯენა მათი მოგება-ზარალიანობის მიხედვით. მართლაც, ავადმყოფის მკურნალობის პროცესში საჭირო მისი მდგომარეობის ძირითადი მახასიათებლების (მაგ., წევენის, პულსის და ა.შ.) დარგულირება, გარკვეული

აკაპი გაბეჭდაის

ნორმის ფარგლებში, საიდანაც ნებისმიერი გადახრა არასასურველია. მაშასადამე, ზოგიერთ სიტუაციაში მოსალოდნელი მნიშვნელობიდან ნებისმიერი გადახრა არასასურველია (ე.ი. გარკვეულ რისკს უკავშირდება).

ქვემოთ ჩვენ, ძირითადად, ფინანსური რისკის რაოდენობრივი გაზომვის პრობლემას განვიხილავთ.

ცხადია, რომ ფინანსური რისკი განეკუთვნება სწორედ იმ მოვლენათა კატეგორიას, როცა რისკი უკავშირდება ზარალის და არა მოგების მიღების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში (იმ სიტუაციისგან განსხვავებით, როცა ნებისმიერი გადახრა არასასურველია!), ადვილი მისახვედრია, რომ აქამდე ფართოდ გამოყენებული რისკის რიცხვითი ზომა-სტანდარტული გადახრა (ანუ საშუალო კვადრატული გადახრა საშუალოდან), რომელიც მოიცემა ფორმულით:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^n [r_i - E(r)]^2}{n}} , \quad (1)$$

სადაც აქტივის (კერძო შემთხვევაში, რაიმე ფასიანი ქაღალდის) შემოსავლიანობის სიდიდე, გარკვეული წინა პერიოდისათვის, მოიცემა შესაბამის მონაცემთა სასრული ერთობლიობით (რიცხვითი მწკრივით), $r = (r_1, r_2, \dots, r_n)$, ხოლო $E(r)$ ამ მაჩვენებლის მათემატიკურ მოლოდინს (საშუალო არითმეტიკულს) აღნიშნავს (რომლისთვისაც, ქვემოთ ხშირად \bar{r} აღნიშვნასაც გამოვიყენებთ!), არ შეიძლება ჩაითვალოს რისკის ძალიან ზუსტ შეფასებად, იმის გამო, რომ მის გაანგარიშებაში თავისი წვლილი შეაქვს საშუალოდან დადებით გადახრებსაც, რაც, ცხადია, “ბედის საჩუქარი” უფროა, ვიდრე ზარალის რისკი (საშუალო, ანუ მოსალოდნელ შემოსავლიანობასთან მიმართებით).

გადმოცემის სისრულისთვის, მოვიყვანოთ სტანდარტული გადახრის ფორმულის კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა აქტივის შემოსავლიანობა მოიცემა ე.წ. დისკრეტული

შემთხვევით სიდიდის განაწილების განონით
(სიმარტივისთვის, უფრო რთულ შემთხვევებს აქ არ
განვიხილავთ):

$$\sigma = \sqrt{\sum_{i=1}^n [r_i - E(r)]^2 p_i}, \quad (2)$$

სადაც

$$E(r) = \sum_{i=1}^n r_i p_i, \quad (3)$$

ხოლო აქტივის შემოსავლიანობის განაწილების განონს აქვს სახე:

$$r \begin{cases} r_1, & r_2, & \cdots, r_n \\ p_1, & p_2, & \cdots, p_n, \end{cases} \quad (4)$$

სადაც p_i აღნიშნავს იმის ალბათობას, რომ r
შემთხვევითი სიდიდე მიიღებს r_i -მნიშვნელობას,

$$p_i = p\{r = r_i\}.$$

(ამასთან, რადგან შემთხვევითი სიდიდე ერთ-ერთ თავის
მნიშვნელობას აუცილებლად დებულობს, გვექნება
 $\sum_{i=1}^n p_i = 1.$)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი
წინადადებაა აქტივებთან დაკავშირებული ფინანსური
რისკის ზომად (სტანდარტული გადახრის ნაცვლად!) იმ
შემთხვევაში, როცა შემოსავლიანობის სიდიდე მოიცემა
 $r = (r_1, r_2, \dots, r_n)$ რიცხვითი მწყრივით), ავიდოთ უბრალოდ

$$\bar{d}_- = -\frac{\sum_{r_i \leq \bar{r}} (r_i - \bar{r})}{n}, \quad (5)$$

ე.ო. არადადებითი (არაპოზიტიური) გადახრების (“დევიაციების”) საშუალოს მოდული.

ამ მაჩვენებლის შემოღების ძირითადი იდეა ისაა, რომ (5)-ის მრიცხველში შესაკრებები ერთიდაიგივე ნიშნისაა და ამიტომ ერთმანეთს ვერ გააძათილებენ, ასე, რომ მათი კვადრატში აუგანა და, შესაბამისად, მიღებული შედეგიდან ფესვის ამოღებაც არ გვჭირდება.

(5)-დან ცხადია, რომ ფორმალურად ეს გამოსახულება ეკიგალენტურია გამოსახულებისა:

$$\bar{d}_- = \frac{\left| \sum_{r_i \leq \bar{r}} (r_i - \bar{r}) \right|}{n},$$

თუმცა ჩვენ (5)-ს ვანიჭებთ უპირატესობას იმის გამო, რომ მასში, მათემატიკურად არცთუ ისე სასიამოვნო (თავისი არასიგლუვიდან გამომდინარე), მოდულის ნიშანი არ მონაწილეობს.

რაც შეეხება ფინანსური რისკის ზომად ასეთი გამოსახულების პრაქტიკულ გამოყენებას, მას უნდა პქონდეს მნიშვნელოვანი უპირატესობები სტანდარტულ გადახრასთან შედარებით (თუმდაც პორტფელების თეორიაში!), მისი სიმარტივიდან (წრფივობიდან) გამომდინარე. ე.ო. თუ დასაბუთდება მისი გამოყენების შესაძლებლობა, აქტივებისა და მათი პორტფელების შერჩევის პრობლემა (ნობელის პრემიის ლაურეატის ჰ. მარკოვიცისგან განსხვავებით!) შეგვიძლია განვიხილოთ არა $(\sigma; \bar{r})$ სიბრტყეში, არამედ $(\bar{d}_-; \bar{r})$ სიბრტყეში,

რაც ჩვენი მაჩვენებლის წრფივობიდან გამომდინარე, გაცილებით მარტივი საქმე უნდა გამოდგეს!

ახლა, რაც შეეხება (5) გამოსახულების ვარიანტს, რომლითაც შეიძლება ვისარგებლოთ იმ შემთხვევაში, როცა აქტივის შემოსავლიანობა მოიცემა (4)-ის ტიპის განაწილების კანონით, ცხადია, მას ექნება სახე:

$$\bar{d}_- = - \sum_{r_i \leq \bar{r}} (r_i - \bar{r}) p_i. \quad (6)$$

შენიშვნა 1. თითქოს (განსაკუთრებით (6)-ს სახიდან გამომდინარე) აზრი არ უნდა ჰქონდეს \bar{d}_- -ს გამოსახულებაში $r_i = \bar{r}$ წევრების აღებას (მათი ნულთან ტოლობის გამო). ამასთან, თუ მხოლოდ $r_i < \bar{r}$ სახის წევრებს ავიდებთ, მაშინ მაჩვენებელი უნივერსალობას დაგარგავს, რადგან იგი ვერ გამოითვლება $r_i = \text{constant}$ მწკრივისთვის (რომლისთვისაც ფინანსური რისკის მაჩვენებელი ნულის ტოლი უნდა იყოს).

ვნახოთ, ახლა რას მოგვცემს ფინანსური რისკის შემოთავაზებული მახასიათებლის გამოყენება კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევებში.

მაგალითი 1. განვიხილოთ ორი, A და B აქტივი, რომელთა მახასიათებლებიც ასეთია:

აქტივთა ძირითადი მახასიათებლები

(3) ხერილი 1.

| აქცია | შემოსავ-ლიანობის (%) განაწილება | საშუალო შემოსავლი-ანობა (\bar{r} , %) | შემოსავ-ლი-ანობის სტანდარტული გადახრა (σ , %) | არაპოზი-ტიური გადახლოს მოდული (\bar{d}_- %) |
|-------|---------------------------------|--|---|--|
| A | 9; 8; 8; 7 | 8 | 0.71 | 0.25 |
| B | 8; 7; 7; 6 | 7 | 0.71 | 0.25 |

აკაპტი გააძლენა

ადვილი მისახვედრია, რომ ამ შემთხვევაში:

$$\bar{r}_a = 8, \quad \bar{r}_b = 7, \quad \sigma_a = \sigma_b = \sqrt{0.5} = 0.71, \\ \bar{d}_{a-} = \bar{d}_{b-} = 0.25.$$

მაშასადამე, თვისებრივად, \bar{d}_{-} -ის გამოყენება იგივე შედეგებს იძლევა, რასაც სტანდარტული გადახრის გამოყენება, იმ თვალსაზრისით, რომ A და B აქტივებს ამ მახასიათებლის მიხედვითაც ტოლი ფინანსური რისკი ახასიათებთ. ამასთან, ეს მახასიათებელი იძლევა რისკის უფრო დაბალ დონეს (0.25 %-ს, მაშინ როცა სტანდარტული გადახრის გამოყენების შემთხვევაში ეს რისკი 0.71 %-ს შეადგენს), რაც გასაგებია იქიდან გამომდინარე, რომ \bar{d}_{-} -ის გაანგარიშებისას რისკად არ ითვლება საშუალოზე მაღალი შემოსავლიანობის მიღების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ცხადია, რომ \bar{d}_{-} -ს გამოვლა გაცილებით ადვილია, ვიდრე შესაბამისი სტანდარტული გადახრის.

მაგალითი 2. განვიხილოთ ორი, A და B ფირმის აქციები, რომელთა მახასიათებლებიც ნაჩვენებია ცხრილი 2-ში.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ შემთხვევაში (ი. 2), (3) და (6) ფორმულები) გვექნება:

$$\bar{r}_a = \bar{r}_b = 10\%, \quad \sigma_a = 12.65\%, \quad \sigma_b = 25.30\%, \\ \bar{d}_{a-} = 4, \quad \bar{d}_{b-} = 8.$$

როგორც გხედავთ, თვისებრივად, \bar{d}_{-} -ის გამოყენება იგივე შედეგებს იძლევა, რასაც სტანდარტული გადახრის გამოყენება, იმ თვალსაზრისით, რომ B კომპანიის აქციებში ფულის დაბანდების რისკი ორჯერ მეტია, ვიდრე A კომპანიის აქციებში. ამასთან, ისევე როგორც წინა მაგალითში, ჩვენი მახასიათებელი

იძლევა რისკის გაცილებით უფრო დაბალ დონეს, ვიდრე სტანდარტული გადახრის გამოყენება, თანაც უკელაფერი ეს გაცილებით მარტივ გააგარიშებებს მოითხოვს.

აქციათა ძირითადი მახასიათებლები

ცხრილი 2.

| აქცია | შემოსავლი-ანობის (%) განაწილება | საშეალო შემოსავ- ლიანობა (\bar{r} , %) | შემოსავლ ი-ანობის სტანდარ- ტული გადახრა (σ , %) | არაპოზი- ტიური გადახ- რების საშეალოს მოდული (d , %) |
|-------|---|--|--|--|
| A | r $\begin{cases} 30, & 10, & -10 \\ 0.2, & 0.6, & 0.2 \end{cases}$ | 10 | 12.65 | 4 |
| B | r $\begin{cases} 50, & 10, & -30 \\ 0.2, & 0.6, & 0.2 \end{cases}$ | 10 | 25.30 | 8 |

2. დამოკიდებულება აქტივის არაპოზიტიური და პოზიტიური გადახრების საშუალოებს შორის

როგორც ცნობილია:

$$\sum_{i=1}^n (r_i - \bar{r}) = 0.$$

აქედან გამომდინარე,

$$\sum_{r_i \leq \bar{r}} (r_i - \bar{r}) + \sum_{r_i > \bar{r}} (r_i - \bar{r}) = 0,$$

საიდანაც

$$\sum_{r_i \leq \bar{r}} (r_i - \bar{r}) = - \sum_{r_i > \bar{r}} (r_i - \bar{r}).$$

აქედან, \bar{d}_+ -ის განსაზღვრების გათვალისწინებით, ვდგებულობთ

$$\bar{d}_+ = -\frac{\sum_{r_i > \bar{r}} (r_i - \bar{r})}{n} = -\frac{\sum_{r_i \leq \bar{r}} (r_i - \bar{r})}{n} = \bar{d}_-.$$

ასე, რომ საბოლოოდ გვექნება:

$$\bar{d}_+ = \bar{d}_-,$$

სადაც \bar{d}_+ პოზიტიური გადახრების (დევიაციების) საშუალოს აღნიშნავს. მაშასადამე, ნებისმიერი აქტივისთვის საშუალო შემოსავლიანობიდან არაპოზიტიური და პოზიტიური გადახრების საშუალოები ტოლია.

მაგალითი 3. ვთქვათ $r=(9; 8; 8; 7)$, მაშინ

$$\bar{r} = 8, \bar{d}_- = 0.25, \bar{d}_+ = 0.25.$$

გადავიდეთ ახლა, ამ ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი შედეგის ფორმულირებაზე. განვიხილოთ გადახრის აბსოლუტურ სიდიდეთა საშუალო (ე.წ. საშუალო წრფივი გადახრა), \bar{d} , რომელიც, როგორც ცნობილია [4, გვ. 227], განისაზღვრება ფორმულით:

$$\bar{d} = \frac{\left| \sum_{i=1}^n (r_i - \bar{r}) \right|}{n}.$$

აქედან გამომდინარე, ცხადია,

$$\bar{d} = \frac{\left| \sum_{r_i \leq \bar{r}} (r_i - \bar{r}) \right| + \left| \sum_{r_i > \bar{r}} (r_i - \bar{r}) \right|}{n}.$$

ახლა, რადგან:

$$r_i \leq \bar{r} \text{ - თვის } |r_i - \bar{r}| = -(r_i - \bar{r}),$$

$$r_i > \bar{r} \text{ - თვის } |r_i - \bar{r}| = (r_i - \bar{r}),$$

ზემოთ მოყვანილი გამოსახულებიდან ვღებულობთ:

$$\bar{d} = \bar{d}_- + \bar{d}_+ = 2\bar{d}_- = 2\bar{d}_+.$$

მაშასადამე,

$$\bar{d}_- = \bar{d}_+ = \frac{\bar{d}}{2}.$$

მიღებულ დამოკიდებულებას ძალზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან, იმ შემთხვევაში, როცა აქტივის შემოსავლიანობა განისაზღვრება $r = (r_1, r_2, \dots, r_n)$ რიცხვითი მწერივით, \bar{d}_- -ის (და, მაშასადამე, \bar{d}_+ -ის) გამოთვლა შეიძლება მაგ., ცნობილი კომპიუტერული სისტემის Matlab-ის (ე.წ. მატრიცული ლაბორატორიის!) სტანდარტული ოპერაციის $mad()$ -ის მეშვეობით, რომელიც ანგარიშობს \bar{d} -ს. ამისთვის საჭმარისია წინასწარ პროგრამა Matlab-ის ბრძანებათა ფანჯარაში შევიტანოთ r ვაქტორის მნიშვნელობა:

`>>r=[r1 r2 ... rn];`

შემდეგ კი ავტომატურად განვითარება

$$\bar{d}_- = mad(r)/2$$

პრატი გაბეჭდას

მაგალითი 4.

```
r=[4 7 5 8 7 6 9 10 7 8 9 12];  
>> mad(r)/2  
ans =  
0.8333
```

ამასთანავე, რადგან $\text{mad}()$ ფუნქცია არ მუშაობს იმ შემთხვევაში, როცა აქტივის შემოსავლიანობა მოიცემა ალბათური განაწილების მეშვეობით (იხ. (4)), ასეთ შემთხვევაში \bar{d}_- -ის (და, მაშასადამე, \bar{d}_+ -ის) გამოთვლისთვის Matlab-ის ბაზაზე, შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს მიერ ამ მიზნით საკუთალურად შემუშავებული ფაილ-ფუნქცია `adminus`.

ამასთან, ამ ფუნქციის გამოძახებამდე Matlab-ის ბრძანებათა ფანჯარაში უნდა შევიტანოთ მოცემული განაწილების შესაბამის r და p ვაქტორთა მნიშვნელობები და შემდეგ გამოვიძახოთ ფუნქცია `adminus(r,p)`.

3. ორი აქტივისაგან შემდგარი პორტფელის რისკის შეფასება

ორი, A და B აქტივისგან შემდგარი პორტფელის რისკის გამოსახულებას ექნება სახე:

$$\begin{aligned}\bar{d}_{p-} &= - \sum_{r_{p_i} \leq E(r_p)} [r_{p_i} - E(r_p)] p_i = \\ &= - \sum_{r_{p_i} \leq E(r_p)} [w_a r_{a_i} + w_b r_{b_i} - w_a E(r_a) - w_b E(r_b)] p_i = \\ &= - \sum_{r_{p_i} \leq E(r_p)} \left\{ w_a [r_{a_i} - E(r_a)] + w_b [r_{b_i} - E(r_b)] \right\} p_i,\end{aligned}$$

სადაც w_a და w_b აღნიშნავს, შესაბამისად, A და B აქტივების წონას პორტფელში (ამასთან

$w_a + w_b = 1$.

რადგან $w_a \leq E(r_p)$ გამომდინარე, $r_{p_i} \leq E(r_p)$ ეკვივალენტურია პირობისა:

$$w_a [r_{a_i} - E(r_a)] + w_b [r_{b_i} - E(r_b)] \leq 0,$$

ნებისმიერი $w_a \geq 0$ და $w_b \geq 0$ -ოვის, მაშინ

$$r_{a_i} - E(r_a) \leq 0 \quad \text{და} \quad r_{b_i} - E(r_b) \leq 0.$$

აქედან გამომდინარე,

$$\begin{aligned} \bar{d}_{p-} &= -w_a \sum_{r_{p_i} \leq E(r_p)} [r_{a_i} - E(r_a)] p_i - w_b \sum_{r_{p_i} \leq E(r_p)} [r_{b_i} - E(r_b)] p_i = \\ &= w_a \bar{d}_{a-} + w_b \bar{d}_{b-}. \end{aligned}$$

მაშასადამე, \bar{d}_{p-} პორტფელის რისკი, \bar{d}_{p-} ,

წარმოადგენს აქტივების რისკების (\bar{d}_{a-} -ების) წრფივ კომბინაციას (ისევე, როგორც მოსალოდნელი (საშუალო) შემოსავლიანობა!).

ადგილი მისახვედრია, რომ, ამის ანალოგიურად, მრავალი აქტივისგან შემდგარი პორტფელის რისკისთვის აგენტება:

$$\bar{d}_{p-} = \sum_{i=1}^n w_i \bar{d}_{a_i},$$

მაშასადამე, განსხვავებით მარკოვიცის და სხვა ცნობილი ავტორების მოდელებისგან, რისკის შემოთავაზებული ზომის გამოყენების შემთხვევაში, პორტფელის რისკი წარმოადგენს აქტივების რისკების წრფივ კომბინაციას (ისევე, როგორც მისი მოსალოდნელი (საშუალო) შემოსავლიანობა!) და მაშასადამე, არაა დამოკიდებული კორელაციების სიდიდეზე აქტივების შემოსვლიანობებს შორის.

აკაკი გაბელი

ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად უნდა გაამარტივოს ფინანსური პორტფელების შერჩევის (სინთეზის) ამოცანა.

მართლაც, შედარებისთვის გაფიხსენოთ, რომ რისკის ზომად სტანდარტული გადახრის გამოყენებისას, პორტფელის რისკის გამოსახულებას ორი აქტივის შემთხვევაში აქვს სახე [3.გვ. 294]:

$$\sigma_p = \sqrt{w_a^2 \sigma_a^2 + w_b^2 \sigma_b^2 + 2w_a w_b \text{cov}(r_a, r_b)},$$

სადაც $\text{cov}(r_a, r_b)$ აღნიშნავს კოვარიაციის მნიშვნელობას A და B აქტივების შემოსავლიანობებს შორის.

რაც შეეხება მრავალი აქტივისგან შედგენილი პორტფელების შემთხვევას, პორტფელის რისკის გამოსახულებას ექნება სახე [3.გვ.298]:

$$\sigma_p = \sqrt{\sum_{i=1}^n \sum_{j=1}^n w_i w_j \text{cov}(r_i, r_j)},$$

რაც, ცხადია, არც ისე მარტივია.

რაც შეეხება, დივერსიფიკაციის ეფექტს, რომელიც გამოიხატება პორტფელებში აქტივების ხვედრითი წონების შერჩევაში, მას ცხადია, ჩვენს შემთხვევაშიც ექნება ადგილი.

ქვემოთ ჩვენ ამ პრობლემას საკმაოდ დეტალურად განვიხილავთ ორი აქტივისგან შემდგარი პორტფელების მაგალითზე. ვნახოთ, როგორი პორტფელები შეიძლება შევადგინოთ ორი A და B აქტივის კომბინაციებით.

გამოვიყენოთ ამ მიზნით Matlab-ი. კერძოდ, Matlab-ის ბრძანებათა ფანჯარაში ავკრიფოთ ბრძანებათა შემდეგი მიმდევრობა, რომელიც გამოითვლის A და B აქტივების რისკისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მაჩვენებლებს:

```
>> ra=[4 7 5 8 7 6 9 10 7 8 9 12];
>> rb=[3 3 7 5 8 4 6 2 5 4 5 4];
>> ara=mean(ra);
```

```
>> arb= mean(rb);
>> nda=mad(ra)/2;
>> ndb=mad(rb)/2;
```

ამ შემთხვევაში, გვექნება:

```
>>A=[nda, ara]
A =
    0.8333  7.6667
>> B=[ndb, arb]
B =
    0.6667  4.6667
```

ვნახოთ, პორტფელთა როგორი სიმრავლე მიიღება ამ შემთხვევაში A და B აქტივების კომბინირებით. ამის გასარკვევად, შევადგინოთ პატარა პორგრამა Matlab-ზე, რომელიც მოგვცემა საშუალებას ავაგოთ პორტფელების სიმრავლე მასში პირველი აქტივის ხვედრითი წონის wa-ს ცვლილების კვალობაზე.


ასეთი პორგრამის რედიზაცია გვაძლევს ნახ. 1-ზე მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებას პორტფელების შესაბამისი წერტილებისთვის (\bar{d}_- , \bar{r}) სიბრტყეში, რომლის კორდინატებიც, ზემოთ - nda და მც სიმბოლოებით გვაქვს აღნიშნული.

როგორც მოსალოდნელი იყო, შესაბამისი გრაფიკი წარმოადგენს წრფეს. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში A და B აქტივთა შემოსავლიანობას ახასიათებს სუსტი უარყოფითი კორელაცია ($\text{corr}(ra',rb')=-0.1768$), ყველა შესაძლო პორტფელთა სიმრავლის გრაფიკი ჰ. მარკოვიცის მიღებომის ფარგლებში უნდა ყოფილიყო პიპერბოლა [3,გვ.298] (იხ. ნახ. 2), რაც ცხადია, საქმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებაა და ჩვენი მიღებომის სასარგებლოდ მეტყველებს!


ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფინანსური (და არა მარტო ფინანსური!) რისკების ჩვენ მიერ შემოთავაზებული საზომი სასარგებლო უნდა იყოს. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ იმ სიტუაციებში, როცა მოსალოდნელი მნიშვნელობიდან ნებისმიერი გადახრა არასასურველია (ე.ი. გარკვეულ რისკს უპავშირდება),

აკაკი გაბელაძე

უნდა გამოვიყენოთ ჩვენთვის ქარგად ნაცნობი სტანდარტული გადახრა და მასთან დაკავშირებული მოღელები. ჩვენი საზომი კი უნდა გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როცა არასასურველია საშუალოდან გადახრა ქვევით ან ზევით.



ნახ. 1. რისკისა და შემოსავლიანობის შესაძლო
კომბინაციები
A და B აქტივებისათვის ჩვენი მიდგომის
ფარგლებში



ნახ. 2. რისკისა და შემოსავლიანობის შესაძლო
კომბინაციები
A და B აქტივებისათვის, კორელაციის
კოეფიციენტის ρ-ს განსხვავებული მნიშვნელობებისთვის,
კ. მარკოვიცის მიდგომის ფარგლებში

**4. ოპტიმალური პორტფელის შერჩევის ამოცანა
მრავალი აქტივის
შემთხვევაში, როგორც ორქორიტერიუმიანი წრფივი
დაპოვნიამების ამოცანა**

განვიხილოთ ახლა პორტფელების შედგენის ამოცანა მრავალი აქტივის შემთხვევაში.

დავიწყოთ სამი აქტივის შემთხვევიდან, და ვნახოთ, როგორი პორტფელების შედგენა შეიძლება A , B და C აქტივების კომბინირებით.

გამოვიყენოთ ამ მიზნით Matlab-ი. კერძოდ, Matlab-ის ბრძანებათა ფანჯარაში ავტოფოთ ბრძანებათა შემდეგი მიმდევრობა, რომელიც გამოითვლის A , B და C აქტივების რისკისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მაჩვენებლებს, შემდეგ კი გამოვიძახოთ მიღებულ მაჩვენებელთა მნიშვნელობები. გვექნება:

```
>>A=[nda, ara]
A =
    0.8333  7.6667
>>B=[ndb, arb]
B =
    1.1806  5.833
>>C=[ndc, arc]
C =
    0.8611  7.8333
```


ვნახოთ, პორტფელთა როგორი სიმრავლე მიიღება ამ შემთხვევაში A , B და C აქტივების კომბინირებით. ამის გასარკვევად, შევადგინოთ პატარა პროგრამა Matlab-ზე, რომელიც მოგვცემს საშუალებას ავაგოთ პორტფელების სიმრავლე მასში აქტივის ხვედრითი წონების ცვლილების კვალობაზე.

შედეგად მივიღებთ იმ პორტფელების სიმრავლის გრაფიკულ გამოსახულებას, რაც შესაძლებელია A , B და C აქტივების კომბინირებით (ის. ნახ. 3).

რაც შეეხება ამ პორტფელებს შორის ოპტიმალურის შერჩევის პრობლემას, ადვილი მისახვედრია, რომ შესაბამისი ამოცანა (ჩვენი მიღგომის

ფარგლებში), წარმოადგენს წრფივი დაპროგრამების ორგრიტერიუმიან ამოცანას.

მართლაც, ამ შემთხვევაში (და, საერთოდ, ოპტიმალური პორტფელის შერჩევის ამოცანის ზოგად ვარიანტშიც, მრავალი აქტივის შემთხვევაში) კრიტერიუმების როლში უნდა განვიხილოთ პორტფელის მოსალოდნელი შემოსავლიანობა, თუ და პორტფელის რისკი, *ndap*. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ პირველი კრიტერიუმი მაქსიმუმის ტიპისაა (კ.ი. ჩვენ მისი მაქსიმიზება გვინდა), მეორე კი მინიმუმის ტიპის.



ნახ. 3. პორტფელების სიმრავლე, რომელთა
მიღებაც შესაძლებელია

A , B და C აქტივების კომბინირებით

რაც შეეხება შეზღუდვათა სისტემას (რომელიც ეწოდა ამონასსნთა სიმრავლეს განსაზღვრავს), მას მოცემულ შემთხვევაში ექნება სახე:

$$\left\{ \begin{array}{l} rp = ara^*wa + arb^*wb + arc^*wc \\ ndap = nda^*wa + ndb^*wb + ndc^*wc \\ wa + wb + wc = 1 \\ rp \geq 0, ndap \geq 0, \end{array} \right.$$

როგორც ცნობილია, პორტფელების თეორიაში აზრი აქვს უარყოფითი წონის (წილის) განხილვასაც,

ამიტომ ჩვენ აქ არ შემოგვაქვს შეზღუდვები ხვედრითი წონების ნიშანზე).

რაც შეეხება კრიტერიუმებს, მათი ჩაწერა
შეიძლება შემდეგი სახით:

$$L1 = rp \rightarrow \max, \quad L2 = ndap \rightarrow \min.$$

მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით, მოცემულ შემთხვევაში გვაქვს ორკრიტერიუმიანი წრფივი დაპროგრამების ამოცანა, 5 ცვლადითა და 3 შეზღუდვით (თუ არ ჩავთვლით 2 სტანდარტულ შეზღუდვას ცვლადების არაუარყოფითობაზე!).

უნდა შევნიშნოთ, რომ ე.წ. იდეალური წერტილის შემოღების გზით [1,გვ.409], ეს ამოცანა შეიძლება დავიყვანოთ ე.წ. კვადრატული დაპროგრამების ამოცანამდე, წრფივი შეზღუდვების პირობებში (უნდა შევნიშნოთ, რომ ანალოგიური ამოცანა მარკოვიცის მოდელის შემთხვევაში ხასიათდება არაწრფივი შეზღუდვით, რაც, ცხადია, მას მნიშვნელოვნად ართულდება!).

მართლაც, გასაგებია, რომ მოცემულ შემთხვევაში იდეალური იქნებოდა პორტფელი, მაქსიმალური შემოსავლიანობითა და მინიმალური რისკით (მოცემული აქტივების მახასიათებლებიდან გამომდინარე), ე.ი. პორტფელი, რომლის სივრცაც $rp= \max\{7.6667; 5.833; 7.8333\}=7.8333$, ხოლო $ndap= \min\{0.8333; 1.1806; 0.8611\}=0.8333$.

აქედან გამომდინარე, მიზნის ფუნქციად შეიძლება დავისახოთ, ამ იდეალურ წერტილთან მაქსიმალური მიახლოება, ე.ი. $F=(ndap-0.8333)^2+(rp-7.8333)^2$ მინიმიზია ჩვენი პირობების (შეზღუდვების გათვალისწინებით). ე.ი. საბოლოოდ, მივიღებთ კვადრატული დაპროგრამების შემდეგ ამოცანას:

$$F=(ndap-0.8333)^2+(rp-7.8333)^2 \rightarrow \min$$

ზემოთ მოყვანილი შეზღუდვების პირობებში, რომელთაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გქნება სახე:

$$\left\{ \begin{array}{l} rp = 7.6667 * wa + 5.833 * wb + 7.8333 * wc \\ ndap = 0.8333 * wa + 1.1806 * wb + 0.8611 * wc \\ wa + wb + wc = 1 \\ rp \geq 0, \quad ndap \geq 0, \end{array} \right.$$

ამ ამოცანის ამოხსნა კი უკვე შესაძლებელია, მაგ. Matlab-ის შესაბამისი ინსტრუმენტების (ფუნქციების) გამოყენების ბაზაზე.

უფრო მეტიც, თუ კრიტერიუმის გამოსახულებაში პირველ და მეორე შეზღუდვებს გავითვალისწინებთ, ამოცანა მიიღებს სახეს:

$$F = (0.8333 * wa + 1.1806 * wb + 0.8611 * wc - 0.8333)^2 + (7.6667 * wa + 5.833 * wb + 7.8333 * wc - 7.8333)^2 \rightarrow \min$$

$$\text{შეზღუდვების პირობებში:} \\ wa + wb + wc = 1.$$

დაბოლოს, თუ დარჩენილი პირველი შეზღუდვიდან $wc = 1 - wa - wb$ სახით, საბოლოოდ დაგვრჩება უპირობო (!) მინიმიზაციის შემდეგი ამოცანა:

$$F = [0.8333 * wa + 1.1806 * wb + 0.8611 * (1 - wa - wb) - 0.8333]^2 + [7.6667 * wa + 5.833 * wb + 7.8333 * (1 - wa - wb) - 7.8333]^2 \rightarrow \min.$$

ანუ, რაც იგივეა (F ფუნქციის გამარტივების შემდეგ):

$$F = (-0.027 * wa + 0.3195 * wb + 0.0278)^2 + (-0.1666 * wa - 2.0003 * wb)^2 \rightarrow \min.$$

მიღებული ამოცანის ამოხსნა Matlab-ის fminsearch-ის მეშვეობით გვაძლევს:
 $wa = 0.5110$, $wb = -0.0426$ და $wc = 1 - 0.5110 - (-0.0426) = 0.5316$, რაც როგორც ცნობილია, იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ინვესტორისთვის ოპტიმალური სტრატეგია ასეთია: მან

უნდა ისესხოს თავისი ფინანსური რესურსის 4.26 %, როთაც იყიდოს და “მოკლეზე გაყიდოს” В აქტივი (ანუ ისესხოს ეს აქტივი, მერე კი დააბრუნოს, ან ისესხოს შესაბამისი თანხა!) და შედეგად, მთელი რესურსების 51.1 % ჩადოს A აქტივში, ხოლო 53.16 % კი C აქტივში. (სხვათა შორის ჩვენს მოდელს რომ B აქტივი “არ მოსწონს” ეს გასაგებიცაა, მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე).

ასეთ შემთხვევაში, ოპტიმალური პორტფელის შემოსავლიანობისა და რისკისთვის თვის გვექნება, შესაბამისად, $r_p = 7.8334$ და $ndap = 0.8333$.

მაშასადამე, უარყოფითი ხელის წონების დაშვების პირობებში, მოხერხდა იდგალური წერტილის მიღწევა და ისეთი პორტფელის აგება, რომელსაც გააჩნია, მოცემული აქტივებისთვის დამახასიათებელი მინიმალური რისკი და მაქსიმალური შემოსავლიანობა. ცხადია, ამოცანაში ხელის წონების არაუარყოფითობის მოთხოვნის შემთხვევაში, ამოცანაც გართულდებოდა და საბოლოო შედეგიც უარესი იქნებოდა. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ასეთი ამოცანა შეიძლება ამოიხსნას.

დაბოლოს, შედარებისთვის უნდა შევნიშნოთ, რომ პ. მარკოვიცის მოდელის ფარგლებში ოპტიმალური პორტფელის შედგენის ამოცანა სამი აქტივის შემთხვევაშიც კი იმდენად რთულია, რომ ძალზე ცნობილ სახელმძღვანელოებშიც კი მხოლოდ მისი ფრაგმენტებია გადმოცემული. მეორე მხრივ, ჩვენი მიღვომის პირობებში, მრავალი აქტივის შემთხვევაშიც, ოპტიმალური პორტფელის შერჩევის ამოცანა შეიძლება ზუსტად ასევე ამოიხსნას. უბრალოდ, ცვლადების რაოდენობა გაიზრდება, რაც ზემოთ გამოყენებული ოპტიმიზაციის ტექნიკის პირობებში, საქმეს პრინციპულად სულაც არ ართულებს! გარდა ამისა, ადსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ მოდელის ფარგლებში, ერთ-ერთი აქტივი შეიძლება “ურისკოც” იყოს. ასე რომ ეს მიღვომა პრაქტიკულად უნივერსალური შეიძლება აღმოჩნდეს პორტფელების თეორიაში, იმ აზრით, რომ ამ გზით შეიძლება უ. შარპის (აგრეთვე ნობელის პრემიის ლაურეატის) ტიპის მოდელების აგებაც.

About risk assessment and optimal financial portfolio formation

A. Gabelaia

It is shown, that for an assessment of risks (including the finance risk) connected with a situation when the deviation from an average at the left or on the right is undesirable, application of such a widely used indicator as the standard deviation can't be considered as the quite justified. An indicator allowing more precise estimation risk in such situations is suggesting. Relation of this indicator with a average linear deviation and ways of its calculation (for example on the basis of Matlab system) is shown.

It is shown, that in case of application of an offered indicator of risk, a problem of a choice of an optimum portfolio becomes considerably simpler and can be reduced to a problem of square programming, at linear restrictions. Possibilities of application of these results are illustrated on examples of a practical character.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. გუგუშვილი, გ. სალუქვაძე, ვ. ჭიჭინაძე. ოპტიმალური და ადაპტური სისტემები (წიგნი II). თბილისი, 1997;
2. З. Боди Р. К. Мертон. Финансы: Пер. с англ. Изд. дом “Вильямс”, Москва –Санкт- Петербург-Киев. 2004, 2009;
3. М. В. Колб, Р. Дж. Родригес. Финансовые институты и рынки. Москва.“Дело и сервис”. 2003;
4. Теория статистики. Под ред. Шмойловой Р.А. (Четвёртое издание). Москва. «Финансы и статистика», 2005.

რვიცხილური სტატისტიკური
სისტემის სრულყოფის გრგიერთი
პროგლემა საქართველოში

დავით კაბილაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სდასუ-სა და
გურამ თაგართექილაძის
უნივერსიტეტის პროფესორი

სტატისტიკის სამსახური პარლამენტის წინაშე
ანგარიშვალდებულ ორგანოდ გარდაიქმნება – თბილისი (BPI) -
ახალი მინისტრთა კაბინეტი სტატისტიკის სახელმწიფო
სამსახურის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ
ორგანოდ გარდაქმნასა და მისი სტატუსის კონსტიტუციის
დონეზე განსაზღვრას გეგმავს.

ამის თაობაზე ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და
მიმართულებების შესახებ მთავრობის 2013-2016 წლების
პროგრამაშია ნათქვამი, რომლის გადამუშავებული ვარიანტი
პარლამენტს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად
წარედგინა.

მთავრობის გეგმა ასეთია: კონსტიტუციით განისაზ-
დება, რომ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური არის
დამოუკიდებელი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული
დაწესებულება, რომლის დირექტორსაც ხუთი წლის ვადით,
პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის, მათ
შორის, საპარლამენტო ოპოზიციის უმრავლესობის თანხმობით,
თანამდებობაზე პრეზიდენტი დანიშნავს. პროგრამაში აქვთ
აღნიშნულია ისიც, რომ მოსახლეობის საყოველობო აღწერის
დიდი მნიშვნელობის გამო, მთავრობას აუცილებლად
მიაჩნია, რომ კონსტიტუციით განისაზღვროს ასეთი აღწერის
ვალდებულება, სულ ცოტა ათ წელიწადში ერთხელ.

დავით პალეაძე

სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, იგივე „საქსტატს“ ამჟამად საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი აქვს, რომელიც კანონის გათვალისწინებით, ვალდებულია საკუთარი საქმიანობა დამოუკიდებლად განახორციელოს. „საქსტატს“ აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს, რომელსაც „საქსტატის“ საბჭოს წარდგინებით ოთხი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებიდან ათავისუფლებს პრეზიდენტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მინდა წარმოვადგინო საკუთარი ხელვები ეროვნული სტატისტიკური სისტემის საკითხებზე.

სტატისტიკა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამდენად, ქვეყანაში დემოკრატიული მშენებლობის მიმართულებით გადაგმული ნაბიჯები აუცილებლად უნდა შეეხოს ოფიციალურ სტატისტიკას, ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ სფეროებზე გამოქვეყნებული მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებას და სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების ნდობის ამაღლებას. ბუნებრივია, თავისდროული და უტყუარი სტატისტიკური მონაცემების გარეშე შეუძლებელია ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის, მუნიციპალური მმართველობისა და ინსტიტუციური ერთეულების დონეზე.

საქართველოში სახელმწიფო ეროვნული დამოუკიდებლობის მშენებლობის პირველივე დეებიდან მნიშვნელოვანი ხასიათის საკანონმდებლო, სტრუქტურული და ორგანიზაციული ხასიათის სამუშაოები ჩატარდა ახალი, საბაზრო, ოფიციალური სტატისტიკის ფორმირების მხრივ. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული 4-ჯერ განახორციელდა სტატისტიკის სფეროში საკანონმდებლო ცვლილება. ამჟამად მოქმედებს 2009 წელს მიღებული კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“.

ინერგება საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტი ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ჩატარდა მოსახლეობის 2002 წლის პირველი, დამოუკიდებელი საყოველთაო აღწერა, დაინერგა შინამეურნეობების კვლევები, ახალი სამეწარმეო სტატისტიკა, ახალი საკლასიფიკაციო სისტემები და ა. შ.

ყოველი ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ოფიციალური სტატისტიკის ბევრი მიმართულების მიხედვით, საჭიროა რეფორმების გაგრძელება, განსაკუთრებით კვლევების საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შემდგომი დაახლოების ასპექტით.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველლოს კანონის თანახმად, „საქსტატს“ ევალება უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობა. სტატისტიკის საბჭოს ევალება სახლემწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სხვა ორგანოებს დაუმტკიცოს ოფიციალური სტატისტიკის საწარმოებლად საჭირო მეთოდოლოგია [2].

„საქსტატის“ საბჭოს ზემოაღნიშნული მაკორდინირებელი ფუნქციები დეკლარირებულ ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე პრაქტიკულს. ძნელად დასაჯერებელია მოცემული ვალდებულებების განხორციელება ისეთი სტატუსის ორგანოებისათვის, როგორიცაა: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს პროგურატურა, იუსტიციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, მმართველობის ადგილობრივი და რიგი სხვა მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოები.

ეროვნული სტატისტიკური სისტემის ახლანდელი მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს მისი მოდერნიზაციის აუცილებლობას, რაც ჩვენი აზრით, შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით:

პირველი, ეროვნული სტატისტიკური სისტემის კოორდინატორი უნდა იყოს სტატისტიკის ეროვნული საბჭო,

ლაპით პატლამე

რომლის წევრების რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი. საბჭოს თავჯდომარე უნდა იყოს „საქსტატის“ ხელმძღვანელი. საბჭოს შემადგენლობაში სასურველია შევიდეს საქართველოს პარლამენტის როგორც უმრავლესობის, ასევე ოპოზიციის თითო წარმომადგენელი, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის, პროფკავშირების და ბიზნესის, მეცნიერებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;

მეორე, საბჭოს გადაწყვეტილება სტატისტიკის წარმოებით დაკავებული უწყებებისათვის, უნდა იყოს სავალდებულო კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიური საკითხების განხილვა-დამტკიცებისა და „საქსტატსა“ და სხვა სახელმწიფო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის საკითხებში, სტატისტიკურ სამუშაოთა სახლემწიფო პროგრამაში შესატანი კვლევებისა და რიგი სხვა მიმართულებების მიხედვით;

მესამე, პრინციპულად მნიშვნელოვანია „საქსტატს“, კერძოდ მის დირექტორს მიენიჭოს უფრო მაღალი სტატუსი – პრეზიდენტი - ქვეყნის მთავარი სტატისტიკოსის სტატუსი, ხოლო სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საჯარო სამართლის იურიდიული პირი ანგარიშვალდებული უნდა იყოს პარლამენტის წინაშე.

ოფიციალური სტატისტიკის წარმოების სფეროში ერთ-ერთ მოსაგვარებელ საკითხად მიგვაჩნია გავერკვეთ ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების მიერ ჩატარებული კვლევების თემატიკაში. დავადგინოთ, რამდენად ვარგისიანია სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა და მის საფუძველზე ჩატარებული კვლევები ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური მდგომარეობის დახასიათებისა და ამ სფეროებში განვითარების სამომავლო პროგრამების შედგენისათვის. სამწუხაროდ, სტატისტიკურ სამუშაოთა ბოლო წლების პროგრამებში ასახვა ვერ ჰქოვა

ისეთმა ატენუალურმა თემებმა, როგორიცაა:

- რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებებით საქართველოს ეკონომიკისადმი მიყენებული ზარალი;
- მშენებლობაში, განსაკუთრებით, დაუმთავრებელ მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობა და მისი რაოდენობრივი მახასიათებლები;
- ფინანსური რესურსების ეკონომიკურ სფეროებში გადაწილება;
- ეროვნული სიმდიდრის მახასიათებლელი მაჩვენებლები;
- განათლებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- სადაზღვეო პოლისების მომსახურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები;
- ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის მახასიათებლელი მაჩვენებლები და სხვა მრავალი.

სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამაში შეტანილი უნდა იქნეს არამარტო „საქსტატის”, არამედ სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ შესასრულებელი სტატისტიკური კვლევები, მის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მეცნიერების, სამთავრობო, პიზნეს წრეების, მასმედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა. პროგრამის „საქსტატსა” და სტატისტიკის ეროვნულ საბჭოში განხილვის შემდეგ, საქსტატის პრეზიდენტს მისი პროექტი განსახილველად შეაქვს საქართველოს პარლამენტში, რომელსაც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ყოველწლიურად, წლის დამთავრებამდე თრი თვით ადრე, დაამტკიცებს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამჟამინდელი პუბლიკაციებით ცალკეულ კვლევაზე, ძირითადად ნაერთი მაჩვენებლების გამოქვეყნებით კმაყოფილდება. სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლები არასათანადო სტატისტიკური განათლების გამო, ვერ ახერხებენ ცალკეულ

დავით ქამლაძე

მოვლენაზე სტატისტიკური კანონზომიერებების გამოვლენას. ამდენად, სწორი იქნება თუ სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველი წლის დასრულებიდან ხუთი თვის ვადაში საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის ეკონომიკაში, სოციალურ-დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ სფეროებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პრეზიდენტი ყოველი წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ინფორმაციას ქვეყნის სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირების შესახებ.

ზემოჩამოთვლილ საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებების რეალიზაციისათვის საჭირო იქნება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. (იხ. დანართი).

სტატისტიკური ინფორმაციის სისრულისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია შესაბამისი ცვლილებები შევიდეს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონშიც.

როგორც ცნობილია, სტატისტიკის წარმოების პროცესში მონაწილე ყველა მხარეს – რესპონდენტებს (საწარმოები, შინამეურნეობები), ოფიციალურ ორგანოებს, რომლებიც ატარებენ სტატისტიკურ კვლევებს (ახორციელებს სტატისტიკურ დაკვირვებას, თავს უკრის, აჯგუფებს და ანალიზს უკეთებს მოპოვებულ ინფორმაციას), სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებს (პარლამენტი, მთავრობა, სამეცნიერო საზოგადოება, ბიზნესის წარმომადგენლები, შინამეურნეობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.) თავიანთი უფლება და მოვალეობები უნდა გააჩნდეთ სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების, განზოგადებისა და გამოყენების სფეროებში. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობაში, მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყნებისაგან განსხვავებით, არაა ჩამოყალიბებული პირველადი ინფორმაციის მწარმოებელთა ვალდებულებები „საქსტატისა“ და სხვა

ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე უტყუარი და თავისძროული ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, რაც საქართველოსა და არასანდოს ხდის უკვე ნაერთ სტატისტიკურ ინფორმაციას, რადგანაც თავად რესპონდენტებისაგან მოზიდული პირველადი ინფორმაციაა არასრული. თუ პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებელი სუბიექტები გახდებიან სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების ოფიციალურ სტატისტიკურ ორგანოებში უტყუარი ინფორმაციის მიმწოდებლები, კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს „საქსტატის“ ან სხვა ოფიციალური სტატისტიკური ორგანოებისადმი კანონიერი მოთხოვნების არშესრულებების შემთხვევაში ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. გვინდა განვმარტოთ, რომ მოცემული ღონისძიება წარმოადგენს პრევენციის საშუალებას ინფორმაციის არწარმოდგენის, დაგვიანებით წარმოდგენის ან დამახინჯებული სახით წარმოდგენის აღკვეთისათვის. მართებული იქნება სამართალდარღვევათა ოქმი შეადგინოს „საქსტატის“ პრეზიდენტის ან ქვეყნის სხვა ოფიციალურ სტატისტიკურ სისტემაში შემავალი უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტით განსაზღვრულმა უფლობამოსილმა პირმა. რაც შეეხება ასეთ საქმეებზე რეაგირებას, მათი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვეტილებას მთელი სტატისტიკური სისტემის მიხედვით იღებს სტატისტიკის ეროვნული საბჭო და თითოეულ კონკრეტულ საქმეს განსახილველად უგზავნის რაიონულ (საქალაქო სასამართლოს). აღნიშნულიდან გამომდინარე, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში საჭიროდ მიგვაჩნია შეტანილი იქნეს ახალი თავი „ინსტიტუციურ ერთეულთა ვალდებულება ოფიციალურ სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენის სფეროში“. მისი შინაარსი ასეთნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. ინსტიტუციური ერთეულები ვალდებულია:

ა) „საქსტატს“ და ოფიციალური სტატისტიკის

დავით პატარაძე

წარმოებით დაკავებულ სხვა უწყებებს სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები წარუდგინოს დადგენილ გადებში სრულად და უტყუარი მონაცემებით.

ზემოაღნიშნულ კანონში ასევე მიზანშრონილად მიგვაჩნია ახალი თავის – „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“ შემოტანა. მისი შინაარსი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

„ასუხისმგებლობა „საქსტატის“ და ოფიციალური სტატისტიკის წარმოებით დაკავებული სხვა უწყებებისათვის სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების არწარდეგნა, დაგვიანებით ან დამახინჯებით წარდგენისათვის“; ა) ინსტიტუციური ერთეულების მიერ „საქსტატისა“ და ოფიციალური სტატისტიკის წარმოებით დაკავებულ სხვა უწყებებისათვის სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების არწარდეგნა, დაგვიანებით ან დამახინჯებული მონაცემებით მიწოდება, გამოიწვევს, პირველ შემთხვევაში, ასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას 1000 ლარის, ხოლო გამორექბის შემთხვევაში – 2000 ლარის ოდენობით.

მუხლი... სამართალწარმოება

1.ამ თავით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს „საქსტატის“ პრეზიდენტის ან ოფიციალური სტატისტიკის წარმოებით დაკავებული უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

2.ამ თავით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გადაწყვეტილებას რეაგირებისათვის იღებს სტატისტიკის ეროვნული საბჭო და მასალებს უგზავნის რაიონულ(სასქალაქო) სასამართლოებს.

3.მოცემული თავით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო

4.ამ თავით გათვალისწინებული სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

ამჟამად მოქმედი კანონის მეოთხე მუხლში „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები”, მოტანილია 5 პრინციპი. გაეროს ეფექტური კონტროლის კონცენტრაცია კონსისტენტური კონტროლის 47დე სესიის მიერ 1992 წლის 15 აპრილს მიღებულია 10 ფუნდამენტური პრინციპი[3]. ევროკავშირის სტატისტიკური პროგრამების კომიტეტის 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტიკებით - 15 პრინციპი [4]. ვფიქრობთ, გაეროს 10 პრინციპითან ჩვენი კანონმდებლობისათვის კარგი იქნება მე-4 პრინციპის გადმოტანა, რაც ითვალისწინებს შემდეგს: „სტატისტიკურ დაწესებულებებს აქვთ სტატისტიკური მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციის და არასწორი გამოყენების კომენტირების უფლება”. მოცემული პრინციპის კანონმდებლობაში ასახვა სტატისტიკოსებს საშუალებას მიცემს სწორი კომენტარები გაეკათონ წინა ხელისუფლების განცხადებაზე ე-წ „ეკონომიკური სასწაულების” მოხდენის შესახებ საქართველოში და ამჟამინდელ არასწორ განცხადებებზე კონონმიკური და ფინანსური კრიზისების დადგომის თაობაზე.

ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს სასურველია დაემატოს შემდეგი:

- სტატისტიკურ დაწესებულებებს აქვთ სტატისტიკური მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციის ან არასწორი გამოყენების კომენტირების უფლება;

- „ოფიციალურ სტატისტიკაზე” კანონმდებლობაში მოტანილი პრინციპი, „ობიექტურობა”, საჭიროა შეიგხვის პრინციპით „მიუკერძოებლობა” და ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით: „მიუკერძოებლობა და ობიექტურობა”.

- ქტუალურობა - ოფიციალურმა სტატისტიკამ უნდა დააკმაყოფილოს მომსმარებელთა ინტერესები.

- რესპონდენტებზე დაკისრებული დატვირთვის ზომ-

ლაპით კამუნდები

იერება-რესპონდენტთა დატვირთვა მონაცემთა წარმოდგენისას უნდა იყოს მომხმარებელთა საჭიროების პროპორციული და არ უნდა იყოს ზომაზე დიდი.

მუხლი 6. საქსტატის სამართლებრივი სტატუსი. მოცემული მუხლის ბოლოს დაქმატოს - „საქსტატი ანგარიშალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე“.

კველაზე სუსტი რგოლი ამჟამინდელ ოფიციალური სტატისტიკური სისტემის საქმიანობაში, არის მეთოდოლოგიური სამუშაოების უკიდურესად დაბალი ორგანიზაცია. არასწორია „საქსტატის“ გადაწყვეტილება მეთოდოლოგიის სამმართველოს გაუქმების შესახებ. თუ გავეცნობით „საქსტატის“ საქმიანობას ამ მიმართულებით, შევნიშნავთ, რომ სტატისტიკური კვლევების მოცემული უმნიშვნელოვანები საკითხი როგორც თემატურად, ასევე შინაარსობრივად და მოცულობით, ძალზედ მწირია, ხოლო საერთაშორისო სტატისტიკური ორგანოების მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიური სამუშაოების ინგლისურენოვანი ვერსიების აღიარება და განთავსება „საქსტატის“ ვებგვერდზე პრობლემას ვერ გადაწყვეტს შემდეგ გარემოებათა გამო:

- საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო ხასიათდება რიგი თავისებურებით, რამაც ასახვა უნდა ჰქოვოს სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოს ჩატარების მეთოდოლოგიაში;

- ინგლისურენოვანი დოკუმენტის აღიარება არ ნიშნავს, რომ იგი, თუნდაც ქართულ ენაზე არ ითარგმნოს და ისე მიეწოდოს სტატისტიკური პროცესის წარმოების მონაწილეებს;

- საერთოდ უცნობია ამ მიმართულებით რა კეთდება ოფიციალური სტატისტიკით მწარმოებულ სხვა სამინისტროებსა და უწყებებში და მმართველობის ტერიტორიულ ორგანოებში;

• საბჭოს როლისა და ფუნქცების ზრდასთან დაკავშირებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა: სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების თემატიკის სრულყოფა, მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის დარღვევით მომუშავე სუბიექტებზე ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებების გატარება და რიგი სხვა მიმართულების მიხედვით, მაკორდინებელი ფუნქცების გაძლიერება, სასურველია საბჭოს წევრებს დაენიშნოთ სახელფასო სარგოებზე დანამატები.

მსოფლიოს ქვეყნების მეთაურები და საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან დიდი ინტერესით იხილავენ იმ თვისებრივ ცვლილებებს, რომელიც საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ინიციატივით შექმნილმა კომისიამ, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, ნობელის პრემიის დაურეატის ჯიოზეფ სტიგლიცის ხელმძღვანელობით მოხსენების სახით წარმოადგინა. იგი შეისწავლის მსოფლიოში სტატისტიკის სფეროში შექმნილ თანამედროვე მდგრმარეობას და ასკვნის რომ „მირითადი მიზეზი იმისა, თუ მოულოდნელად რატომ დადგა მსოფლიო ფინანსური კრიზისი, არის ის, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თანამედროვე მაჩვენებელთა სისტემა არასრულყოფილია და ბაზრის მონაწილეები და მთავრობა არ იყო ორიენტირებული განსაკუთრებით ადეკვატურ მაჩვენებლებზე”[7]. მოცემულ მოხსენებას პრეზიდენტია აქვს ახალი ინდიკატორებით მოახდინოს ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დადგომის პრევენცია. ამ ახალი ინიციატივის საპასუხოდ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იქმნება ახალი სტრუქტურები. ასე, მაგალითად, საფრანგეთში ინოვაციური ინდიკატორების შესაქმნელად ჩამოაყალიბეს კომიტეტი, რომელშიც ნობელის პრემიის 4 ლაურეატი შეიყვანეს, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ხალხის ცხოვრების ღონისძიების დონის დასახასიათებლად, მშპ-სთან ერთად წინა

დაკითხვები

პლანზე წამოიწია მოხმარების, სიმდიდრისა და მოსახლეობის ყოფითი ურთიერთობის მახასიათებელმა მაჩვენებლებმა. მსოფლიოს სტატისტიკოსები მრავალი ახალი დილექტის წინაშე დადგნენ, თუ როგორ გაზომონ „ბედნიერების”, სოციალური პირობების, გარემოს მდგომარეობის, ეკონომიკის ინსტიტუციურ სექტორებს შორის დავალიანებების, განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურების ახალი მაჩვენებლები, რომელთა შორისაა: პირადი კეთილდღეობის მაჩვენებელი და ცხოვრების ხარისხის ინდექსი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ დეტერმინანტებს, როგორიცაა: ჯანმრთელობა, ოჯახური ცხოვრება, საზოგადოებრივი ცხოვრება, მატერიალური კეთილდღეობა, პოლიტიკური თავისუფლება, გენდერული თანასწორობა.

სტატისტიკურ მაჩვენებლთა ახალ სისტემაში საგანგებო ადგილი უნდა დაიკავოს სტატისტიკის ახალი მიმართულების და პოლიტიკური სტატისტიკის მაჩვენებლებმა. ამ ასპექტით შესწავლილი უნდა იქნეს ქვეყანაში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მახასიათებლები.

იმისათვის რომ შემუშავდეს ზემოაღნიშნული ფუნდამენტური ცვლილებების ინოვაციური მახასიათებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია და დაიწყოს სტატისტიკური და კოგნიტური კვლევების ჩატარება, უნდა განისაზღვროს როგორ მოხდეს „საქსტატისა” და მთელი ოფიციალური სტატისტიკური სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის სისტემური ამაღლება; როგორ ავამაღლოთ ქვეყანაში სტატისტიკური განათლებისა და წიგნიერების დონე, განსაკუთრებით, ემპირიული და კოგნიტური კველვების ჩატარებისას; რა აუცილებელ მეცნიერულ და პრაქტიკულ უნარჩვევებს უნდა ფლობდნენ „საქსტატისა” და მთლიანად სტატისტიკური სისტემის თანამშრომლები, რა აუცილებელი პროფესიული საკითხები უნდა იცოდნენ მათ ატესტაციის ჩატარებისას და ა.შ., მიზანშეწონილად მიგვაჩნია

„საქსტატოან” შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქსტატის” სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ეროვნული სტატისტიკური სისტემის სრულყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიგვაჩნია „საქსტატის” ფარგლებში ტერიტორიული სტატისტიკური ორგანოების ფუნქციონირება, რომლებიც არამარტო სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებს შეასრულებენ, არამედ ქვეყანაში მმართველობითი ფუნქციების დეცენტრალიზაციის განხორციელების პროცესში, მმართველობის მუნიციპალური ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფის ფუნქციებითაც იქნებიან დაკავებული.

ახალ პირობებში ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების სტატუსის ამაღლებისა და მათ წინაშე მდგარი ახალი ამოცანებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „საქსტატის” აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების მუშაკები გახდნენ სახელმწიფო მოხელეები მათზე ყველა შეღავათისა და შეზღუდვის პირობების გავრცელებით.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მოსახლეობის საყოველოაო აღწერის შესახებ” საქართველოს კანონის ცალკე კანონად გამოტანა.

ჩენ მიერ შემოთავაზებულ საკითხებზე საქართველოს კანონში „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ”, სათანადო აღგილებზე მიზანშეწონილი იქნება ზემოაღნიშნული ცვლილებების შეტანა.

(დანართი 1)

საკონსტიტუციო ცვლელებების კანონპროექტი
ეროვნული სტატისტიკური სისტემის მოდერნიზაციის
საკითხებზე

თავი მეექვსე – „სახელმწიფო ფინანსები და
კონტროლი”, ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

დავით პატლაძე

„სახელმწიფო ფინანსები, კონტროლი და სტატისტიკა”

მუხლი...

1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას ქვეყანაში ახორციელებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური „საქსტატი”, ეროვნული ბანკი, სამინისტროები და მმართველობის ტერიტორიული ორგანოები, ხოლო ამ საქმის კოორდინაციას - სტატისტიკის ეროვნული სამსახური და „სტატისტიკის” ეროვნული საბჭო.

მუხლი...

1. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად, წლის დამთავრებამდე 2 თვით ადრე, ამტკიცებს სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამას, რომელიც მოიცავს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკურად დახასიათებისათვის საჭირო სამუშაოთა ჩამონათვალს, მათი შესრულების კონკრეტული ვადების ჩვენებით;

2. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ყოველი წლის დასრულებიდან 5 თვის ვადაში, საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ;

3. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ყოველი წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ქვეყნის სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირების შესახებ;

4. სტატისტიკის ეროვნული სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. სტატისტიკიური კვლევების ჩატარებისას სარგებლობს მსოფლიოში აღიარებული მეთოდოლოგიით, ეპროპერ სტატისტიკოსთა ნორმების კოდექსით და კვლევების ჩატარებაში - საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით. „საქსტატის” უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და

დამოუკიდებლობის გარანტიები განისაზღვრება კანონით.
მუხლი...

1. ქვეყნის ეროვნული სტატისტიკური სამსახურის უმაღლესი ორგანოა სტატისტიკის ეროვნული საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, ექვსი წლის ვადით, ხილი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს პარლამენტი. სტატისტიკის ეროვნული საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით, 64-ე მუხლის შესაბამისად;

2. საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის პრეზიდენტს, ქვეყნის მთავარ სტატისტიკოსს, სტატისტიკის ეროვნული საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან, ექვსი წლის ვადით, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, ხილი შემადგენლობის უმრავლესობით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

ვფიქრობთ, სტატიაში წამოჭრილი პრობლემები განხილვას საჭიროებს როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე, რაც საქართველოს ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში შექმნილ რეალურ სიტუაციას შესადარისს გახდის დასავლურ სტანდარტებთან.

**Constitutional amendment should also concern to country's
official statistical service**

D.Kbiladze

Current analysis of national statistical system shows that there is a need of further modernization. In particular, the coordination of the national statistical system should be carried out by the National Statistics Council; It's necessary further improvement of given council's coordinating function in the issues of exchanging information between „Geostat” and other state agencies. Also it is very important to give a higher status to the National Statistical Service which requires a constitutional amendment, as well as changes in the rule „About Official

ღამით პარტნერი

Statistics”. It's inevitable agreed collaboration between respondents of the country, Geostat, consumers of statistical information, which will make statistical information of economic, social, demographic and ecological spheres more utilizable and reliable which is the basis of right managerial decisions in appropriate fields.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია, 04/10/2013;
2. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ”, თბილისი, 2009;
3. Основополагающие принципы деятельности официальной статистики, Нью-Йорк, Статистическая Комиссия ООН, 14 апреля 1994;
4. ევროპელ სტატიკოსთა ნორმების კოდექსი, ევროკომისია, ლუქსემბურგი, 2005;
5. დ.პილაძე, შ. მეტრეველი, სტატისტიკა, გამომცემი. „უნივერსალი”, თბ., 2012;
6. Einige historische und gesetzgeberische Faktoren der Reformierung der georgischen Statistik, Potsdam, STATISTISCHE DISKUSSIONSBERÄGE Nr. 34, 2009;
7. ეკონომიკური შედეგებისა და სოციალური პროგრესის შეფასების ჰ. სტიგლიცის კომისიის მოხსენება (www.stiglitz-sen-fitoussi.fr)

STATISTICAL ANALYSIS OF CONDITION OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA

LIA CHAREKISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associated Professor,
Geostat. Head of Sub Division

Keywords: Law on Education, view of system of education, Higher education statistics.

Introduction

Higher education is the site for production, transmission and application of knowledge. It is here that the most highly skilled members of workforce are educated and intellectual base for new knowledge-intensive industries is formed.

Higher education is not just for those adults currently attending university. It is also important for children, because primary education cannot expand without an adequate supply of teachers and administrators trained to graduate qualifications. Principal stakeholders include students and their parents, various employers, taxpayers, government, and the staff at higher education institutions. Change and reform can happen only with active participation of all stakeholders.

Georgia is wealthy with higher educated population. Society is best served if higher education system enjoys academic freedom and requisite institutional autonomy. The state must guarantee that. A strong education system designed to ensure genuine opportunity for all to reach their full potential and continue to improve their knowledge and capacities throughout their lives will build such people.

The fundamental changes that affected Georgia during the 1990s

have placed knowledge and higher education at the center of national development. Higher education institutions in Georgia have been actively involved in education system reform.

The widespread recognition that tertiary education is a major driver of economic competitiveness in an increasingly knowledge-driven global economy has made high quality tertiary education more important than ever before. The imperative for countries is to raise higher-level employment skills, to sustain a globally competitive research base and to improve knowledge dissemination to the benefit of society [3, p. 23].

The Parliament of Georgia is fully aware that human capital formation is key to political and economic development and reform, and a premise for mutually beneficial integration regionally, with Europe and the world at large. Parliament realizes that the existing system of higher education falls short of offering Georgian society the promise of an articulate, vibrant democracy and sustainable economic growth.

For this reason, Parliament was committed to higher education reform. In 2004 the Law on Higher Education was adopted [2], which regulates conduct of educational and scientific research activities of higher educational institutions in Georgia, the principles and procedures of management and funding of higher education, establishes the rules and procedures of foundation, performance, reorganization and liquidation of a higher education institution, as well as the principles of authorization and accreditation [1].

1. Higher Education in Soviet Georgia

Educational traditions have a long history in Georgia. In the middle ages a number of important educational centers were actively involved in development of Georgian culture [4, p. 6]. When the country gained independence at the beginning of the 20-th century, one of its first acts was to establish a national university, first one in Caucasus. With the occupation of Georgia, Tbilisi State University was integrated into the Soviet system of higher education. The problems this caused persist

to the present day.

აუცილებელია, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის განხილვა: რა წარმოადგენს სტრატეგიული მენეჯმენტის კვლევის ინსტრუმენტებს, რამდენად განსხვავდებიან ისინი სხვა, მომიჯნავე დისციპლინების კვლევითი აპარატისაგან, როგორ მოხდება კვლევითი აპარატის შემდგომი განვითარება. სტრატეგიული მენეჯმენტის კვლევის მეთოდები დაყოფილია ორ დიდ ჯგუფად: პირველია ეკონომიკური კვლევის მეთოდები, რომლებიც ფოკუსირებულია მიერო დონეზე; მეორეა ფართო სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, სადაც იკვეთება, როგორც თვისებრივი (ხარისხობრივი) ასევე, რაოდენობრივი კვლევის ასპექტები. ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა რ. პ. რუმელტის, დ. შჩენდელის და დ.ჯ. ტიტისის სტატიაში მოყვანილი მოსაზრებები [7], სადაც გაანალიზებულია, თუ როგორ ხდება სტრატეგიული მენეჯმენტი ახალი იდეების, კვლევების განხორციელება ეკონომიკურის სტანდარტულ კვლევით აპარატზე დაყრდნობით. აქვე უნდა აღინიშნოს პრინციპული ხასიათის მქონე განსხვავება: ეკონომიკისი სწავლობს ბაზრების ფუქნქციონირებას რესურსების კოორდინირებისა და განთავსების მიხედვით, სტრატეგიული მენეჯმენტი ფოკუსირებულია რესურსების კოორდინირებასა და განთავსებაზე ფირმის შიგნით. სწორედ ეს განსაზღვრავს განსხვავებას და საშუალებას გვაძლევს ახლებურად

გიორგი ლალაძე

გავიაზროთ ეს საკითხები. XX საუკუნის მიწურულის, მოსაზრება, რომ ფირმა უნდა აიგოს სხვადასხვა ბაზრის მიხედვით და უნდა მოხდეს ფირმის შიგნით კონკურენციის წახალისება, უკვე მიჩნეულია ძველ და დრომოჭმულ შეხედულებად. უფრო მეტიც, ბევრი მკაფიოვარი თვლის, რომ ფირმის, როგორც საბაზრო ნიშნით დაყოფილი ერთეულების მართვა საფუძველშივე არასწორია. ფირმებში ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია კოორდინირებისა და თანამონაწილეობის ცნებები. ძალზე რთული და მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, რომ განსაზღვრულიყო ფირმის ეფექტიანი საზღვრები და ამით მონიშნულიყო მისი მოქმედების არეალი. კონკურენტული სტრატეგია არის და იქნება სტრატეგიული მენეჯმენტის უმნიშვნელოვანები შემადგენელი ნაწილი, ამდენად ურთიერთკავშირი ეკონომიკსთან შენარჩუნდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულების ინტერპრეტირება არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ სტრატეგიასა და გამოყენებით მიკროეკონომიკას შორის დაისვას ტოლობის ნიშანი. რასაკვირველია, ნებისმიერი კონკურენტული სტრატეგია იქნება უკეთესი, თუ ის გაითვალისწინებს ეკონომიკურ თეორიას და კონკურენტული რეაქციის მოდელებს. ამავდროულად კონკურენტული სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ორგანიზაციული ქცევის, პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინების, ტექნოლოგიური ასპექტების გააზრებას. კონკურენტული სტრატეგია ეფუძნება უფრო ფართო ცოდნასა და არეალს, ვიდრე ესაა ეკონომიკისი. თავის მხრივ, კონკურენტული სტრატეგიების ფორმირების უახლესი მიღწევები ახდენს მიკრო ეკონომიკური პლევების შემდგომი ასპექტების წარმოჩნას. კვლევითი აპარატის დახვეწა ორმხრივად მიმდინარე დინამიკური პროცესია, სადაც ცალკეული მიღწევები განსაზღვრას ახალი უფრო ფართომასშტაბიანი ან სიღმისეული კვლევების ჩატარების

აუცილებლობას. უახლოეს პერიოდში სტრატეგიული მენეჯმენტის კვლევითი აპარატი წარმოდგენილი იქნება როგორც ურთულესი, ერთმანეთის განმაპირობებელი კვლევითი მეთოდების ერთობლიობა.

ამრიგად, ნათელია, რომ იკვეთება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული მენეჯმენტის პირობითი საზღვრები სულ უფრო და უფრო ძნელად გასავლებია სხვა დისციპლინებთან მიმართებით. რესურსებზე ორიენტირებული კონკურენტული უპირატესობის მოდელი კი, აღიარებული უნდა იქნეს დომინანტი მოდელად უახლოეს მომავალში. მნიშვნელოვანი იქნება თუ რას წარმოაჩენს კონკრეტული ფირმა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსეს, ასევე საინტერესოა ამ რესურსის კონკრეტულ დარგში ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და აქედან გამომდინარე – მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მიღწევის შესაძლებლობა.

Essence of the Strategic Management

G. Gaganidze,

In the Scientific article Author analyzed the formation and development of the Strategic Management concept, different approaches and current trends. Also is analyzed the different models and ways to capture and sustain competitive advantage. Author tried to find out modern trend in the competitiveness taking into account the globalization process.

1. Fred David, Strategic Management, Concepts and cases, 12th edition; Pearson Prentice Hall;
2. M.A. Sanders, Wm.G. Sanders, Strategic Management Dynamic Perspective, Pearson Prentice Hall;
3. T.FU, L. Fu, A Subjectivist Approach to Strategic Management, Managerial and Decision Economics, Vol. 24. No.4,2003, pp.335-345;
4. M. Porter, Competitive Strategy, 1980;
5. R. Nag, D.C. Hambrick, Ming-Jer Chen, What is Strategic Management Really? Strategic management Journal Vol.28; N9; 2007 pp.935-955;
6. Stalk, Jr., Time – The Next Source of Competitive Advantage 1988;
7. R.P. Rumelt, Dan Schendel and David J. Teece, Strategic Management and Economics, Strategic Management Journal Vol.12, (Winter, 1991), pp. 5-29.

ტერიტორიული განვითარების მსოფლიო ტენდენციები

მერაბ ხოსრია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თხუ-ის ასისტენტ-
პროფესორი, დოქტორანტი


ტურიზმის ინდუსტრიის აქტუალურობა იზრდება მისი დინამიკის თვისებრიობიდან გამომდინარე. თანამედროვე სახით მის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნეში და აქტიურ როლს ასრულებს ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, კულტურათა ინტეგრაციის, გარემოსდაცვითი და სხვა მიმართულებებით. ინდუსტრიის ფრაგმენტულობის და მისი გარკვეულწილად ამორფული ხასიათის გამო, როგორდება ტურიზმის გავლენების ზუსტი შეფასება, შესაბამისად, სათანადო საინფორმაციო ბაზების შექმნა, რაც თავის მხრივ, ზღუდავს პროგნოზირების შესაძლებლობებს როგორც ანალიტიკოსებისთვის, ასევე ეკონომიკური სუბიექტებისთვის. ტურიზმის ინდუსტრიის მსოფლიო ტენდენციების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ინდუსტრიის მახასიათებლების რაოდენობრივი და თვისებრივი დინამიკის ანალიზი. რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია ეკონომიკის პროგრესულად მზარდი სექტორია მსოფლიო მასშტაბით. ტურიზმი მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობაა, როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე რეგიონებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის, რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფას, სამუშაო ადგილების, საგადასახადო შემოსავლების ზრდას.

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს მონაცემების მიხედვით, 2013 წელს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის წილმა მსოფლიო მთლიან შიგა პროდუქტ-

მერაბ ხოსტაია

ში შეადგინა 6,990 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო პირდაპირმა კონტრიბუნციამ – 2,155 მლრდ დოლარი (მსოფლიო მშპ-ის 2.9%). ინდუსტრია ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასაქმების თვალსაზრისითაც, იმავე წლის მონაცემებით, ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში პირდაპირ და არაპირდაპირ დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 265,855 მლნ კაცი, (მთლიანი დასაქმების 8.9%). ინდუსტრიაში განხორციელებულმა ინვესტიციების მოცულობამ – 2013 წელს შეადგინა 754.7 მლრდ დოლარი, რაც შეადგენს მთლიანი ინვესტიციების 4.4%-ს [3, გვ. 1-5].

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური რევენუების მიუხედავად, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლიდან-წლამდე იზრდება. მსოფლიო მასშტაბით ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, ასევე საერთაშორისო ჩამოსავლები (იხ. გრაფიკი). როგორც გრაფიკზე ჩანს, შემოსავლები 1995 წელს 403 მლრდ დოლარიდან გაიზარდა 1,075 მლრდ დოლარამდე 2012 წელს. გამონაკლიისია 2009 წელი, როცა დაფიქსირდა ვარდნა, რაზეც გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, თუმცა, 2010-2012 წელს კვლავ ზრდის დინამიკით ხასიათდება [4, გვ. 6-8]. შემოსავლების მიხედვით ქვეყნების რეიტინგში ლიდერობს აშშ, მას მოსდევს ეპანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, იტალია, გერმანია, ბრიტანეთი, ავსტრალია [5, გვ. 6].



2012 წელს საერთაშორისო ტურისტულმა ჩამოსვლებმა მიაღწია ისტორიულ ნიშნულს – 1,035 მლნ-ს. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ბარომეტრის მიხედვით, 2013 წელს დაფიქსირდა 5%-იანი ზრდა, შესაბამისად, შეადგინა 1,087 მლნ ტურისტი. ადსანიშნავია, რომ ევროპა საერთაშორისო ჩამოსვლების მიხედვით წარმოადგენს ყველაზე მონახულებად რეგიონს მსოფლიოში. 2013 წელს რეგიონში საერთაშორისო ჩამოსვლების რაოდენობამ შეადგინა 563 მლნ ტურისტი. ევროპული ქვეყნები ამ მაჩვენებლის მიხედვით იყავებენ წამყვან პოზიციებს. სუბრეგიონების მიხედვით საუკეთესო მაჩვენებელი ფიქსირდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში [10].

ანალიზით ირკვევა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ტურისტებისათვის მიმზიდველ დანიშნულების აღგილს წარმოადგენს ჩინეთი, მაღალი აქტიურობით გამოირჩევიან ასევე ჩინელი ტურისტები. 2012 წელს, დასვენებასა და მოგზაურობაზე საზღვარგარეთ გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 102 მლრდ დოლარი. ჩინელი ტურისტების მოგზაურობასა და ტურიზმზე გაწეული ხარჯები 2000-დან 2012 წლამდე გაიზარდა 8-ჯერ. 2012 წელს, 2011 წელთან შედარებით დაფიქსირდა 40%-იანი ზრდა [11].

2005 წელს ჩინეთი მოგზაურობასა და ტურიზმზე გაწეული ხარჯების მიხედვით მეშვიდე ადგილზე იყო, ხოლო 2012 წლისათვის გადაასწრო ისეთ ქვეყნებს როგორიცაა, იტალია, იაპონია, საფრანგეთი, აშშ. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2012 წლის მონაცემებით ჩინეთი პირველ ადგილზეა. პირველ ათეულში, ასევე უნდა აღინიშნოს რუსეთის ფედერაცია 42.8 მლრდ დოლარით, რომელმაც მეშვიდე ადგილიდან გადაინაცვლა მეხუთე ადგილზე. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი ტალებ რიცეკი აღნიშნავს: „ტურისტული დანახარჯების მაჩვენებლით მნიშვნელოვან ზრდას განაგრძობს ჩინეთი და რუსეთის ფედერაცია, რაც

მერაბ ხოსრია

მეტყველებს ამ ქვეწებში საშუალო ფენის მოძლიერებაზე, ეს ტენდენცია თვისებრივად ცვლის მსოფლიო ტურისტულ რეჟას”[11]. ასევე მნიშვნელოვანი ნახტომი აქვს ბრაზილიას – 22 მილიარდი დოლარით, რომელიც 2005 წელს იყო 29 ადგილზე, 2012 წლის მონაცემების მიხედვით იმყოფება 12 ადგილზე.

| ქვეწები | საერთაშორისო ტურიზმი [11] | | | | ბაზრის შილი (%) | |
|---------------|---|------|------|-------|-----------------|--|
| | დანახარჯები საერთაშორისო ტურიზმზე (მლრდ დოლ.) | | | | | |
| | 2005 | 2010 | 2011 | 2012 | | |
| 1.ჩინეთი | 21.8 | 54.9 | 72.6 | 102.0 | 9.5 | |
| 2. გერმანია | 74.4 | 78.1 | 85.9 | 83.8 | 7.8 | |
| 3. აშშ | 69.9 | 75.5 | 78.7 | 83.7 | 7.8 | |
| 4. ბრიტანეთი | 59.6 | 50 | 51 | 52.3 | 4.9 | |
| 5. რუსეთი | 17.3 | 26.6 | 32.5 | 42.8 | 4.0 | |
| 6. საფრანგეთი | 31.8 | 39 | 44.1 | 38.1 | 3.5 | |
| 7. კანადა | 18 | 29.6 | 33.3 | 35.2 | 3.3 | |
| 8. იაპონია | 27.3 | 27.9 | 27.2 | 28.1 | 2.6 | |
| 9. ავსტრალია | 11.3 | 22.2 | 26.7 | 27.6 | 2.6 | |
| 10. იტალია | 22.4 | 27.1 | 28.7 | 26.2 | 2.4 | |
| 11. სანგაპური | 10.1 | 18.7 | 21.4 | 22.4 | 2.1 | |
| 12. ბრაზილია | 4.7 | 16.4 | 21.3 | 22.2 | 2.1 | |

განსაკუთრებული ზრდის ტემპით გამოირჩევა აზია-წყნარი ოკეანიის რეგიონი. ასე, მაგალითად, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს გაიზარდა 14 მლნ-ით, და შეადგინა 248 მლნ ტურისტი [12]. აღნიშულ რეგიონში ზრდის მაჩვენებლები, გარკვეულწილად, უკავშირდება რეგიონში ტურიზმის მიმართულებით შეთანხმებულ და კოორდინირებულ პოლიტიკას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა აზია-წყნარი ოკეანიის ტურისტული ასოციაციის (**Pacific Asia Travel Association-PATA**) აქტივობები. რეგიონის კონკურენტული უპირატესობის გასაძლიერებლად ორგანიზაცია იყენებს სხვადასხვა სახის კვ-

ლეგებს, სარეკლამო დონისძიებებს, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის შესახებ დეტალური ინფორმაციის გავრცელებას, ასევე – ტურისტული დანიშნულების ადგილებზე ვიზიტორების მოზიდვას [2, გვ. 99-100].

ტურიზმის განვითარების მსოფლიო ტენდენციების რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ, რომ:

- მოგზაურობა და ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიას, თითქმის ყველა ეკონომიკური განზომილებით; ის იკავებს მნიშვნელოვან სეგმენტს საერთაშორისო ვაჭრობაში. ამასთან, არის სწრაფად მზარდი სექტორი როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მნიშვნელობით;
- ტურიზმისა და ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პარამეტრებს შორის დადებითი კორელაცია წლიდან წლიდან იზრდება;

• მსოფლიოში ორივე – საერთაშორისო და შიგა ტურიზმი, არის სწრაფად მზარდი მიმართულება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ამავე დროს, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში შიგა ტურიზმის როლი მეტია, ვიდრე საერთაშორისო ტურიზმის გავლენა [2, გვ. 380-386];

• ტურიზმი უკეთ განვითარებულია სტაბილურ, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებში ისეთი პარამეტრები, როგორიცაა მოგზაურთა დინამიკა, ასევე სექტორის ძირითადი მაკრო-ინდიკატორები, ხასიათდება მუდმივი ზრდის ტენდენციით;

• ტურიზმის განვითარებით დაინტერესების საფუძველს ქმნის მისი პირდაპირი, ირიბი და მულტიპლიკაციური ეფექტის პოზიტიური გავლენები, რომელსაც ინდუსტრია იწვევს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით [2, გვ. 396].

ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარება

მერაბ ხოსრიანი

ბის თვისებრივი ანალიზიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

• თანამედროვე ეპოქაში განსხვავებულია ტურისტის თვისებრივი მახასიათებლები: ის არის გამოცდილი, დახვეწილი, გემოვნებიანი, მომთხოვნი, ფიზიკურად და ინტელექტუალურად მეტად აქტიური, იზიდავს მაღალხარისხიანი სანახაობები და მომსახურება;

• განსხვავებულია თანამედროვე ტურისტის ინტერესები. შესაბამისად, მზარდია ახალ ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სპორტული დონისძიებები, რეკრეაცია, გამაჯანსაღებელი კურორტები, აბაზანები, ტრადიციული მედიცინა, ეკოტურიზმი. მეტი ტურისტი მოითხოვს სპეციფიკურ პირობებს. ხშირ შემთხვევაში, სურს დასვენებისას დაკავდეს პობით [1,გვ.91-107];

• პოპულარულია ტრადიციული დასვენების ფორმები: “სიძველეებთან შეხება”, ისტორიის, რელიგიათა შესწავლა, ბუნების, კულტურული და სათავეადასავლო ტურები, ასევე ფართოვდება ბიზნესმოგზაურობა და კონფერენცტურები;

• ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ ხშირ, მაგრამ მოკლევადიან, დასვენებას. ამავე დროს, მონახულებენ სულ უფრო მეტ ტურისტულ ობიექტს წლის ყველა სეზონში;

იზრდება ხანდაზმულების, უნარშეზღუდულების, აქტიური ინდივიდების დაინტერესება ტურისტული პროდუქტით;

• თანამედროვე ტურისტი მეტად მგრძნობიარეა, დიზაინის, არაეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული ხარვეზების მქონე, ასევე არასწორად დაგეგმილი ტურისტული დანიშნულების ადგილების მიმართ, რაც იწვევს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს [8, გვ. 40-44];

• მომსმარებლის და მოთხოვნის ცვლილებებთან ერთად იცვლება ტურისტული კომპანიების მართვის სპეციალის სარგებლის თანამდებობის მიღწევა შესაძლებელია გარემოსთან ადაპტაციით, სწორი დაგეგმვის, ტურისტული

პროდუქტის მაღალი ხარისხის საშუალებით, რომელიც არ ქმნის ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს. აუცილებელი ხდება ძველი ტურისტული კურორტების მოდერნიზება - გაახლება, რათა უპასუხოს თანამედროვე მოთხოვებს;

• ტურიზმის სექტორში იზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, განსაკუთრებით – ლოჯისტიკის სისტემის, ონლაინ რეზერვაციის, მარკეტინგის, კერძოდ, ინტერნეტ-მარკეტინგის მიმართულებით, ტურიზმის ინდუსტრია წარმატებულად იყენებს ინტერნეტ-ტექნოლოგიებს. ელექტრონული გაყიდვების მხრივ ტურიზმი უსწრებს მრავალ სექტორს. ტურისტული ფირმებისათვის ინტერნეტი ხდება მნიშვნელოვანი საინფორმაციო და მარკეტინგული იარაღი [7,გვ.22-26; 8,გვ.52];

• ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ინფრასტრუქტურის მზაობა სტუმრების მისაღებად. რეგიონის ან ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გააზრება ხდება მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისათვის, რომ დაჩქარდეს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც თავის მხრივ, მრავალი სხვა სექტორის და ზოგადად, ამ გეოგრაფიული არეალის ეკონომიკური განვითარების წინაპირობა ხდება [9, გვ.103-106];

• ბუნებრივი გარემოს, ისტორიული ადგილების, კულტურული ტრადიციების შესანარჩუნებლად მსოფლიოში გავრცელებული სტრატეგიაა ტურიზმის სექტორის განვითარება. კონსერვაციისთვის საჭირო რესურსების დეფიციტის პირობებში, კონსერვაციის პროგრამების დანერგვისთვის, ავითარებენ ტურიზმის ისეთ სეგმენტებს, როგორიცაა ეკოტურიზმი და კულტურული ტურიზმი [9,გვ55];

• ტურიზმის პროდუქტების და მომსახურების ძირითადი მიმწოდებელია კერძო სექტორი, მაგრამ აუცილებლად – მთავრობასთან ტანდემში. ეროვნული, რეგიონული, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მიზ-

მერაბ ხოსტავი

ნების მთლიანობაში განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, სათანადო პოლიტიკისა და ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავება-განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის, ფუნქციების განაწილებას ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და კერძო სექტორს შორის. ტურისტულ ზონებში, სადაც კერძო ინვესტიციის მოზიდვა რთულდება, დღემდე აქტუალურობას არ კარგავს მთავრობის აქტიური, მასტიმულირებელი პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობა, რაც ხშირად წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობაა [9,გვ.96-98].

სექტორის აქტუალურობიდან, მისი მზარდი როლიდან გამომდინარე, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ინდუსტრიის გრძელვა-დიან პროგნოზებს, რაც სათანადო დასკვნების გაკეთების სა-შუალებას იძლევა ქვეყნებისათვის, შესაბამისი ტურისტული პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით, ინვესტორებისათვის, ტურისტული კომპანიებისა და მომიჯნავე სექტორებისათ-ვის. აღნიშნულ პროგნოზებზე დაყრდნობით შეიძლება ითქ-ვას, რომ ტურიზმის განვითარების სამომავლო პერსპექტივები იქნება პოზიტიური ხასიათის. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზები ეყრდნობა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური ფაქტორების დრმა ანალიზს, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმის ინდუსტრიის ფორმირებას და რომელმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ტურიზმის განვითარებაზე მომავალში, რომლის გრძელვადი-ანი პროგნოზიც საკმაოდ ოპტიმისტურია:

- 2020 წელს საერთაშორისო ჩამოსვლები მიაღწევს 1.4 მლრდ-ს, ხოლო 2030 წლისათვის გადააჭარბებს 1.8 მლრდ ტურისტს;

- 2015 წელს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები მიიღებენ უფრო მეტ ტურისტებს, ვიდრე განვითარებული ქვეყნები;

- აზია – წყნარი ოკეანიის რეგიონი იქნება ყველაზე სწრაფად განვითარებადი;

• 2030 წლისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სუბ-რეგიონი იქნება ყველაზე სწრაფად განვითარებადი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის სუბრეგიონი ყველაზე მონაბეჭდებადი [6.გვ.1-27].

• ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ ტურიზმი მსოფლიო მასშტაბით მზარდი ინდუსტრიაა. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაძლო ეკონომიკის განვითარებაში და მომავალში ეს როლი გაიზრდება. მეტ აქტუალურობას შეიძენს ინდუსტრიის განვითარების სწორი დაგეგმვა, რაოდ მოხდეს სექტორის ყველა შესაძლო პოზიტიური შედეგების მაქსიმალური გამოყენება და ნეგატიური ეფექტების შეზღუდვა. ტურიზმის განვითარების სწორი პოლიტიკა დიდ შესაძლებლობებს იძლევა განვითარდეს ყველა მომიჯნავე ან მასთან დაკავშირებული დარგი, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ტურისტული ზონის, რეგიონის, ქაჟუნის ეკონომიკის განვითარებას.

World Trends in Tourism Development

M.Khokhobaia

Tourism and hospitality industry in the contemporary form has been developed in the twentieth century and plays active role in economic, social and cultural, esthetic directions, as well as for the cultural integration, the environmental protection, etc. The tourism is significant economic activity, for the separate countries as well as the regions, which secures improvement of the economic structure in the country and the region, provides increase of employment and growth of the tax incomes. Travelling and tourism represent one of the largest industries in the world according to almost all the economic dimensions. At the same time, it is the fast-growing sector with its economic and social significance. In order to define the world trends of the tourism industry, the work hereof deals with the quantitative as well as the qualitative dynamic analysis of the industry characteristics.

Nowadays, in the current conditions, appropriate and correct

planning of the industry development becomes of much relevance, as to apply maximally for all the possible positive results, and to restrict the negative effects at the same time. The proper policy for development of the tourism provides the great opportunities for development of all the adjacent or the related fields, and that on its hand causes development of economy in destination, the region and the country.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაია მარგველაშვილი, ტურიზმის ეკონომიკა, თსუ გამომცემობა 2012 წელი;
2. Charles R. Goeldner, J.R. Brent Ritchie, John Wiley Sons, 2012;
3. World Travel&Tourism Council, World Travel&Tourism Economic Impact 2014;
4. World Tourism Organization (UNWTO) Annual Report 2012, Madrid Spain;
5. World Tourism Organization (UNWTO) Tourism Highlights 2013 Edition, Madrid Spain;
6. World Tourism Organization (UNWTO) Tourism Towards 2030 Global Overview;
7. ITB World Travel Trends Report, Messe Berlin Gmbh, December 2013;
8. Megatrends Underpinning Tourism To 2020, Analysis of key drivers for change, Larry Dwyer, Deborah Edwards, Nina Mistilis, Carolina Roman, Noel Scott and Chris cooper, 2008;
9. Guide for Local Authorities on Developing Sustainable Tourism, WTO 1998;
10. <http://media.unwto.org/ru/press-release/2014-01-20/mezh-dunarodnyi-turizm-prevyshaet-ozhidaniya-chislo-pribytnii-v-2013-godu-voz>.
11. <http://media.unwto.org/press-release/2013-04-04/china-new-number-one-tourism-source-market-world>
12. <http://media.unwto.org/press-release/2014-01-20/international-tourism-exceeds-expectations-arrivals-52-million-2013>

რეპლამის ბავრცელების
არხების შერჩევის
საეციფიკა საქართველოში

მაია სემური

ექონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვევლი პროფესორი

რეპლამა ხელს უწყობს ორგანიზაციებს თავიანთი მარკეტინგული შეთავაზებების საუკეთესო მახასიათებლების წარმოქმნასა და უპირატესობის მოპოვებაში კონკურენტებთან შედარებით. მომხმარებელები კონკურენტებს შორის საქონელს გამოარჩევენ მათვის მოსაწონი თვისებებით. მომხმარებელთა ყურადღების, მათი ნდობის მოსაპოვებლად დიდ როლს ასრულებს რეპლამა. იგი აწედის ინფორმაციას მომხმარებელს მწარმოებელ და გამყიდველ კომპანიებზე, პროდუქციის ხარისხსა და ფასზე.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, რეპლამის გავრცელებისათვის გამოყენებული ძირითადი არხებია: ტელევიზია, გაზეთები, ჟურნალები, რადიო, ფოსტა, გარე რეპლამის საშუალებები, ინტერნეტი. ყოველ არხს აქვს თავისი უპირატესობები, აგრეთვე, გარკვეული შეზღუდვებიც. ამიტომ, რეპლამის გასავრცელებლად აუცილებელია მათი სწორად შერჩევა. შერჩევისას რეპლამენდებულია შემდეგი თანმიმდევრობის დაცვა: გადაწყვეტილებების მიღება აუდიტორიის მომცველობის მასშტაბების, რეპლამის განმეორებადობის სისტემის და ზემოქმედების სიძლიერის

მაია სეთური

თაობაზე; უშუალოდ ინფორმაციის გავრცელების საშუალებების შერჩევა; რეკლამის კონკრეტული მატარებლების შერჩევა; სარეკლამო საშუალებების გამოყენების გრაფიკის დადგენა და ა.შ.

რეკლამაზე აშშ-ში დიდი თანხები იხარჯება, ყოველწლიურად – დაახლოებით 237 მლრდ ლოდარზე მეტი, ხოლო მსოფლიოში – 470 მლრდ ლოდარი [1,გვ.414]. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბაზარზე სარეკლამო ხარჯები ზრდით ხასიათდება. 2012 წელს ქართული არხების მიერ რეკლამიდან მიღებულმა საერთო შემოსავალმა 54 მლნ ლოდარს გადააჭარბა [2, გვ. 3].

ცნობილია, რომ ინფორმაციის გავრცელების ყოველი საშუალებისათვის დამახასიათებელია თავისებურებანი, რაც განსაზღვრავს რეკლამის მოცეას, სიხშირესა და ზემოქმედების ძალას. თავად ინფორმაციის საშუალებები კი იცვლება და ვითარდება.

თანამედროვე რეკლამის სხევადასხვა სახეებს შორის გამორჩეული ადგილი სატელევიზიო რეკლამას განეკუთვნება. რეკლამის დამკვეთი ტელევიზიით შეიძლება დაუკავშირდეს დიდ აუდიტორიას. სატელევიზიო რეკლამა ძლიერ ფინანსურირებულ გავლენას ახდენს აუდიტორიაზე. იგი კომპანიას საშუალებას აძლევს ვიზუალური, ხმოვანი და დინამიკური საშუალებების გამოყენებით წარმოაჩინოს თავისი პროდუქცია, გამოიწვიოს ემოციები. ტელევიზიით შესაძლებელია ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი და ნაციონალური ბაზრებისთვის, შესაძლებელია ინფორმაციის რამდენჯერმე მიწოდება.

ტელერეკლამას აქვს გარკვეული ხარვეზებიც: იგი ხასიათდება დიდი მთლიანი ხარჯებით, რეკლამირების მქაცრად განსაზღვრული დროით, აუდიტორიასთან სარეკლამო კონტაქტის მინიმალური დროით (წამიერი ხასიათი),

საეთერო დროის რეკლამებით გადატვირთულობით, აუდიტორიის შეზღუდული შერჩევითობით.

მართალია, ტელერეკლამის ღირებულება ძალიან მაღალია, მაგრამ იგი მომხმარებელთა დიდ რაოდენობამდე დაიყვანება და ხასიათდება დაბალი ხარჯებით ერთ მაყურებელზე. საქართველოში სატელევიზიო სარეკლამო ბაზარი წარმოდგენილია რიგი სატელევიზიო არხების მაუწყებლობით: “რუსთავი-2”, “იმედი”, “მაგსტრო”, “საზოგადოებრივი მაუწყებელი”, “კავკასია”, “აჭარა” და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის მთლიანი სარეკლამო დანახარჯების დაახლოებით 72 % სატელევიზიო რეკლამაზე მოდის. ამ თანხების თითქმის 95% კი დედაქალაქში არსებულ ტელევიზიებზე მოდის [3, გვ2].

რეკლამის წარმატება დამოკიდებულია მის მიერ აუდიტორიის ყურადღების მიპყრობის და კარგი კომუნიკაციის დამყარების უნარზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში, როდესაც სარეკლამო გარემო ძვირადღირებული და ქაოსური გახდა. საქართველოში ტელესამაუწყებლო არხების რაოდენობა 50-ზე მეტია, მაშინ როდესაც წარსულში მათი რაოდენობა ძალიან მცირე იყო. მაგალითად, 1950 წელს მხოლოდ 3 არხი ფუნქციონირებდა.

საქართველოში სატელევიზიო რეკლამით 1000 მაყურებელზე წელში წედომის ღირებულება (CPT), მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, დაბალია. ამიტომ რეკლამის დამკვეთები სარეკლამო კამპანიებს ძირითადად ქვეყნის წამყვანი არხებით ახდენენ. ამ არხებზე მოდის სარეკლამო შემოსავლების დიდი ნაწილი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, ტელევიზიებმა შემოსავლები ძირითადად რეკლამიდან მიიღეს. 2012 წელს ყველაზე დიდი შემოსავალი სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა მიიღო—მთლიანი შემოსავლის 37%, ტელე-

მაია სეთური

კომპანია “იმედმა” – დაახლოებით 26%, “გლობალ მედია ჯგუფმა” – (GMG) 5%-ზე მეტი, “მაქსტრომ” – 4,1% [4, გვ. 52].

ცნობილია, რომ ტელევიზიის მაყურებელი ყველაზე ადვილად მისაზიდი აუდიტორია. თუ ადრე მაყურებელს მხოლოდ რამდენიმე არხის ყურება შეეძლო, დღეს, საკაბულო და სატელიტური ტელევიზიების მართვის მოწყობილობათა შექმნის შემდეგ, მას გაცილებით მეტი არჩევანის საშუალება აქვს. ადამიანს შეუძლია თავი აარიდოს რეკლამებს და უყუროს არაკომერციულ არხებს ან ტელევიზორი სხვა არხზე გადართოს. გამოკვლევების თანახმად, ტელევიზიის დაახლოებით ნახევარზე მეტი მაყურებელი რთავს ამა თუ იმ არხს რეკლამის დაწყებისთანავე [1, გვ. 414].

საქართველოში რეკლამებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი ბეჭდვითი საშუალებები, კერძოდ, პრესაზე მოღის სარეკლამო დანახარჯების 5% [2, გვ. 28]. გაზეთებში რეკლამის განთავსება, სხვა არხებთან შედარებით, იაფია. საგაზეთო რეკლამა საშუალებას აძლევს მკითხველებს განმეორებით, ზოგჯერ კი რამდენჯერმეც, გადაიკითხონ სარეკლამო განცხადებები. რეკლამის ეს სახე გარკვეული შეზღუდულობითაც ხასიათდება. გაზეთების უმეტესობა სწრაფად, ერთ დღეში იყიდება. ამიტომ სარეკლამო განცხადებების არსებობის დრო მოკლეა. სარეკლამო მიმართვებთან მომხმარებლის კონტაქტის პერიოდიც მცირეა, რადგან გაზეთებს დროის მოკლე პერიოდში კითხულობენ. მეგლევარებმა შეისწავლეს ბეჭდვითი რეკლამა და დაადგინეს, რომ ნახატი უნდა იყოს საკმაოდ ძლიერი რომ მიიპყროს ყურადღება, სათაური და ტექსტი უნდა იყოს საინტერესო [5, გვ. 571].

ფართოდ გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, ქართული ბეჭდური გამოცემების ტირაჟი ძალიან დაბალია. საქართველოს ყველაზე მსხვილი გაზეთი “კვირის პალი-

ტრა” აცხადებს, რომ მისი ტირაჟი ყოველკვირკულად 63 ათასია. გავრცელებული ცნობებით, ცნობილი ყოველდღიური გამოცემების – “რეზონანსი”, “24 საათი”, ტირაჟი 5 ათასს არ აღემატება [2, გვ. 28]. გაზეთებში ხშირად ქვეყნდება საცალო საგაჭრო ხასიათის რეკლამები, მომხმარებელს აწვდიან ინფორმაციას მრავალფეროვან საქონელზე, ფასების ცვლილებებზე.

რაც შეეხება ურნალებს, აქ რეკლამის განთავსებისას გასათვალისწინებელია რეკლამის მიზნები, ურნალების ტირაჟი, რეკლამის განთავსების ფასი, ურნალების გამოსვლის პერიოდულობა, ურნალების საიმედოობა, პრესტიულობა, დიზაინის ხარისხის დონე.

გაზეთებთან შედარებით, ურნალებში სარეკლამო განცხადებების არსებობის დრო მეტია. საქართველოში რეკლამებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით ურნალები შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი. ისინი პერიოდულობით გამოდის. არის ყოველკვირკული, ყოველთვიური და ა.შ. ურნალები ვრცელდება დიდ ტერიტორიაზე და საზოგადოებაში კარგი რეპუტაციით სარგებლობს. ურნალების დიზაინი მაღალი ხარისხისაა, განთავსებული სარეკლამო განცხადებების აუდიტორიასთან შეხება რამდენჯერმე ხდება. ოუმცა, გაზეთებთან შედარებით, ურნალებში რეკლამის განთავსება ძვირია, ნაკლებად მოქნილია, რადგან ურნალებში განცხადებების აუდიტორიასთან შეხების დრო ხანგრძლივია. ხოლო შემთხვევითი მკითხველები ურნალებს, გაზეთებთან შედარებით, მეტი პყავს.

რეკლამა რადიოში, ტელევიზიასთან შედარებით, ბევრად უფრო იაფია. რადიო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ინფორმაციის გასავრცელებლად. 12 წლის ასაკის ზემოთ ამერიკელების 96% რადიოს უსმენს დაახლოებით 20 საათი კვირაში [5, გვ. 573]. რეკლამა რადიოში ხასიათდება

მაია სეთური

მოქნილობით. შესაძლებელია ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება სამუშაო ადგილზე, მგზავრობის დროს. ამასთან, რადიორეკლამას ახასიათებს გარკვეული შეზღუდვებიც: იგი ზემოქმედებს მხოლოდ სმენაზე, ზემოქმედება აუდიტორიაზე ხდება პერიოდულად და მოკლე დროში.

საქართველოში სარეკლამო დანახარჯების დაახლოებით 10% რადიო- რეკლამაზე მოდის [2;გვ.8]. 2012 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის წარდგენილი მონაცემების მიხედვით, რადიოსადგურების შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით 5,8 მლნ დოლარი, აქედან სარეკლამო შემოსავლები 5,5 მლნ დოლარია [4, გვ.51].

რეკლამის გავრცელებაში გარკვეულ როლს ასრულებს ფოსტა, რომლის საშუალებითაც მიზნობრივ აუდიტორიას უგზავნიან კატალოგებს, ბუკლეტებს, საფოსტო ბარათებს და სხვა სახის საინფორმაციო მასალას. საფოსტო რეკლამით შესაძლებელია აუდიტორიის პერსონალიზაცია, სრული ინფორმაციის სწრაფად მიწოდება მიზნობრივი აუდიტორიისათვის. თუმცა, აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებისათვის საჭირო ხარჯები მაღალია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიწოდებული ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს აღრესატები არ კითხულობენ.

რეკლამის გავრცელებისათვის გამოიყენება გარე რეკლამის საშუალებები: მაღაზიის აბრები, პლაკატები, აფიშები(პოსტერები), სტენდები, გარე განათებები, ელექტრონული მონიტორები, რეკლამა სატრანსპორტო საშუალებებზე. საქართველოში გარე რეკლამაზე მთლიანი სარეკლამო დანახარჯების 11% მოდის [2, გვ.8]. გარე რეკლამის უპირატესობაა ის, რომ მას იმახსოვრებს მომხმარებელთა დიდი რაოდენობა. შესაძლოა კონკრეტულ ადამიანს არ ჰირდებოდეს რაიმე პროდუქტი ან მომსახურება, მაგრამ შესაძლოა იგი

დაინტერესდეს მომავალში. გარე რეკლამა კომუნიკაციის ოპერატორი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფად და მარტივად მიწოდებას. იგი რეკლამის სხვა საშუალებებთან შედარებით იაფია.

გარე რეკლამასთან კონტაქტი მომხმარებლებს რამდენჯერმე უწევთ, რითაც ძლიერდება მისი ზემოქმედების ძალა. გარე რეკლამის გავრცელება საქართველოში რეგულირდება არსებული კანონმდებლობით. გარე რეკლამასთან კონტაქტი მომხმარებელს მცირე დროის მანძილზე აქვს, ამიტომ რეკლამის მწარმოებლები ცდილობენ შექმნან ადვილად დასამახსოვრებელი ექსპოზიციები მოკლე წარწერებით.

გარე რეკლამის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ელექტრონული მონიტორები, რაც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში და საუკეთესოდ ითვლება. მოციმციმე და მრავალფეროვანი გამოსახულებები იპყრობს ადამიანთა ყურადღებას, თავისდაუნებურად აიძულებს მათ თვალი ადევნონ ცვალებად სიუჟეტებს. ტექსტური ინფორმაცია, მულტიპლიკაცია, კომპიუტერული გრაფიკა და ვიდეოროლები, რაც აისახება დიდ ეკრანებზე, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და რჩება მეხსიერებაში. ელექტრონული მონიტორების ძირითადი აუდიტორია ავტოტრანსპორტის მდლოლები და მათი მგზავრები. ისინი დროის მნიშვნელოვან ნაწილს გარეთ ატარებენ და შედარებით ნაკლებად ხელმისაწვდომი არიან სხვა სახის სარეკლამო მედიისათვის.

აღნიშნული მიმართულებით მომუშავე ქართული კომპანიები სთავაზობენ ნებისმიერი სახის გარე რეკლამას ქვეყნის მასშტაბით, თავად ქმნიან სარეკლამო პროდუქციას, ცდილობენ პროდუქტის ან მომსახურების გარე რეკლამა დამკვეთის მომხმარებლებზე იყოს ორიენტირებული. ასეთი სარეკლამო კომპანიები სთავაზობენ დამკვეთებს სარეკლამო რგოლების განთავსებას დიდფორმატიან ელექტრონულ

მაია სეთური

მონიტორებულებული კომპანიების განკარგულებაში ხშირ შემთხვევაში რამდენიმე მონიტორია, რასაც ისინი განათავსებენ ეფექტურ ადგილებში როგორც დედაქალაქში, ასევე ქაყაჯის სხვა ქალაქებშიც.

განვითარებულ ქვეყნებში მომხმარებელთა დიდი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ინტერნეტში რეკლამირებას. ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით, რომელიც აშშ-ში ჩატარდა, დადგინდა, რომ მომხმარებელთა 57%-ს ურჩევნია საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის ინტერნეტში მოძიება. ინტერნეტში რეკლამა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგრამ მისი წილი საქართველოში არ არის დიდი, აյ იგი მოლიანი სარეკლამო დანახარჯების მხოლოდ 2%-ია (თანხომდრივად 1,5 მლნ დოლარზე ნაკლები). Public Hepta-ს მონაცემებით, 2012 წელს Facebook-მა საქართველოდან 250 000-დან 300 000 დოლარის სარეკლამო შემოსავალი მიიღო. მაშასადამე, ინტერნეტრეკლამაზე დახარჯული თანხების დაახლოებით 20-25% Facebook-ზე მიღის და, შესაბამისად, ქართულ ვებგვერდებს არ ხმარდება [6; გვ2].

ამრიგად, საქართველოში მომხმარებელს შეუძლია არჩევანი გააკეთოს ჟურნალ-გაზეთებს, რადიოსადგურებს, სატელევიზიო არხებს, პირდაპირი ფოსტისა და ელფოსტის რეკლამას შორის. დღეს მომხმარებლები რეკლამებს ხედავ ეს სახლშიც, სამსახურშიც, ქუჩაშიც და სხვ.

სარეკლამო საშუალებებით რეკლამის გავრცელება ხასიათდება რიგი ნაკლოვანებით:

- სარეკლამო საშუალებებით რეკლამას აქვს ერთგვარი დაძალების ხასიათი. სამწუხაროდ, სარეკლამო რგოლები თავისი მაღალი სიხშირით არცოუ იშვიათად აღიზიანებს ადამიანებს. ამას თან დაერთო ისიც, რომ 2011 წელს საქართველოს კანონში რეკლამის შესახებ შეიტანეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც მაუწყებლებს ყოველ ერთ

საათში რეკლამის გაშვებისათვის გამოყოფილი მაქსიმალური დრო გაეზარდათ;

• მომხმარებლები ხშირად გამოთქვავენ უკმაყოფილებას მობილურ ტელეფონზე არასასურველი სარეკლამო შეტყობინებების მიღების გამო. იგივე შეიძლება ითქვას ელექტრონული ფოსტით მიღებულ მრავალრიცხოვან სარეკლამო შეტყობინებაზე;

• საინფორმაციო მედიაგამოცემები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მარკეტინგული მიღომის გამოყენებას. ეს დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ამ საქმის სპეციალისტების სამსახურში აყვანას ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამის გამო მათ უჭირთ რეკლამის დამკვეთების მოზიდვა, აქვთ მცირე სარეკლამო შემოსავლები;

• ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ არ ხდება სათანადოდ მიზნობრივი აუდიტორიის შესწავლა, მათი მჯობინებების, სურვილების გათვალისწინება. ცნობილია, რომ ერთი დ იგივე შეტყობინება მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფში განსხვავებულ რეაგირებას იწვევს. ხშირად სარეკლამო რგოლების გაშვება ხდება მასობრივ აუდიტორიაზე, რომლის დიდი ნაწილისათვის შესაძლოა იგი სრულიად გაუგებარი აღმოჩნდეს;

• ზოგჯერ არ იგრძნობა რეკლამის შესაბამისობა პროდუქტსა და მის პოზიციონირებასთან. ხშირად სუსტად არის წარმოდგენილი მონაცემები საქონლის მოხმარების თავისებურებებზე, რის გამოც მომხმარებელს უჭირს არჩევანის გაკეთება;

• რეკლამის გავრცელების საშუალებებით ხდება ისეთი სარეკლამო რგოლების გაშვებაც, რაც არ არის დამყარებული წარმატებულ სარეკლამო იდეებზე, ან სწორად შერჩეულ არგუმენტებზე, რამაც შესაძლოა მომხმარებელთა მხ-

რიდან გამოიწვიოს უნდობლობა და გულგრილობა;

• არ ექცევა სათანადო ყურადღება რეკლამის ეფუქტურობის შეფასებას, მომხმარებელთა აზრის შესწავლას. ხშირად ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ თუ რეკლამას გამოიყენებენ, ის აუცილებლად დადგებითად იმოქმედებს მათ საქმიანობაზე, გაზრდის მათ გაყიდვებს;

რეკლამის გავრცელების საშუალებების ანალიზი გვაძლევს საფუძველს დაგასკვნათ შემდეგი:

• სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სარეკლამო საქმიანობაში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, ამ მიმართულებით უნდა განახორციელოს კონტროლიც, თუმცა, ეს უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად, რათა ხელი არ შეეშალოს ამ ორგანიზაციების განვითარებას და საქმიანობას;

• რეკლამამ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მიზნობრივი აუდიტორიის სურვილების გათვალისწინებით. ერთი და იგივე შეტყობინება მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებში განსხვავებულ საპასუხო რეაქციებს იწვევს;

• რეკლამა შესაბამისობაში უნდა იყოს საქონლის პოზიციონირებასთან, ამიტომ იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მისი მოხმარების თავისებურებებზე და განასხვავებდეს მას სხვა კონკურენტი პროდუქტებისაგან, მიანიშნებდეს მომხმარებელს მიიშვნელოვან სარგებელს რეკლამის ობიექტის შეძენის შემთხვევაში;

• სარეკლამო საშუალებებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ წარმატებულ სარეკლამო იდეებს, რათა ადამიანების ცნობიერებაში დანერგონ საქონლის დადებითი იმიჯი. რეკლამა უნდა დაეხმაროს მომხმარებელს, მისცეს მას გარკვეული ბიძგი, რათა რეალურად იმოქმედოს. სარეკლამო ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მომხმარებელი ან მიიღებს გადაწყვეტილებას ყიდვის შესახებ

ან არა;

- რეკლამაში უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე – ეჭნება თუ არა სურვილი პოტენციურ მომსმარებელს უყუროს სარეკლამო რგოლს ბოლომდე ან წაიკითხოს სარეკლამო განცხადება მთლიანად? ამ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს დადგებითი, რისთვისაც აუცილებელია სარეკლამო არგუმენტების სწორად შერჩევა და შემდეგ მათი გადმოცემა მომსმარებლისათვის გასაგებად;
- მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს რეკლამის ეფექტურობის შეფასებას, მომსმარებელთა აზრის შესწავლას.

The specifics of the advertising channel selection in Georgia

M. Seturi

Product characteristics may help to identify the best advertising, lead from a comparison with competitors. In Georgia, as in other countries, the advertising major channels: television, newspapers, magazines, radio, mail, outdoor advertising facilities, internet access.

Dissemination of information about each method has its characteristic features, its advantages and certain limitations, that determine advertising coverage, frequency, and impact strength.

Therefore, it is necessary to properly distribute the ad selection. Recommended a number of decisions in selecting advertising media: audience suite scales at advertisement recurrence frequency, advertisers and others about specific carriers.

The article talks about some of the lack of advertising means in Georgia. By means of advertising the author of the article was doing some conclusions based on the analysis.

1. გ. არმსტრონგი, ფ. კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, მე-7 გამოცემა, თარგმანი ინგლისურენოვანი გამოცემიდან, თბილისი, 2007;
2. Advertising Report. Transparency International Georgia (TI Georgia), June, 2013 <http://transparency.ge/pdf/2013/FoxReader>;
3. <http://netgazeti.ge/GE/105/business/21122/>, “TI საქართველო: 2013 წელს მთლიანი სარეკლამო შემოსავლები შემ-ცირდება”, 28.06.2013;
4. http://www.gncc.ge/files/3100_2949_681569_ANNUAL%20REPORT%202012.pdf;
5. Philip Kotler, Kevin Keller, Marketing Management, Twelfth ed. Upper Saddle River, New Jersey 07458;
6. <http://www.media.ge/ge/portal/news/300797/>, ”საქართველოს სარეკლამო ბაზარი კონკურენტული გახდა”, 28.06.2013.



უმაღლესი განათლების
ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი
- სტრატეგიული პროცესი

ონლაინ აღმდეგი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სტრატეგიული დაგეგმვა თანამედროვე კომპანიებისთვის მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიული მენეჯმენტი თანაბრად მნიშვნელოვანია დიდი, საშუალო თუ მცირე საწარმოებისათვის, მეცნიერები მთელი მსოფლიოს მასშტაბით იკვლევენ სტრატეგიების შემუშავების, მიმღემენტაციის და შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებს.“სტრატეგიული მენეჯმენტი ასრულებს უზარმაზარ როლს ნებისმიერი კომპანიის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. მხოლოდ კარგად შემუშავებულ სტრატეგიას შეუძლია კომპანიას მოუტანოს წარმატება გრძელვადიან პერსპექტივაში”[1, გვ.11].

სტრატეგიული მენეჯმენტის შესახებ ძირითადი ნაშრომების ავტორებია კარპენტერი და სანდერსი [2], ლინჩი [3], ვილენი და ჰანგერი [4], დევიდი [5], კოლტერი [6]. რა თქმა უნდა, აღნიშნულ მეცნიერებს ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ სტარტეგიული დაგეგმვისა და მენეჯმენტის საკითხებზე, მაგრამ ისინი თითქმის ერთნაირად აღწერენ თვით სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესს, რაც მოიცავს კორპორატიულ სტრატეგიებს და მათ კომპონენტებს ბიზნეს-სტრატეგიების სახით.

უმაღლესი განათლება, როგორც ბიზნეს-საქმიანობა, მეცნიერთა ყურადღების არეალში მოექცა XX-XXI საუ-

ონისე ალფენიძე

კუნეების მიჯნაზე. შესაბამისად, კვლევები მისი მენეჯმენტის მიმართულებით შედარებით მწირია. უნივერსიტეტების საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია. გლობალიზაციის პროცესმა დააჩქარა უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესი. შესაბამისად, ინტერნაციონალიზაცია გახდა უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რაც შეიძლება განვიხილოთ დაწესებულების ბიზნეს-მიმართულებად. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერები აღწერენ როგორც ბიზნეს-სტრატეგიებს, ადგილად შეიძლება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციასაც მიუსადაგოთ.

სანამ უშეალოდ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სპეციფიკურ სტრატეგიებს განვიხილავთ, მიზანშეწონილია ვიმსჯელოთ ზოგადად ბიზნეს-სტრატეგიებსა და მათ მენეჯმენტზე. სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი ბიზნეს-სტრატეგიებთან მიმართებით, შესაძლოა რამდენიმე ეტაპად დაიყოს:

- სტრატეგიული ხედვის, მიზნისა და მისის ფორმირება;
- კომპანიის შიგა და გარე გარემოს ანალიზი;
- სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება;
- საუკეთესო სტრატეგიის არჩევა;
- არჩეული სტრატეგიის განხორციელება/იმპლემენტაცია;

- შესრულებული სამუშაოების/სტრატეგიის შეფასება.

ზემოთ მოყვანილი პროცესი ერთჯერადი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი საფეხურის განხორციელებისას, კომპანიას შესაძლებელია მოუწიოს წინა საფეხურებში კორექტივების შეტანა იმის მიხედვით, თუ როგორ გარემოში

უწევს მას ამ სტრატეგიის განხორციელება. როგორც წესი, მდგრად გარემოში უფრო ადვილია საბოლოო შედეგის გათვლა, ვიდრე დინამიკურ, სტრაფად ცვალებად გარემოში. შესაბამისად, დინამიკურ გარემოში სტრატეგიული პროცესიც დინამიკური და უფრო მოქნილია და ხშირად მოითხოვს სტრაფ, დეცენტარლიზებული გადაწყვეტილებების მიღებას. თუმცა, მიუხედავად გარემოს ცვალებადობია, თვით სტრატეგიული პროცესის შემადგენელი კომპონენტები უცვლელია და შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

- კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს რა არის მისი სტრატეგიული, გრძელვალიანი მიზანი, როგორია მისი მისია და რა ხედვა გააჩნია მას მიზნის მისაღწევად;

- შემდეგ ეტაპზე კომპანიამ უნდა გააანალიზოს შიგარესურსები, რათა შესაბამისად დაადგინოს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. პარალელურად კომპანიამ უნდა ჩაატაროს გარე ფაქტორების ანალიზი, რის შედეგადაც ნათლად გამოწყდება ის შესაძლებლობები და საფრთხეები, რასაც შეიძლება გარემო უქმნიდეს კომპანიას;

- აღნიშნული ანალიზის შედეგად კომპანიას შეუძლია გადავიდეს შემდეგ ეტაპზე და მისი ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გათვალისწინებით ჩამოაყალობის ის სტრატეგიული მიმართულებები, რომელთა განხორციელება კომპანიას შეუძლია;

- იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიისთვის რამდენიმე სტრატეგიის ერთდროულად განხორციელება აღემატება მის ძალებს, და ხშირ შემთხვევაში, სტრატეგიული მიმართულებები ურთიერთგამომრიცხავიც კია, კომპანიამ უნდა შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც დაადგენს საუკეთესო სტარტეგიულ მიმართულებას;

- შემდგომ ეტაპზე კომპანია განახორციელებს შერჩეულ სტრატეგიას და მისი დასრულებისთანავე, ხშირ შემთხვევაში, მიმდინარეობის პროცესშიც, იწყებს სტრატეგიულ

ონისე ალფენიძე

გიისა და მისი განხორციელების შეფასებას, რათა კორექტივები შეიტანოს მასში ან ჩამოაყალიბოს სრულიად ახალი სტრატეგია[1,2,3,4,5,6].

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტარტეგიულ მენეჯმენტში შესაბამისი ლიტერატურის კვლევა გვიჩვენებს, რომ ის ძალიან ახლოსაა სხვა დანარჩენი ბიზნეს-სფეროების სტრატეგიულ პროცესებთან. თუმცა, როგორც ყველა ინდუსტრიას და კომპანიას, უმაღლეს განათლებას და ცალკე აღებულ უნივერსიტეტებს თავისი სპეციფიკა გააჩნიათ. აღნიშნულს ადასტურებს შურმანი, რომელიც აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაციის მიღწევა შეიძლება მოკლე და გრძელვადიან მიზნებზე დამყარებული სტრატეგიული დაგეგმვის მეშვეობით[7]. თანამედროვე ეტაპზე, მრავალი უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინტერნაციონალიზაციას. სწორად დაგეგმილი სტრატეგიებით საუნივერსიტო ლიდერებს და მენეჯერებს შეუძლიათ უნივერსიტეტების გაძლიერდა საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრისკენ, აღნიშნავნ აიობი და ალპაბაიბეჭი [8]. საუნივერსიტო ლიდერებისათვის საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტი ნიშნავს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის მიღებას.

ტეილორი აღნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება და მისი შემდგომი განხორციელება არის დროში განგრძობადი პროცესი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დაგეგმვის პროცესი. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია არ არის განცალკევებული პროცესი: მისი შემუშავებისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ გარემოს ფაქტორები, არამედ უნივერსიტეტის შიგა მოწყობა და შესაძლებლობები. სხვადასხვა დონის მენეჯერებს, რომლებიც ჩართული არიან ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავებაში, პირველ რიგში უნდა გააჩნდეთ ძლიერი შიგა ორიენტაცია. მკვლევარი იქვე 180

მიუთითებს, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალ-იზაციის სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება მუდმივად მიმდინარე პროცესია, ისევე როგორც სხვა მიმართულებების სტრატეგიული დაგეგმვა[9, გვ. 168-169]. მეცნიერმა უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიებზე ამერიკის, კანადის, ავსტრალიის და შვედეთის ოთხ უნივერსიტეტში ჩაატარა კვლევა. ესენია ამ ქვექნების წამყვანი უნივერსიტეტები: ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, დასავლეთ ავსტრალიის უნივერსიტეტი და უფსალას უნივერსიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ამ უნივერსიტეტებში სხვადასხვანაირად ფიქრობდნენ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე, აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ინტერნაციონალიზაციის გავლენა უნივერსიტეტის ზოგად სტრატეგიებზე და მენეჯმენტზე მნიშვნელოვან ფაქტორადაა შეფასებული. ყველა შემთხვევაში, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება უნივერსიტეტებისათვის ერთ-ერთი ძლიერი მამოძრავებელი ძალაა უნივერსიტეტების გარდაქმნის პროცესში, რომელსაც ყველა უნივერსიტეტი აწყდება XXI საუკუნის დასაწყისში, რაც თავისთავად მათვრი გამოწვევაა ტრადიციული უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის. ასეთი სახის გამოწვევების ფაქტორებს შორის მოიაზრება:

- ინტერდისციპლინარული სწავლებისა და პკლევების აუცილებლობა;
- სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა;
- მომხმარებლზე ზრუნვის აუცილებლობის გათვითცნობიერება, რაც გამოიხატება უცხოელი სტუდენტებისადმი, სტუმრებისათვის და მათი ოჯახებისათვის ყურადღების გამოჩენით;
- ცენტრალიზებული მენეჯმენტის, მენეჯმენტის პროცესის და ლიდერობის მნიშვნელობის ზრდა;

ონისე ალვანიძე

- ხარჯების ეფექტიანობის გათვითცნობიერება, ინგენიერიციებისა და რისკების შეფასება;
- მარკეტინგის როლის გათვითცნობიერება;
- დეპარტამენტთა მორისი მუშაობის, სტუდენტთა და პერსონალის ჩართულობის აუცილებლობის აღიარება;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- ფონდების მოძიების მნიშვნელობა, განსაკუთრებული ურთიერთობები კურსდამთავრებულებობა;
- სხვა ინსტიტუტებთან კავშირურთიერთობების გადრობა;
- უმაღლეს განათლებაში კონკურენტული ძალების შეფასება, განსაკუთრებით სტუდენტთა შერჩევა-მოზიდვაში;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგის აუცილებლობის დანახვა.

ადნიშნული ძირითადი და მრავალი სხვა ფაქტორი განაპირობებს ინსტიტუციონალური სტრატეგიების ჩამოყალიბებას დასახული ცვლილებების განსახორციელებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მენეჯმენტისათვის ძირითად ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ეფექტიანი სტრატეგიების შექმნა და მისი სწორი მენეჯმენტი. ისევე როგორც სხვა სფეროებში, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების კვლევა კარგად ხორციელდება ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ-კანადა), უფრო ნაკლები ინტენსივობით - მსოფლიოს სხვა რეგიონებში. შესაბამისად, კვლავაც ბევრი სამუშაო უნდა ჩატარდეს, რათა ნათლად ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები[9, გვ. 168].

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას რუდზე აღწერს, როგორც საერთაშორისო კავშირურთიერთობების ჩამოყალიბების გრძელვადიან სტრატეგიას სტუდენტების მობილობის, კურიკულუმისა და პერსონალის განვითარების მისაღწევად. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები[9, გვ. 168]

ციონიალიზაციის სტრატეგიის შესამუსავებლად, მკვლევარი გვთავაზობს მივყვეთ სტრატეგიის შემუშავების ძირითად მოდელს, რაც გულისხმობს გარემოსა და შიგა ფაქტორების ანალიზს, SWOT-ის დადგენას, სტრატეგიული მიმართულებების გენერირებას, სტრატეგიების იმპლემენტაციას და ა.შ [10, გვ. 423]. მკვლევარი განიხილავს სტრატეგიული მენეჯმენტის თითოეულ კომპონენტს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ჭრილით და მაგალითები უმეტესწილად მოჰყავს დიდი ბრიტანეთის გამოცდილებიდან. რუდზეის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას შეიძლება მიესადაგოს შემდეგნაირად:

სტრატეგიული ანალიზი.

• გარემოს ანალიზი: სტარტეგიული დაგეგმვის ამ ნაწილში აუცილებელია ვუპასუხოთ ყველა კითხვას, რომელიც შეეხება ორგანიზაციის შიგა და გარე გარემოს, როგორიცაა:

- რა არის უნივერსიტეტის სამომავლო გეგმა და მისია;
- რა სახის საქმიანობა მიმდინარეობს ამჟამად;
- რა შესაძლებლობა გააჩნია პერსონალს და მთლიანად დაწესებულებას ამ საქმიანობების შესასრულებლად (ამ ნაწილში დაბრკოლებად შესაძლებელია მოგვევლინოს პერსონალის ლინგვისტური შესაძლებლობები, ფინანსები ან სამთავრობო რეგულაციები);
- რა სახის შესაძლებლობებს სთავაზობს ორგანიზაციას გარემო და რა საფრთხეების შემცველია ის (მაგალითისათვის, აქ შესაძლოა მოვიაზროთ უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა, როგორც შესაძლებლობა და აკადემიური პერსონალის დაბალი ანაზღაურება, მოგზაურობის მსურველი პერსონალის ხაკლებობა, როგორც საფრთხე);
- ვინ არიან სტეიპლდერები: სტუდენტები, მშობლები,

ონის აღვენიძე

პერსონალი, თანამშრომლები, სამთავრობო სტრუქტურები, თუ სხვა დაინტერესებული პირები;

- ვინ არიან კონკურენტები: მაგალითისათვის უმაღლესი განათლების

მომწოდებელი იმავე ქვეყნაში თუ საზღვარგარეთ, ან სულაც სხვა

სახის კვალიფიკაციის მიმცემი დაწესებულებები.

• **რესურსები:** ორგანიზაციული რესურსების ანალიზი საშუალება უნდა მოგვცეს დავადგინოთ უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც მნიშვნელოვანია სტარტული მიმართულებების განსაზღვრისათვის.

• **მიზნები და ამოცანები:** ინტერნაციონალიზაციის პროცესის მიზნები განსაზღვრული უნდა იყოს უნივერსიტეტის განვითარების ჭრილით. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების მიღებაზე მოთხოვნა ზრდადია, საგანმანათლებლო ბაზრზე არსებული წილი და კონკურენტები შესაძლოა უნივერსიტეტის ყურადღების მიღმა დარჩეს. მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებისას, ამ საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბრიტანული უნივერსიტეტებისათვის კონკურენტებს წარმოადგენს ავსტრალიისა და ამერიკის უნივერსიტეტები, რომლებიც იზიდავენ ინგლისურ ენაზე სწავლის მიღების მსურველებს. აღსანიშნავია ნიდერლანდების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც დიდწილად ინგლისურ ენაზე სთავაზობენ სწავლას უცხოელ სტუდენტებს.

სტრატეგიული არჩევანი.

• **სტარტეგიული მიმართულებების წამოყალიბება** გულისხმობს იმის დადგენას, თუ რა მიმართულებითაა შესაძლებელი სტრატეგიების ჩამოყალიბება ჩატარებული შიგა და გარე გარემოს ფაქტორების ანალიზის შედეგად. სტარტეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება სხვადასხვა

ორგანიზაციისათვის სხვადასხვა იქნება, მათი მიზნებიდან გამომდინარე, როგორიცაა:

- სწავლება თუ კვლევა? – აქ შესაძლოა დიფერენციაცია მოხდეს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე;

- ელიტური თუ მასობრივი განათლება: საუკეთესო სტუდენტების მოზიდვა თუ დიდი რაოდენობით სტუდენტების მიღება;

- ბიზნესსკოლის (ფაკულტეტის შემთხვევაში): ადგილობრივი მასშტაბის თუ მხოლოდ საერთაშორისო;

- ვიწრო სპეციალისტები თუ ფართო პროფილის კურსდამთავრებულები.

• **სტრატეგიული მიმართულებების შეფასება:** გავრცელებული მოლოდინი იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო აქტივობები აუცილებლად დამატებით რესურსებს მოითხოვს, მცდარია. აქტივობების ნაწილმა შესაძლოა არანაირი ფინანსი არ მოითხოვოს (მაგალითად, კურიკულუმის ცვლილებამ), ისევე როგორც ზოგიერთმა აქტივობამ შესაძლოა პირიქით, ფინანსები დაზოგოს კიდეც (მაგალითად, პერსონალის საზღვარგარეთულ ვიზიტს შესაძლოა შეუთავსდეს სტუდენტებთან შეხვედრა, კონფერენცია ან კვლევის ნაწილი). ზოგიერთმა აქტივობამ შესაძლებელია ფინანსები მოიზიდოს კიდეც (მაგალითად, უცხოელი სტუდენტებისთვის მოკლევადიანი კურსების მოწყობა, საზაფხულო სკოლების ორგანიზება და ა.შ). აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით შესაძლებელია სწორი არჩევანი გაკეთდეს საუკეთესო სტრატეგიულ მიმართულებაზე ან მიმართულებებზე.

სტარტეგიის იმპლემენტაცია.

• **რესურსების დაგევმჯნაცია:** სტრატეგიის ჩამოყალიბების შემდეგ აუცილებელია გამოიყოს შესაბამისი რესურსები მისი წარმატებით შესრულებისათვის. ასეთი რესურსებია: ფინანსები, პერსონალი, სტუდენტთა საცხოვრებლები, პრო-

ონისე ალექსიძე

გრამეტი და ა.შ.

• **ორგანიზაციული სტრუქტურა:** შესაბამისი კორექტივების შეტანა ორგანიზაციულ სტრუქტურაში, საკითხების განსაზღვრა, რომლებზეც მიიღება ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებები; აუცილებელი ინტერნაციონალიზაციის განხილვა ორგანიზაციის შიგნით ყველა დონეზე, ასევე მისი მონიტორინგი უნივერსიტეტის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. შესაძლებელია ზოგიერთმა ორგანიზაციამ შექმნას საერთაშორისო საქმეთა კომიტეტი პროცესის უკეთ წარმართვისა და მონიტორინგისათვის.

• **ადამიანური რესურსები და სისტემები:** უნდა განისაზღვროს რომელი პერსონალი იქნება საჭირო სტრატეგიის იმპლემენტაციისას, ვინ უნდა იქნეს გადმოყვანილი ამჟამად არსებული სტრუქტურული ერთეულებიდან ამ საქმიანობების შესასრულებლად და ვინ უნდა იყოს დაჭირავებული სპეციალურად ამ საქმისთვის, რა სახის აღმინისტარციული პროცედურები უნდა ჩამოყალიბდეს და შესრულდეს და ა.შ. [10, გვ. 423-435].

ამრიგად, მკვლევარები უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას მიიჩნევენ, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პასუხს გლობალიზაციაზე. ეს არის საუნივერსიტეტო საქმიანობაში საერთაშორისო ასპექტების დამკვიდრების მუდმივად მიმდინარე პროცესი, რაც სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესია, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა სტრატეგიულდერი და რომელიც მოიცავს რესურსების გამოყენებას და მართვის ეტაპებს როგორიცაა: სტრატეგიული დაგეგმვა, იმპლემენტაცია და მონიტორინგი. აღნიშნულ საკითხებზე თეორიული და ემპირიული კვლევების ჩატარება და მათზე დაფუძნებული სტრატეგიების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად დაეხმარება ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს წარმატებით განახორციელონ ინტერნაციონალიზაციის პროცესი, რაც გაზრდის მათ კონკურენ-

ტუნარიანობას მსოფლიოს თანამედროვე საგანმნათლებლო
სივრცეში.

Management of Higher Education Internationalization : a Strategic Process

O. Alpenidze

Nowadays internationalization can be seen as one of the main direction of higher education institutions that has been speeded up by on-going globalization process in the world. Hence, internationalization became one of the main instruments to gain competitive advantage for universities.

In this article, internationalization of higher education is explored from the angle of university's business strategy. Consequently, strategic management process had been reviewed analysed, and linked to the internationalization process of higher education. The article reviews main scientific works worldwide including theoretical and empirical research. It identifies how to link strategic management process to university's internationalization activities.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩოხელი, ე., სტრატეგიული მენეჯმენტი. გამომცემლობა ‘უნივერსალი’. 2013;
2. Carpenter, M, Sanders, G., Strategic Management, 2nd ed, Pearson Education.2007;
3. Lynch, R., Strategic Management. 6th ed. Pearson Education.2011;
4. Wheelen, T., Hunger, J., Strategic Management and Business Policy, 13th ed. Pearson Education.2012;
5. David, F., Strategic Management, 13th ed. Pearson

ონლაინ კურსები

Education.2011;

6. Coulter, M., Strategic Management in Action, 6th ed. Prentice Hall.2013;

7. Schoorman, D., The pedagogical implications of diverse conceptualizations of internationalisation: A U.S. based case study.

Journal of Studies in International Education, Fall, 3, pp. 19-46.1999;

8. Ayoubi, R.M. & Al-Habaibeh, A., An investigation into international Business collaboration in higher education organisations: A case study of international partnerships in four UK leading universities. *International Journal of Educational Management*, 20(5), pp. 380-396.2006;

9.Taylor, J., Toward a strategy for internationalisation: lessons and practice from four universities. *Journal of Studies in International Education*, 8(2), pp. 149-171.2004;

10.Rudzki, R., The application of a strategic management model to the internationalisation of higher education institutions. *Higher Education*, 29, pp. 421-441. 1995.



იქ ხითა მომდევნობის
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კრიზისული სიტუაციებს შესაძლებელია ადგილი ქონდეს როგორც სუსტად განვითარებულ, ასევე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების როგორც პატარა კომპანიებში, ასევე ტრანსეროგნულ კორპორაციებში. ალბათ, ძალიან ცოტა ფირმა არსებობს, რომლებსაც რაიმე დოზით, არ განუცდიათ კრიზისული მდგომარეობა ეკონომიკურ, ფინანსურ, კადრების თუ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში, ამ პრობლემებს ბანკროტამდეც მიუჟვანია ორგანიზაცია, თუმცა, ისეთი მაგალითიც მრავლადაა, როგორც თრგანიზაციას დაუძლევია აღნიშნული პრობლემები და მცირე დროში დაბრუნებია კრიზისამდელ მდგომარეობას შემდგომი პროგრესით.

ფაქტორივად, ყველაზე დიდი ზიანი ორგანიზაციის რეპუტაციასა თუ მის ფინანსურ მდგომარეობას, შესაძლოა კრიზისულმა პრობლემებმა მიაყენოს. დღესაც კი მრავალი მათგანი აგრძელებს პოლიტიკას, როდესაც კრიზისის მართვის უფლებამოსილებათა დელეგირება ხდება საშუალო რგოლის მენეჯერებზე, რაც დიდი შეცდომაა - იგი აუცილებლად და თანაც პირველ რიგში, უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის პრეროგატივაა [8, გვ. 9-11].

ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვისას ორგანიზაციების მდგრადობა ძირითადად მიიღწეოდა გარე მმართველო-

აკუმულირებული იყო პერძო პირთა ფულადი რესურსი დაახლოებით 6,4 მლრდ რუსული რუბლის ოდენობით. ბანკი თავდაპირველად პრობლემებს სსნიდა კომპიუტერულ სისტემაში ხარვეზებით და პირდებოდა კლიენტებს უახლოეს მომავალში ხარვეზის აღმოფხვრას. თუმცა „ახლო მომავალში“ ეს ვერ მოხერხდა, ბანკში სატელეფონო ზარებს არავინ პასუხით და. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა აღნიშნული ბანკისათვის გარკვეულ ოპერაციებზე რიგი შეზღუდვა დაიწესა. მოგვიანებით ბანკმა აღიარა საკუთარი მდგომარეობა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამასობაში სხვა ბანკებსაც შეექმნათ პრობლემები, რადგან ფიზიკურმა და იურიდიულმა პირება მასობრივად დაიწყეს ანაბრების გამოტანა და ანგარიშების დახურვა [3]. ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ პრობლემები ერთ ორგანიზაციაში ნეგატიურად აისახება და ექსავით გადაეცემა სხვა ორგანიზაციებს, ასევე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციების მიმწოდებლებზე, კლიენტებსა და მთლიანად საზოგადოებაზე.

ორგანიზაციის კრიზისი შეიძლება გამოწვეული იყოს რიგი ობიექტური (რესტრუქტურიზაციისა და მოდერნიზაციის მომწიფებული საჭიროება) და სუბიექტური (შეცდომები მენეჯმენტში) მიზეზებით, ასევე სხვა ხასიათის შიგა და გარე გარემოებებით [6, გვ. 8,9].

უფრო კონკრეტულად კი ორგანიზაციაში კრიზისის გამოწვევი მიზეზები შეიძლება იყოს ბალანსის დარღვევა:

- პროდუქციის წარმოებასა და მის რეალიზაციას შორის;
- პროდუქციის რეალიზაციის მოცულობასა და შემოსულ თანხებს შორის;
- მოკლევადიან სესხებსა და მოგებას შორის;
- პროდუქციის ხარისხსა და მის საბაზო ფასს შორის;
- კონკურენტ ორგანიზაციათა ტექნიკურ აღჭურვილობას შორის;

08 ՀՅԱՀՈՒԹԱՑՅՈԼՈ

- օնցեսტիուզիքիս մոշչոլոბասա და օնցեստիրյեბոდან մოგյեბաს შორის და ა.შ.

ანტიკრიზიսული მართვის ძირითადი ფუნქციაა უზ-რუნველყოს ორგანიზაციის გრძელვადიანი კონკურენტუ-ნარიანობა ბაზარზე, რის შედეგად ორგანიზაცია საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურების რეალიზაციიდან იღებს მოგებას და ინარჩუნებს განვითარების სასურველ ტემპებს [4, გვ. 8].

ზოგიერთი ეკონომისტი და პრაქტიკოსი ბიზნესმენი თვ-ლის, რომ ანტიკრიზისული მართვის გამოყენება მხოლოდ მაშინაა საჭირო, როდესაც ორგანიზაცია რეალურად გა-კოტრების საფრთხის წინაშე დგას, ამ დროს ისინი გამორიცხ-ავენ ორგანიზაციის ფინანსური დიაგნოსტიკის საჭიროებას. უფრო მართებულად მიგვაჩნია მიდგომა, როდესაც ანტიკრიზ-ისული მართვა, თუნდაც მუდმივი მონიტორინგის სახით (და არა მარტო ფინანსური მიმართულებით), უწყვეტად ხორციელ-დება ორგანიზაციებში. ამისათვის კი საჭიროა სპეციალური სახის მენეჯერის არსებობა, რომლის უშუალო ფუნქციებიც იქნება ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნე-ბის უზრუნველყოფა, განვითარების შიდა ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრა, არატრადიციული გადაწყვეტილებე-ბის მიღება, ერთი სიტყვით, ანტიკრიზისული მართვა.

როგორც ცნობილია, ორგანიზაცია ეს არის მოლიან ეკონომიკაში ფუნქციონირებადი გარკვეულწილად დამოუკი-დებელი სტრუქტურული რგოლი, რომელსაც გააჩნია ეკონო-მიკური დამოუკიდებლობა, ორგანიზაციული შიგა და გარე გარემო, სპეციალიზებული ინფორმაციული სისტემა და ა.შ. ორგანიზაციის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: ორგანიზაციის ფუნქციონირების რომელ ეტაპზე შესაძლებელი კრიზისების წარმოშობა და განვითარება? რამდენად საშიშია კრიზისი თვით ორგანიზაცი-ის მომავალი განვითარებისათვის, აგრეთვე იმ ეკონომიკური გარემოსათვის, რომელ შიც ფუნქციონირებს ორგანიზაცია?

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრიად და საიმედო ეკონომიკურ გარემოშიც შესაძლოა ორგანიზაცია ამ განიცადოს კრიზისი. ამ შემთხვევაში მიზეული უფრო მის შიგნით უნდა ვეძებოთ, მაგალითად, მოძველებული ტექნოლოგიები, შრომის არაეფექტური ორგანიზაცია, არასწორი ეკონომიკური სტრატეგია, შეცდომები გადაწყვეტილებებში, საქმიანი და საოციალურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტები, მუშა პერსონალის დაბალი პროფესიონალიზმი, წარუმატებელი მარკეტინგი და მრავალი სხვა.

ანტიკრიზისული მართვის პროგრამის დროულად ამჟამაგებისათვის საჭიროა განვასხვავოთ კრიზისის მიზეზები, სიმპტომები და ფაქტორები.

კრიზისის მიზეზები - ეს არის ის შემთხვევები, რის შედეგადაც ჩნდება სიმპტომები და შემდგომში ვითარდება კრიზისის ფაქტორები.

შიმპტომები ვლინდება იმ მაჩვენებლებსა და მათი ცვლილებების ტენდენციებში, რაშიც აისახება ორგანიზაციის განვითარება და მისი ფუნქციონირება, მაგალითდ: შრომის მწარმოებლურობა, ფინანსური მდგომარეობა, პერსონალის დინება, დისციპლინა, შრომითი კმაყოფილება, კონფლიქტების დონე და ა.შ. ზემოთხსენებული პროცესების ანალიზი მეტყველებს თუ რა მდგომარეობაა ორგანიზაციაში კრიზისულობის თვალსაზრისით.

ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს არსებული მდგომარეობის შედარება დაგეგმილთან. მაგალითად, თუ კადრების გაღინება გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს იყო წინა პერიოდში, თუმცა, ამ და სხვა მაჩვენებლების გაუარესება ყოველთვის როდი მოასწავლებს კრიზისის მოახლოებას. სიმპტომი - ეს მხოლოდ „ავადმყოფობის“ დაწყების მაჩვენებელი, მისი გარებანი გამოვლინებაა, მაგრამ თვით „ავადმყოფობა“, ანუ კრიზისთან იწყება ამ სიმპტომების წარმოჩნდებისას.

ფაქტორები - მოვლენები, ობიექტის დაფიქსირებული მდგომარეობა, ტენდენცია, რომელიც უკვე მოწმობს კრიზისის

თბ ჯიშმიზამვილი

დაწყებას.

ამგვარად, კრიზისის დაწყების ეტაპები შესაძლებელია შემდეგი ჯაჭვის სახით წარმოვიდგინოთ: მიზეზი → სიმპტომი → ფაქტორი.

მაგალითად, ორგანიზაციაში კრიზისის მიზეზები შეიძლება იყოს: ეკონომიკური და ფინანსური შეცდომები, ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგრადირეობა, პერსონალის დაბადი პროფესიონალიზმი, მოტივაციის სისტემის სისუსტე. აქედან გამომდინარე ადგილი ექნება შემდეგ სიმპტომებს: ისეთი უარყოფითი ტენდენციების პირველი გამოვლინებები, შემდგომში ამ ტენდენციების გამყარება, როგორიცაა: კონფლიქტები, მზარდი ფინანსური პრობლემები და ა.შ. ხოლო კრიზისის ფაქტორები კი იქნება: პროდუქციის ხარისხის დაჭვებითება, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, საკრედიტო დავალიანების ზრდა და ა.შ [4, გვ. 10-13].

ორგანიზაციებში კრიზისების წარმოჩინების პრობლემას უნდა მიგუდგოთ სისტემურობის პოზიციიდან.

როგორც აღვნიშნეთ, კრიზისული სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის ფუნქციონირების ნებისმიერ სტადიაზე - ჩამოყალიბების, განვითარების, სტაბილიზაციის, გაფართოებისა თუ დაქვეითების. ეს კი დაკავშირებულია ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლთან. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა მოგემოვნოს, თითქოს, ორგანიზაცია ვითარდება სტიქიურად, კანონზომიერებების დარღვევით და ძალიან რთულია შიგ მიმდინარე პროცესების მართვა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა, ყველა პროცესი გადის საკუთარ სასიცოცხლო ციკლს.

ორგანიზაცია შესაძლოა განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე ჩავარდეს კრიზისულ სიტუაციაში. ფირმები, რომლებიც გარკვეულ მომენტში ლიდერების პოზიციაზე იყვნენ, არასწორი მეცნიერების განხორციელებისას შესაძლოა გადავიდნენ „არისტოკრატიზმის“ მდგრადი გარე („ჩვენ ვართ ყველაზე ძლიერები!! ჩვენ არაფერი არ გვემუქრება და ა.შ.“),

შემდეგ კი ბიუროკრატიზმის ორმოში ვარდებიან. ასეთი რამ დაემართა IBM-ს XX საუკუნის 80-იან წლებში. მისი საბაზო კაპიტალიზაცია დაეცა დაახლოებით სამჯერ და იგი აღმოჩნდა პატარა კომპანიებად დაშლის საშიშროების წინაშე, რის შედეგადაც კონკურენტი ფირმების “გემრიელ ლუკმად” გადაიქცეოდა. ფირმა გადაარჩინა გადაწყვეტილებამ – მოქანვიათ განთქმული ანტიკრიზისული მენეჯერი. გადაწყვეტილების არაორდინალურობა კი ის იყო, რომ IBM-ში ათწლეულების განმავლობაში წამყვან თანამდებობებს იკავებდნენ ამ ფირმაშივე „გამოზრდილი“ კადრები და აი, უცაბედად - ადამიანი გარედან! თანაც, მას არასდროს უმუშავია მათი პროფილით. თუმცა სწორედ მან გადაარჩინა ორგანიზაცია შემდეგი დონისძიებების გატარებით: მოახდინა კადრების საჭირო შემცირება, შეიმუშავა ახალი სტრატეგია, შეცვალა კორპორატიული კულტურა, რის შედეგად 3 წლის შემდეგ, ფირმის საბაზო წილი პირვანდელ დონეს დაუბრუნდა [4, გვ. 14-21].

ნებისმიერი კრიზისული მდგომარეობის თანმდევი პრობლემაა კადრების საკითხი. ამიტომ, ორგანიზაციაში მომუშავე პერსონალს შორის გარკვეული სტაბილურობის შესნარჩუნებლად, მნიშვნელოვანია ფინანსური ნაკადები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული სახელფასო ფონდის შესავსებად. პარალელურად, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საკითხი, შეძლებისდაგვარად, კონფიდენციალური უნდა იყოს. რა თქმა უნდა, არაფორმალურად ინფორმაცია (ჭორების სახით) გარკვეული დოზით იმოძრავებს, მაგრამ საერთო დადებითი „ამინდი“ გარკვეულწილად შენარჩუნდება.

სწორად წარმართულმა მართვამ შესაძლოა შეასუსტოს კრიზისის ზეგავლენა და ორგანიზაცია მიუახლოვოს კრიზისამდელ მაჩვენებლებს, როგორც ეს მოხდა ამერიკულ კომპანია Johnson&Johnson-ის შემთხვევაში, როდესაც მათ მიერ წარმოებული სამედიცინო პრეპარატ ტეილენოლის მიღების შედეგად გარდაიცვალნენ ჩიკაგოს მოქალაქენი, მათ შორის ბავშვები. საზოგადოებაში, ტაილენოლი სერიოზულად

დაკავშირდა საწამლავთან. საქმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები უკვე ხმამაღლა აცხადებდნენ რომ კომპანიას წერტილი უნდა დაესვა აღნიშნულ პრეპარატზე. საჭირო გახდა კომპანიის კრიზისიდან გამოყვანა, სამოქმედო გეგმა შეიმუშავა Johnson&Johnson-ის პრეზიდენტმა ჯეიმს ბერკმა. ტაილენოლისა და კომპანიის გადარჩენის გეგმა 2 ნაწილისგან შედგებოდა, პირველი - სასწრაფო ქმედებები, მეორე - მედიკამენტის თანდათანობით დაბრუნება ბაზარზე.

გეგმის პირველი ნაწილი რეალიზებული იყო მაშინვე, როგორც დამტკიცდა, რომ მოწამვლაში მართლაც ტაილენოლის აბები ფიგურირებდა. კომპანიამ სასწრაფოდ დაიბრუნა ყველა გაყიდული ერთეული - 31 მლნ შეკვრა - \$100 მლნზე მეტი ფასის. ამასთანავე, აღნიშნული ნაბიჯი ფართოდ რეკლამირდებოდა. შაპასუხოდ, მასმედიის კეთილი განწყობა დაიმსახურა, და ქმედება შეაფასეს როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი გადაწყვეტილება.

კომპანიის ტოპ მენეჯმენტი მივიდა პირველი სამი მსხვერპლის დაკრძალვაზე, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაიცემოდა ტელევიზიონით. მთელმა ამერიკამ ნახა თუ როგორ ტიროდნენ დაკრძალვაზე პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტები. აიტაცეს მათ მიერ გაუდერებული ფრაზა - „ჩვენ ისე ვგრძნოთ თავს, თითქოს მეგობარს ვათხოვეთ მანქანა, ის კი ამ მანქანით ავარიაში დაიღუპა“.

ბოლო ნაბიჯი იყო განცხადება, რომ კომპანია უფასოდ ცვლიდა ნებისმიერ დროს ნაყიდი ტაილენოლის კაფსულას აბზე. კაფსულებისგან განსხვავებით აბები ჰქონდებულად იყო შეფუთული, რაც გამორიცხავდა რაიმე სახის საწამლავის შეპარვას.

ამ კამპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო მთელი პროცესის გამჭვირვალობა და პრესასთან თანამშრომლობის მუდმივი მზაობა. პირველი მოწამვლიდან ორ კვირაში მენეჯერებმა ჟურნალისტების 2500 კითხვას გასცეს პასუხი. ამბავი კი წლის სიახლედ იქცა და მეორე ადგ-

ილზე გავიდა (კენედის მკვლელობის შემდეგ) ციტირების ინდექსით.

გეგმის მეორე ნაწილი 6 კვირის შემდეგ გახდა ცნობილი. პირველ რიგში, მთლიანად შეიცვალა შეფუთვის ვოზუალი. Johnson&Johnson-მა პირველებმა შემოიღეს პრაქტიკაში ფლაკონები პირველადი გახსნის კონტროლით, სახურავის ქვეშ იყო დამცავი ფოლგის თხელი ლენტი. მალე FDA¹-მ შესაბამისად შეაფასა ეს სიახლე და სავალდებულო გახადა ყველა მწარმოებლისათვის. რა თქმა უნდა, ამ ქმედებებსაც შესაბამისი რეკლამა ახლდა თან.

კომპანიამ აგრეთვე სხვა ხერხებიც გამოიყენა, მაგალითად, ფასდაკლების კუპონები, რაც იძეჭდებოდა ფედერალური მასშტაბის გაზეთებში, მათი მიღება უფასო დარეკვითაც შესაძლებელი იყო. საბითუმო მყიდველთათვის გრანდიოზული ფასდაკლებები ამჟამადა (25%, რაც იმ დროის ფარმაცევტიულ ბიზნესში ძალიან მაღალი მაჩვენებელი იყო). ბრძოლაში ჩართეს 2500-ზე მეტი მედიცინის წარმომადგენელი, რომლებსაც ადგილზე რეკლამირება დაევალათ. ტელერადიო სივრცე მასობრი რეკლამებით აივსო.

Johnson&Johnson-მა ტაილენტის გადარჩენაში დაახლოებით \$170 მლნ. დახარჯა, რისი უდიდესი ნაწილიც გაფიდული საქონლის (სრული მოცულობით) ამოდებაში დაიხარჯა. ამგვარი ნაბიჯი ჯერაც არ გაუმეორებია არც ერთ ორგანიზაციას, როგორც წესი კომპანიები მხოლოდ წარმოებიდან სხინძი ამა თუ იმ პრეპარატს, უკვე წარმოებული კი აფთიაქებში საღდება.

ძალიან მაღალ დანახარჯებმა გაამართდა, უკვე 1982 წლის ბოლოს ტაილენტის დაიბრუნა ამერიკული ბაზრის 25%. კიდევ ერთი წლის შემდეგ კი კრიზისიდან სრულიად გამოვიდა და დაუბრუნდა კრიზისამდელ 35% მაჩვენებელს.

ორგანიზაციის კრიზისული მდგომარეობის დაძლევაში დღიულის სახელმწიფო ასრულებს. მთავრობის ანტიკრიზ-1 US Food and Drug Administration – საკვებისა და მედიკამენტების მაკონტროლებელი ორგანიზაცია აშშ-ში.

ია ჯიმშიაშვილი

ისული რეგულირების ძირითადი მიმართულებები შეიძლება იყოს:

- საკანონმდებლო ბაზების გაუმჯობესება;
- სახელმწიფო დახმარებების გაწევა;
- დავალიანების მქონე ორგანიზაციების პრივატიზება და ლიკვიდაცია და ა.შ.;

რა საშუალებით არის შესაძლებელი ამის გაკეთება? პირველ რიგში ესაა გამოცდილება და ინტუიცია, მდგომარეობის ანალიზი და დიაგნოსტიკა. ეს მოქმედებები არაერთჯერადია, არამედ ნებისმიერ ეტაპზე უნდა ხორციელდებოდეს, რადგანაც ორგანიზაციაში კრიზისი შესაძლოა იმ მომენტში დადგეს, როდესაც იგი ამას არანაირად არ პროგნოზირებს. ამ დროს მნიშვნელოვანია რომ ორგანიზციამ არ შეწყვიტოს ფუნქციონირება, განაგრძოს თუნდაც თავისი რუტინული საქმიანობა.

რა თქმა უნდა ანტიკრიზისული მართვის ფენომენი შედარებით ახალი ცნებაა, არა მარტო საქართველოსათვის, არამედ თითქმის მთელი რიგი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო-თავის, და მუშაობა ამ მიმართულებით გაიგივებულია ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგთან, ბალანსის დინამიკის ანალიზთან, აქტივებისა და პასივების სტრუქტურასთან (თუმცა, გარკვეული ხარვეზები აქაც შეინიშნება), რაც, რა თქმა უნიდა, ანტიკრიზისული მართვის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კრიზისების სიმპტომების გამოვლენასა და შესწავლას, დიაგნოსტიკას, კადრების მომზადებას, ორგანიზაციის განვითარების შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს.

იმის გამო, რომ კრიზისული სიტუაციები ცვლის ორგანიზაციის ფუნქციონირების პირობებს, სწრაფი რეაგირების მართვის სისტემა გამართულად უნდა მუშაობდეს. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ე.წ. ანტიკრიზისული შტაბი, რომლის ამოცანაა:

- სიტუაციების ანალიზი და შესაბამისი გადაწ-

ყველილებების მიღება;

- დამცავი ქმედებების შემუშავება და გატარება, მათი პორტფელის მიღება;
- მიღწეული რეზულტატებისა და მიმდინარე სიტუაციების მონიტორინგი.

სხვადასხვა ორგანიზაციის გამოცდილების შესწავლამ აჩვენა, რომ კრიზისების მართვისათვის საჭირო ინსტრუმენტების ნაკრები შესაძლოა აბსოლუტურად განსხვავებული იყოს მათთვის, თუმცა, არსებობს უნივერსალური ინსტრუმენტებიც; დანახარჯების შემცირება; გაყიდვების სტიმულირება; ფულადი ნაკადების ოპტიმიზება; დებიტორებთან მუშაობა; საკრედიტო დავალიანების რესტრუქტურიზაცია.

აგრეთვე, არსებობს რამდენიმე უნივერსალური საშუალება, რომელთა გამოყენებით ორგანიზაციის მენეჯმენტი შეძლებს უმართავი კრიზისული სიტუაციების მართვად პროცესებად გადაქცევა:

- ინფორმაციის სიმცირის რეჟიმში სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება;
- შეთანხმებულად, ჯგუფურად, ნდობის მაღალი სარისხით მუშაობა;
- მოქმედებების დაგეგმვა ბაზრისა და დარგის ცვალებადობის გათვალისწინებით;
- კოლექტივის ერთ ჯგუფად შეკვრა, ნებისმიერი დანაკარგების მინიმიზაციო;
- ფულადი სახსრების ბრუნვის დაჩქარება და ნაკადების განმტკიცება, მისი ქმედითი გაკონტროლება.

რა თქმა უნდა, ნებისმიერ ნებატივში პოზიტივიც უნდა ვემებოთ, კრიზისი არა მარტო უარყოფითის მომტანია კომპანიისათვის, იგი ამავე დროს სამომავლოდ ახალ შესაძლებლობებს სხინს. ნებისმიერი კრიზისი, გლობალურიც კი, მრავალი შესაძლებლობის მომტანია, მაგალითად, ფინანსური გაჯანსაღება, ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის შენარჩუნება, რესტრუქტურიზაცია და ა.შ.

The Elements of Crisis Management in Modern Companies

The goal of above article is to present the meaning of Crisis Management in different modern companies, it's role in firms. What kind of impact can it bring for further development and, actually, for their existence in market and in society. We, also, tried to show some ways of acting in critical situations, that gives the management of firms opportunities to manage unmanageable critical processes. And, at the end we can declare that in every negative is possible to find positive, even in crises situations and it's important to find those positive means and to use them for further development.

ՑԱՄՐՄԱՆԵՑՆԱԾՈՂ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

1. Հյանդականությունը, անքորութիւնայլօմենյաշմյնքո. տեսանկար „Ձեռնուպություն“, 2013թ.;
2. Վարչականություն 6., անքորութիւնայլօմենյաշմյնքո, տեսանկար „Մասնավոր հարցեր“ 2010թ.;
3. <http://1prime.ru/banks/20131028/769057171.html>
4. Жарковская, Е.П., Бродский Б.Е., Бродский И.Б. Антикризисное управление, М: Омега-Л, 2009;
5. Бабушкина, Е. А., Бирюкова, О. Ю., Верещагина, Л. С. Антикризисное управление, М: Эксмо, 2008;
6. Коротков, Э.М., Антикризисное управление: Учебник. – 2-е изд., доп. и перераб., М.: ИНФРА-М, 2007;
7. Экономическая Энциклопедия, М., 1999;
8. Tony Jaques, Reshaping crisis management: the challenge for organizational, design Citation: Organizational Development Journal 28(1), 2010.

მნიშვნელოვანი გამოქველევა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგნოსტიკის შესახებ

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემატიკის კვლევას არაერთი საინტერესო ნაშრომი მიედგვნა, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ეკონომიკური თეორიის პრობლემების მკვლევარის, ცნობილი მეცნიერის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რ. ასათიანის სრულიად ორიგინალური მონოგრაფია: „საით მიღის საქართველო ? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“, მეცნ.რედაქტორი აკად. ვ. პაპავა, გამომცემლობა „სიახლე“, თბ., 2014 წ.

სარეცენზიო მონოგრაფია ავტორის მრავალწლიანი მეცნიერული ნააზრევის სისტემატიზებულ გადმოცემაა, რომელშიც მან ქრონოლოგიურ-ისტორიული თანმიმდევრობით წარმოადგინა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები და ზოგადისა და კონკრეტულის ფილოსოფიური კატეგორიიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბა საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისი ორიგინალური ხედვა. მონოგრაფიაში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში არსებული კეთილ ის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მკვლევართა ფართო წრის, მ.შ. განსაკუთრებით სწავლულ ეკონომისტთა წინაშე იდგა და ამ პროცესში პროფესორი რ. ასათიანი ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური მეცნიერული თუ მოქალაქეობრივი პოზიციით.

მონოგრაფია აგებულია ისტორიულისა და ლოგიკურის ურთიერთკავშირის პრინციპზე. ავტორი არა მარტო აანალიზებს საქართველოს უახლესი ეკონომიკური განვითარების ზოგად ტენდენციებს, არამედ ამის საფუძველზე აგებს

ქვეყნის განვითარების მისეულ, სრულიად ორიგინალურ კონცეპციას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების საგანზე მსჯელობისას დიდი იღია ბრძანებდა: „აი, საგანი ლირშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინ პქონდეს მეისტორიეს, ამ საგანზეც, რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს კონმემ, ბევრს ნათელს მოჰყენდა, აწმეოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“. (ი.ჭავჭავაძე, თხ. სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1955, გვ 175). ამ იღიასეული შეგონების საფუძველზე პროფესორ რ. ასათიანს თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში განუზრახავს არამარტო საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში არსებული პრობლემების ანალიზი, დაშვებული შეცდომების მხილება, არამედ მომავლის გზის წარმოჩენა - „გზის განათება“.

უერადღებას იქცევს მონოგრაფიის არქიტექტონიკა, რომელზეც მთლიანად იგება მეცნიერული კვლევის ლოგიკა: ავტორი აანალიზებს XX საუკუნის 90-იანი წლების ახალი ეპოქის დასაწყისს საქართველოში, პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდს, ინსტიტუციურ, კონვერსიის პერიოდებს, გარდამავალ პერიოდში ფულად-საკრედიტო, საგადასახადო პოლიტიკას, ესება ეკონომიკური ზრდის, მეწარმეობის პრობლემატიკას. მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის საკონკრეტო გლობალიზაციასა და საქართველოს ახალ გამოწვევებს, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას, მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას და საქართველოს საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკასა და სხვა საკითხებს, რაც აძლიერებს ნაშრომის პრაგმატულ აღქმას, მნიშვნელოვნად ათანამედროვებს მას, და რაც მთავარია, ამით ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს მის მიერვე დასმულ რიტორიკულ შეკითხვას: „საით მიდის საქართველო ?“

ნიშანდობლივია ისიც, რომ ცალკეულ პრობლემაზე მსჯელობისას ავტორი იყენებს ამ პრობლემის დრმა და ყოვლისმომცველ თეორიულ-მეთოდოლოგიურ არგუმენტაციას, რაც მონოგრაფიაში წარმოჩენილია ამა თუ იმ საკითხე

დასავლეთში ცნობილ მეცნიერთა კონცეფციების, დებულებებისა, თუ კონომიკური თეორიების გადმოცემით და ამ საფუძველზე აგებს საქართველოს კონომიკური განვითარების ცალკეული მიმართულების ირგვლივ საკუთარ, ორიგინალურ კონცეფციას. მაგალითად, ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკაზე მსჯელობისას ავტორი აანალიზებს დასავლეთში კარგად ცნობილი მეცნიერების: რ. ფრიშის, უ ბევერიჯის, კ. ლანდაუერის, უ. მიჩელის და სხვა ავტორების შრომებს; „მიწოდების თეორია“ წარმოჩენილია მ. ბერსონის, მ. უედენბაუმის, გ. სტაინომისა და სხვათა შეხედულებების კონტექსტით.

პროფესორი რ. ასათიანი არის ცნობილი ინგლისელი მეცნიერის ჯონ მეინარდ კეინზის მაკროეკონომიკური რეგულირების კონცეფციის უბადლო მკვდევარი და მხარდაჭერი. ის სწორად მიიჩნევს, რომ საბაზრო და სახელმწიფო ბრივი რეგულირების მექანიზმების სიმბიოზი საქართველოს ეკონომიკური განვითარების საწინდარია. ეს მიღვიმები აისახა მის მიერ გამოცემულ არაერთ წიგნში, საუკრნალო სტატიასა თუ საჯარო გამოსვლაში. ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი ბოლო პერიოდის ნაშრომები: „თეორიული ცოდნა, როგორც სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი, უკრნ. “ბიზნეს ინჟინირინგი“, 2012, №3; „გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და ეკონომიკური თეორია ახალი გამოწვევების წინაშე, უკრნ. „ახალი ეკონომისტი“, 2010, № 2; „პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს“, თბ., „სიახლე“, 2005; „საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, პერსპექტივა“, თბ., „სიახლე“, 2002; „მცდარი მონეტარული პოსტულატუბი და საქართველო ილუზიების ტყვეობაში“, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბ., „სიახლე“, 2004 და სხვა.

ავტორი არა მარტო აღწერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესს, არამედ კრიტიკულად უდგება ამ საკითხისადმი სხვადასხვა პერიოდში განხორციელებულ სახელისუფლებო პოლიტიკას, მკითხველს სთავაზობს

ეკონომიკური განვითარების დარგში საქუთარ ორიგინალურ მიღება და აკეთებს ადეკვატურ ობიექტურ დასკვნებს. მაგალითად: „კვაზიდემოკრატია აფერხებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას“; „სამართლიანობის პრინციპებზე აგებული დემოკრატიის ნაცვლად მივიღეთ მოწვევებით სამართლიანობაზე აგებული ულტრალიბერალური კაპიტალიზმი“; „სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმი შეცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმა“ (გვ. 16) და სხვა.

პროფესორ როზეგბა ასათიანის მიღებომა, რომლის თანახმადაც „ახალი ეპოქის საქართველოში განვიარებული პროცესების სიღრმისეული და არაემპირიული ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოების მსოფლმხედველობის ამაღლებისათვის, არამედ დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და და ქვეყნის სწორი გზით განვითარებისთვის“ (გვ. 18), მეცნიერულად სწორი და მოქალაქეობრივად ობიექტურია. რადგანაც, „ისტორია ძველიც და ახალიც, იმას გვასწავლის, რომ მემკვიდრეობისთვის უნიკალური კანონების გარეშე კაცი და ვერც ხალხი, საწადელს ვერ მიაღწევს. შეიძლება უნდა იცოდეს, სად, რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს უღლის წევა. მთავარი აქ ისაა, რომ სწორად და უტყუარად დავასკვნათ თუ რისი და ვისი მემკვიდრენი ვართ, ვინაა ჩვენი მამა და ვინ კიდევ მამინაცვალი“ (სბმა „მოამბე“ ნაწ. IV. გვ. 82).

პროფესორ როზეგბა ასათიანის უდავო დამსახურებაა ისიც, რომ ნაშრომი გამართული ენითაა დაწერილი, რამეთუ ქალბატონი როზეგბა ქართული ენის უბადლო მცოდნე, ყოველმხრივ განათლებული, მაღალი ერუდიციის ქონე პიროვნებაა, რომელიც წლების განმავლობაში იღვწის ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის სრულყოფისათვის. მის მიერ შექმნილი არაერთი ლექსიკონი, მეცნიერ-მკლევართა სამაგიდო წიგნებს წარმოადგენს და აღნიშნულ მონოგრაფიულ გამოკვლევასთან ერთად, ჯეროვან დახმარებას უწევს ყველა იმ მეცნიერ-ეკონომისტს, რომელიც დაინ-

ტერესებულია ქვეყნის არსებული ეკონომიკური რეალობის, მისი განვითარების პრობლემატიკის კვლევით.

რასაკვირველია, პროფ. როზეგბა ასათიანის ნაშრომი ფართო არეალს ტოვებს ავტორის მიერ წარმოჩენილი საკითხების ირგვლივ მეცნიერთა შორის ფართო დისკუსიისათვის, მეცნიერ-ეკონომისტებს ახალ სტიმულს აძლევს ამ საკითხებზე ფართო მსჯელობისათვის.

დაბოლოს, გვინდა გავიხსენოთ დიდი ივანე ჯავახიშვილის შეგონება: „ თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა, - მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს“ (ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თხ. ტ. IV, თბ., 1996). ამ მიზანს ემსახურება პროფესორ როზეგბა ასათიანის გაკვლევებიც, რითაც უდავოა, რომ მეცნიერს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის აქტუალური, მეტად მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაში.

გვინდა მივულოცოთ პროფესორ როზეგბა ასათიანის ესოდენ საჭირო და მნიშვნელოვანი მონიგრაფიის გამოქვეყნება და ვუსურვოთ მას ახალი წარმატებები შემოქმედებით ასპარეზზე.

თემაზრაგ შენგელია
ემდ, ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის პროფესორი,
მოთა ვებგამიძე

ემდ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დაგითაღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი,
ევგენი ბარათაშვილი
ემდ, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი,
თემურ კანდელაპი
ემდ, საქართველოს აგრარული
უნივერსიტეტის პროფესორი

**შერნალში – „ეპონომიკა და ბიზნესი“, საგაფილეო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წასი**

1. ქურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური ოქორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

2. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

3. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 11 შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის 15 გვერდს.

4. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს რეფერაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-დან 1500-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერაციი იმავე უცხო ენაზე.

5. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელგვერსიასთან ერთად(MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - Times New Roman).

6. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთიოთს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

7. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სის სახით: а) წიგნის დასახელება შემდგენ თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები,

წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი;
ბ) საურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი
და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება,
წელი, ჟურნალის ნომერი.

ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული
უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომი-
დან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი
გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5,გვ.41], სადაც პირველი
ციფრი შესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს
გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს,
საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი
წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შევსა-
ბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

8. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქე-
მები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ
ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრი-
ლებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და
ნუმერაცია.

9. მაგისტრანტს (მაგისტრს) მოეთხოვება თავისი
დამოუკიდებლად შესრულებული სამეცნიერო სტატია წარ-
მოადგინოს მეცნიერ-ხელმძღვანელის დასკნასა და შესაბამისი
კათედრის რეკომენდაციასთან ერთად - ოქმიდან ამონაწერის
სახით.

10. სტატიას, რომელიც არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ
მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს

11. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახ-
იშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტე-
ბისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავ-
ტორები იხდიან საფასურს - ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს,
რაც მათ მიერ ჩაირიცხება თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების
ანგარიშში.

საკონტაქტო ტელეფონები:

2 30 36 68; 2 30 40 78;

599 24 77 47; 599 10 38 16

e-Mail:ebf.journal@tsu.ge

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა იგანე ჯავახიშვილის სახელობის
ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი